

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
„ლინგვისტიკის“ სადოქტორო პროგრამა

ხათუნა ხალვაში

კანცელარიზმების ფუნქციონირება და უნიფიცირებული
საქმიანი დოკუმენტების თარგმანის თავისებურებები
(ქართული და რუსული საქმიანი დოკუმენტების მიხედვით)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ახვლედიანი

ბათუმი

2020 წ.

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხათუნა ხალვაში

სახელი და გვარი

(ხელმოწერა)

24.11.2020

(თარიღი)

შინაარსი

შესავალი	4
თავი I ოფიციალურ-საქმიანი დისკურსი	
1.1 ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის რაობა	10
1.2 ქართული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის განვითარების ისტორიიდან	24
1.3 რუსული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის განვითარების ისტორიიდან	37
თავი II ტექსტი და თარგმანი	
2.1 ტექსტის რაობა და ტექსტის ტიპოლოგია	43
2.2 ტრანსლატოლოგია, როგორც ტექსტზე ორიენტირებული თარგმანი	55
თავი III ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი კანცელარიზმების თარგმნის პრობლემები	
3.1 კლიშეს, შტამპის, შაბლონის თარგმნის პრობლემები	72
3.2 აბრევიატურის თარგმნის პრობლემები	91
3.3 ტერმინოლოგიის თარგმნის პრობლემები	110
3.4 დოკუმენტბრუნვის უნიფიცირება და ნათარგმნი დოკუმენტების ფუნქციონირების პრობლემები პოლიკულტურულ სამყაროში	128
დასკვნა	138
გამოყენებული ლიტერატურა	144

შესავალი

მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე ლინგვისტური სამეცნიერო პარადიგმა ჩამოყალიბდა როგორც ანთროპოცენტრული, რომლის ცენტრში დგას მოლაპარაკე ადამიანი (HOMO LOQUENS). ლინგვისტური კვლევები ხშირ შემთხვევაში ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს. პირველ რიგში ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ადამიანი აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის განვითარების თანამედროვე დონემ განაპირობა ინფორმაციული ნაკადის მაღალი ინტენსიურობა. წარმატებული პროფესიული საქმიანობა კი მოითხოვს დიდი მოცულობის ინფორმაციის ათვისებას.

ამავდროულად, მეოცე საუკუნის ბოლოს მომხდარმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა განაპირობა ძველი პოლიტიკური სისტემებისა და იმპერიების დაშლა, საზღვრების გახსნა. საქართველო მიისწრაფის ევროპულ ერთიან სივრცეში და ამ გზაზე უკვე ბევრი წარმატება გვაქვს (კერძოდ, განათლების სფეროში), მაგრამ ინტენსიური კულტურული კავშირები და საქმიანი ურთიერთობა მოითხოვს ერთიან ძალისხმევას რთული და გლობალური პრობლემის გადასაჭრელად. მეცნიერებმა გაიაზრეს ეს გამოწვევები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ არსებული პრობლემის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება არის ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩატარება. სწორედ ამ ტიპის კვლევებს აფინანსებს ევროკავშირი. ერთ-ერთი მთავარი ადგილი ამ რთულ და მრავალფეროვან პროცესში უჭირავს ჩვენს პროექტს, „ჰორიზონტ 2020 KEAC-BSR № 734645 (ცოდნისა და აკადემიური კულტურის გაცვლა ჰუმანიტარულ სფეროში შავი ზღვის რეგიონში)“. შექმნილია სამეცნიერო კონსორციუმი, რომელშიც შედიან 12 ქვეყნის მეცნიერები, მათ შორის, ბსუ-ს სამუშაო მკვლევართა ჯგუფი. პროექტის ფარგლებში შეისწავლება ცოდნის გაცვლა სხვადასხვა სფეროში: ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში, ეთნოკულტურის შენარჩუნებაში, ეპოქების ისტორიის გაანალიზებაში. მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ლინგვისტიკის გამოყენებითი სფეროები, ისეთები, როგორცაა: თარგმანი, თარგმნის როლი მეცნიერების განვითარებაში, კულტურათმორისი კომუნიკაციის ურთიერთობების დახვეწა და

მათ შორის ერთიანი უნიფიცირებული დოკუმენტბრუნვის უზრუნველყოფა მთელს ევროპულ სივრცეში. მე წილად მხვდა ბედნიერება ჩართული ვყოფილიყავი ამ პროექტში, როგორც მკვლევარი - დოქტორანტი. ჩემი მწირი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, დამევალა შემესწავლა საქართველოში საქმისწარმოებასთან დაკავშირებული მიმდინარე პროცესები და საქმიანი საბუთების თარგმნის პრობლემები.

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე კულტურული მრავალფეროვნებით. საქართველო შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელსაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. სწორედ ამის გამო, ის ყოველთვის იმპერიების ინტერესს წარმოადგენდა, რომლებიც ცდილობდნენ მთლიანად ამიერკავკასიისა და მათ შორის, საქართველოს ხელში ჩაგდებას.

საქართველოში 80-90-იანი წლებიდან დაიწყო მასიური გამოსვლები საბჭოთა წყობილების და რუსეთის წინააღმდეგ. ერი დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა და მიაღწია კიდევ მიზანს. ძალიან დიდი იყო პროტესტი რუსეთის მიმართ, რომელმაც გამოიწვია ყოველივე რუსულის აკრძალვა. პოლიტიკა თითქმის ყველა სფეროში შეიჭრა: კულტურაში, მეცნიერებაში, სპორტში... ამას მოჰყვა სახელმწიფო სტრუქტურებში საქმისწარმოების ენის ცვლილებაც. რუსული ენა გაიდევნა ქართული საქმისწარმოებიდან და თანდათანობით დავიწყებასაც მიეცა.

ქართული ენა ხშირად განიცდიდა რომელიმე სხვა უცხო ენისა და კულტურის გავლენას. XVIII საუკუნიდან დაწყებული XX საუკუნის 90-იან წლებამდე კი, ჩვენს ქვეყანაში გაბატონებული იყო რუსული ენა. აქედან გამომდინარე, ქართული საქმისწარმოების ისტორიაში XX საუკუნის 90-იანი წლები საკმაოდ რთულ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას, მოჰყვა ენობრივი პოლიტიკის ცვლილება - ერთი ენობრივი რელსიდან მეორე ენობრივ რელსზე გადასვლა. ბსუ-ს არქივში არსებულ მასალებს თუ დავეყრდნობით, აღმოვაჩენთ, რომ საქართველოში 1993 წლის ჩათვლით, მაგალითად, ისეთი დოკუმენტები, როგორებიცაა დიპლომი, ატესტატი, ორენოვან,

ჯერ კიდევ ქართულ-რუსულენოვან დოკუმენტებს წარმოადგენენ. ხოლო დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ გატარებული ენობრივი პოლიტიკის შედეგად, 1994 წლიდან 1998 წლის ჩათვლით, გვაქვს ერთენოვანი, ქართულ ენაზე შედგენილი ბსუ-ს მიერ გამოცემული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომები. 1999 წლიდან კი ისევ ორენოვანი დიპლომის ფორმები შემოდის, მაგრამ ამჯერად უკვე ქართულ-ინგლისურენოვანი. ეს მეტყველებს, ალბათ, იმაზე, რომ ქვეყანას, ეს პერიოდი დასჭირდა სახელწიფოდ ჩამოყალიბებისა და მსოფლიო თანამეგობრობაში გზის გაკვლევისათვის.

პოსტსაბჭოურ პერიოდში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოლიტიკური ვექტორის შეცვლის შედეგად, ორიენტაცია მიმართულია საერთო ევროპულ სივრცეში შესვლასა და აქედან გამომდინარე, ოფიციალურ საბუთებში ინგლისური ენის ინტენსიურ გამოყენებაზე.

სხვადასხვა პოლიტიკური ცვლილებების გათვალისწინებით საქართველოს ბევრი განსაცდელის გადატანა მოუწია. მათი დაძლევის პროცესში, ვფიქრობთ, ყურადღების მიღმა დარჩა ქართული ენობრივი პოლიტიკა. ერთიანი უნიფიცირებული პროცესისა და სისტემის არქონა, აისახა კიდევ ჩვენს დოკუმენტებზე. ამ პერიოდიდან, ტრანსლიტერაციით შემოსული ტერმინოლოგიის მოზღვავებულ რაოდენობას ენა ვერ ამუშავებს და ისინი მკვიდრდებიან ჩვენს ენაში არსებული ფორმით. ეს ხდება მაშინაც კი, როცა ენაში მოგვეპოვება მათი ქართული შესატყვისები.

ჩვენი კვლევა წარმოადგენს დიაქრონული და სინქრონული მიდგომის ერთობლიობას. დიაქრონულ ასპექტში გვანტერესებს საქმიანი საბუთების თარგმნისა და მათი წარმოების სამი ეტაპი:

- 1) მეფის რუსეთის პერიოდი;
- 2) საბჭოური პერიოდი;
- 3) პოსტსაბჭოური პერიოდი.

დღევანდელ დღეს, გლობალიზაციამ, საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობაში გაწევრიანებამ, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების კანცელარიზმების ფუნქციონირების და უნიფიცირებული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების

თარგმნის პრობლემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერაც არ ქცეულა კომპლექსური კვლევის საგნად და შესაბამისად, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების კანცელარიზმების გამოყენების პრობლემებიც არასაკმარისადაა გამოკვლეული. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი ინტერესს იწვევს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

თემის აქტუალურობა: ინტენსიური კულტურული კავშირები და საქმიანი ურთიერთობა მოითხოვს ერთიან ძალისხმევას, რათა პასუხი გაეცეს დღევანდელ საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებს. ამისათვის კი საჭიროა ერთიანი უნიფიცირებული საქმისწარმოება. დღეს უპირატესობა მიენიჭა ინგლისურ ენაზე და ინგლისური ენიდან თარგმანს, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალურია ჩვენს საქმისწარმოებაში ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების თარგმნის პრობლემები იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების პერიოდი აკავშირებდა. უნდა გვახსოვდეს ის, რომ XVIII საუკუნიდან დაწყებული XX საუკუნის 90-იან წლებამდე რუსული პოლიტიკა და ენა ბატონობდა და კარნახობდა სახელმწიფო ფუნქციონირების წესებს საქართველოში. ჩვენს რეალობაში უამრავი დოკუმენტია რუსულ ენაზე შექმნილი, რომლებიც ჩვენი დაწესებულებების დაარსებას და განვითარებას შეეხება. ჩვენი მოსახლეობის სოციალური აქტივობებიც: სამსახურში დანიშვნა, გათავისუფლება, გადაყვანა, სხვადასხვა ცნობები და მიღწევების დამადასტურებელი საბუთების უმრავლესობაც რუსულ ენაზეა შედგენილი. ამ დოკუმენტებში ასახულია ჩვენი ქვეყნის და ხალხის ისტორია.

სწორედ ამიტომ, პარალელურად უნდა გავიდრმაგოთ ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული თარგმნის ნიუანსების ცოდნა და ასევე საფუძვლიანად შევისწავლოთ ინგლისურ ენაზე და ინგლისური ენიდან თარგმნის თავისებურებანი და მოვარგოთ ახალი სისტემის უნიფიცირებულ დოკუმენტებს.

მასალაზე მუშაობისას შეიძლება ხმამაღალი განცხადებაა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთგვარი ქაოსია მთარგმნელობით პრაქტიკაში. თარგმნისას მთარგმნელები მხოლოდ მათი კომპეტენციიდან გამომდინარე, თავისი შეხედულებისამებრ მოქმედებენ და წყვეტენ არსებულ ტიპურ პრობლემებს, რომლებიც არც თუ ისე

იშვიათად გვხვდება. ზოგ შემთხვევაში, ერთი მთარგმნელის მიერ გადათარგმნილ საბუთში ვაწყდებით ერთი და იმავე ტერმინის ან/და კლიშეს განსხვავებულ თარგმნით ვარიანტებს.

სასიხარულო ფაქტია ის, რომ 2019 წელს, საქართველოს სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიამ შეიმუშავა უცხო ენიდან ტრანსლიტერაციითა და ტრანსკრიბციით გადმოტანის ერთიანი წესები, რომლებიც დაეგზავნათ ორგანიზაციებს სახელმძღვანელოდ, რაც ხელს შეუწყობს ოფიციალურ-საქმიანი საბუთებისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის ერთმნიშვნელობიანობისა და ერთგვაროვნების შენარჩუნებას. იმედია, კომისია შეიმუშავებს რუსული ენიდან ქართულ ენაზე და პირიქით, ქართული ენიდან რუსულ ენაზე ტრანსლიტერაციისა და ტრანსკრიბციის ერთიან წესებსაც. ამასთანავე, ვფიქრობთ, ეს უნიფიცირების პროცესი დასრულდება ოფიციალურ-საქმიანი საბუთებში გავრცელებული ტერმინების შესატყვისი ვარიანტების დადგენით, რაც ასე აუცილებელია ჩვენი საქმიანი ურთიერთობების რეგლამენტირებისას დოკუმენტების შედგენისა და თარგმნისათვის.

ყოველივე ზემოთ თქმული მეტყველებს ჩვენი თემის აქტუალურობაზე.

თემის მიზანი: საქმიანი ქაღალდების დახასიათება და თარგმნის თავისებურებების ანალიზი, რომლის მისაღწევად აუცილებელი იყო შემდეგი კონკრეტული ამოცანების გადაჭრა:

1. ქართული და რუსული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის ისტორიული განვითარების შესწავლა, საქმიანი ქაღალდების დახასიათება;
2. კანცელარიზმების (შტამპების, კლიშირებული კონსტრუქციების, გრამატიკული ფორმების) ფუნქციონირების ანალიზი;
3. უნიფიცირების პროცესის გაშუქება;
4. საბუთების თარგმნის პრობლემების გაანალიზება.

შესწავლის ობიექტი - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში, კანცელარიასა და არქივში დაცული ქართული და რუსული ოფიციალურ-საქმიანი საბუთები.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებული გვაქვს: დისკურსის ანალიზი, ტექსტის ლინგვისტური ანალიზი, შედარებით-შეპირისპირებითი მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ორ ენაში არსებული მსგავსება-განსხვავებანი.

მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის ლექსიკის კომპლექსური მრავალასპექტიანი გამოკვლევა, რომელიც ფუნქციონირებს სხვადასხვა კულტურულ და ენობრივ გარემოში - ქართულ და რუსულ ენებში და მათი თარგმნის ზოგიერთი ასპექტები.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს მთელი რიგი ცნებების დაზუსტებაში და დახვეწაში ქართულ სამეცნიერო სივრცეში (დისკურსი, უნიფიცირებული საქმიანი დოკუმენტაცია, კანცელარიზმები, შტამპები, კლიშირებული ერთეულები და სხვ.). აქვე განხილულია ნაკლებად შესწავლილი ქართული და რუსული ოფიციალურ-საქმიანი საბუთების თარგმნის პრობლემები.

თემის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს საქმიანი ქაღალდების თარგმნის კვლევის შედეგების გამოყენების შესაძლებლობა. ნაშრომში გაანალიზებული მასალა და დასკვნები საინტერესო იქნება ლინგვისტებისთვის, მთარგმნელებისთვის, პროფესიული კადრების მომზადებისთვის. შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება მთელი რიგი დისციპლინების პრაქტიკული მეცადინეობებზე (სოციოლინგვისტიკა, ზოგადი თარგმანის თეორია და პრაქტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და სხვ). ემპირიული მასალა წარმოდგენილია დანართის სახით. ჩვენ გადავწყვიტეთ აღნიშნული დანართი დაგვეჯგუფებინა პირობითად საბუთის ენისა და ტრაფარეტული ფორმის დინამიკის მიხედვით, რომელშიც ერთდროულად თვალნათლივ შეიძლება დავაკვირდეთ საქმიანი ენის განვითარებას, მთარგმნელობით ნიუანსებს, ამ ენისთვის დამახასიათებელი კანცელარიზმების ხვედრითი წილის თანაფარდობას ქართულ და რუსულ ტექსტებში, საქმიანი დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის ცვლილებას, საბუთების გაფორმებისას ფორმატის ცვლილებებს დროში. ვფიქრობთ, შესაძლებელი იქნება აღნიშნული დანართის პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენება თვალსაჩინოებისათვის.

თავი I

ოფიციალურ-საქმიანი დისკურსი

1.1 ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის რაობა.

ჩვენი არსებობა წარმოუდგენელია კომუნიკაციის გარეშე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ დისკურსი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

ვიციტ, რომ ტერმინი „დისკურსი“ ფრანგული ლინგვისტიკის ფარგლებში ჩამოყალიბდა და აქეთ-იქით სირბილს, მოძრაობას, მეტყველებას ნიშნავს (ფრანგ. discours, ლათ. discursus, ინგლ. Discours) („CIVIL ენციკლოპედიური ლექსიკონი“, 2010).

და მაინც, რა არის დისკურსი? რამ განაპირობა მისი აღმოჩენა და წარმოჩენა, რომელიც XX საუკუნის ლინგვისტიკის დიდ მიღწევად მიიჩნევა? დისკურსის შესწავლა დაიწყო ანთროპოცენტრული პარადიგმის ფარგლებში. სტრუქტურალიზმის პერიოდში სოსიურის მიერ დაპირისპირებული ენისა და მეტყველების დიხოტომია შეისწავლებოდა. პრაგმატიკის განვითარებამ კი განაპირობა დისკურსის მიმართ ინტერესი და მისი ინტენსიური შესწავლა. თუკი XX საუკუნის დასაწყისში ლინგვისტიკას აინტერესებდა, თუ „როგორ იყო მოწყობილი ენა“, XX საუკუნის ბოლოსთვის დაინტერესდა, თუ „როგორ ფუნქციონირებდა ენა“.

ლინგვისტურ ლიტერატურაში გვხვდება დისკურსის სხვადასხვა განმარტება. ეს განპირობებულია იმით, რომ დისკურსი რთული მოვლენაა: ის გაცილებით მეტია, ვიდრე სიტყვა, წინადადება, ტექსტი, ნათქვამი. თუმცა ესენიც დისკურსის შემადგენელი ნაწილებია და მათ გარეშე დისკურსი არ არსებობს.

მიხეილ მაკაროვი მიიჩნევს, რომ დღეს, ლინგვისტურ ლიტერატურაში, სულ უფრო ხშირად გამოიყენება „დისკურსი“ როგორც მეტყველების, ტექსტის, დიალოგის გვაროვნული კატეგორია და ეს იმ დროს, როცა ფილოსოფიური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ტერმინოლოგია უკვე ნორმადაა ქცეული (Макаров, 2003:59).

ამერიკელმა ლინგვისტმა ზელინგ ჰარისმა 1952 წელს ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ტერმინი „დისკურსი ანალიზი“. ამ ტერმინით აღნიშნა „მეტყველების ანალიზის მეთოდი“, რომელიც დესკრიპციული ლინგვისტიკის გაფართოებასა და

კულტურისა და ენის თანაარსებობას განსაზღვრავდა. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, მკვლევარი თვლის, რომ დისკურსის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას იგივე მეთოდები, როგორსაც იყენებს დესკრიპციული ლინგვისტიკა წინადადების განხილვის დროს. თანამედროვე დისკურსის თეორიაში გამოყოფენ ამ მოვლენის გაგების მეტად ფართო ან მეტად ვიწრო მიდგომებს (Макаров, 2003:59).

ვან დეიკის მიხედვით, დისკურსი არის კომუნიკაციური მოვლენა, რომლის კომუნიკაციური პროცესი მიმდინარეობს განსაზღვრული დროისა და სივრცის კონტექსტში, მოსაუბრესა და მსმენელს შორის. ეს კომუნიკაცია შეიძლება იყოს ზეპირი, წერილობითი, ვერბალური და არავერბალური. ტიპური მაგალითებია: მეგობრული საუბარი, საუბარი ექიმსა და პაციენტს შორის, გაზეთის კითხვა. ვიწრო გაგებით გამოყოფენ მხოლოდ ვერბალურ შემადგენელს (კომუნიკაციურ მოქმედებას) და მასზე ლაპარაკობენ, როგორც ტექსტზე ან მეტყველებაზე (Ван Дейк, 2013:21).

ამ თვალსაზრისით ტერმინი „დისკურსი“ აღნიშნავს დამთავრებულ ან მიმდინარე კომუნიკაციური მოქმედების „პროდუქტს“, ის მისი წერითი და ზეპირი გაფორმებაა, რომლის ინტერპრეტირება ხდება რეციპიენტის მიერ (Ван Дейк, 1998).

ვლადიმერ ზვეგინცევის, აზრით დისკურსი: „...აზრობრივად დაკავშირებული ორი ან მეტი წინადადებაა“ (Каменская, 2010).

აღლა კუდლიაევა დისკურსში გულისხმობს არა მეტყველებას, არამედ ლევ შჩერბას კლასიკური გაგებით მეტყველების შედეგს და სამეტყველო კომუნიკაციაზე მოქმედ სოციოკულტურულ და სიტუაციური ფაქტორების ერთობლიობას. მარინა შლიოპკინა დისკურსის თეორიის ლინგვისტური კვლევების შედეგებზე დაყრდნობით ასკვნის: „ენა-მეტყველების ერთეულია, რომელიც ტექსტზე გავლით ახასიათებს ენობრივ ერთეულს. დისკურსის პროცესიალური თავისებურებები განსაზღვრულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით“ (Шлёпкина, 2011).

ფრანგი კულტუროლოგის მიშელ ფუკოს აზრით, დისკურსი ყოველივე წარმოთქმულის და გამოხატულის ერთობლიობაა (Фуко, 1996:65). ემილ ბენვენისტის განსაზღვრებით დისკურსი არის მეტყველება, რომელიც მოსაუბრეს ეკუთვნის და ობიექტურ თხრობას უპირისპირდება. გამონათქვამში ხაზს უსვამს განხორციელების საშუალებას - თავად აქტს, სიტუაციას, რომელშიც ის რეალიზდება და აღნიშნავს,

რომ მოსაუბრე ისაკუთრებს ენის ფორმალურ აპარატს და თავის, როგორც მოსაუბრის, სტატუსს გამოხატავს ერთი მხრივ, სპეციალური მინიშნებების საშუალებებით და მეორე მხრივ, სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით. საერთოდ კი, მეტყველების აქტი ხასიათდება პარტნიორთან მეტყველებაში დამკვიდრებული წარმოსახვითი თუ რეალური, ინდივიდუალური და კოლექტიური ურთიერთობების ხაზგასმით (Бенвенист, 1974:316).

ელენა კუბრიაკოვა და ოლგა ალექსანდროვა თვლიან, რომ დისკურსის და ტექსტის დეფინიციების განსხვავებების მიუხედავად, ისინი არ მოდიან ერთმანეთთან წინააღმდეგობაში, ანუ არ ითვლებიან ურთიერთგამრიცხავ ცნებებად.

კოგნიტური და ლინგვისტური თვალსაზრისით, დისკურსისა და ტექსტის ცნებებს შორის არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი: ტექსტი დისკურსში იბადება და მის პირმშოს წარმოადგენს (Курякова, 2001:72-81).

დისკურსი არის „რეალურ სიტყვისწარმოქმნასთან დაკავშირებული კოგნიტური პროცესი. ტექსტი არის მეტყველების დასრულების შედეგი, რომელიც გადმოიცემა განსაზღვრული დასრულებული ფორმით. ტექსტი დისკურსად შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ მაშინ, როცა ის რეალურად აღიქმება მიმღები ადამიანის მიერ (Курякова, 2012:123-124).

შლიოპკინა გადმოგვცემს (Utz Maas) მასის მოსაზრებას დისკურსის შესახებ, რომლის მიხედვითაც დისკურსი განხილულია, როგორც სოციალური და ისტორიული ფაქტორებით განსაზღვრული საზოგადოებრივი პრაქტიკის შესაბამისი ენობრივი ფორმულა და მეტყველებაში არსებული ტექსტების ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებულია საერთო სიტუაციური თემებით და განსაზღვრულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით. მოიცავს კონკრეტულ საკომუნიკაციო პირობებს, ურთიერთობის არხებს, კომუნიკანტების სოციალურ დახასიათებას, ურთიერთობის არავერბალურ საშუალებებს (Шлёпкина, 2011).

ქართულ ლინგვისტიკაში საქმიანი დისკურსის ანალიზი აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უსაზღვრო, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი სფერო. სალომე ოშიაძე მიმოიხილავს რა დისკურსის განმარტებებს, აჯამებს მათ და ასკვნის: „როგორც ვხედავთ, არც ერთი განმარტება არ არის ნათელი

და სრული: ერთგან იგი წარმოდგენილია როგორც ტექსტების ერთობლიობა, მეორეგან - დისკურსულ „პრაქტიკებში“ განხორციელებული ურთიერთობა, მესამეგან - როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყველა მითითებულ სფეროში (ტექსტის ლინგვისტიკა, დისკურს-ანალიზი, სოციოლოგია, სოციალური სემიოტიკა, ლოგიკა და ფილოსოფია) „დისკურსის“ განსხვავებული დეფინიციები არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ცნების განსაზღვრება სხვადასხვა მეცნიერული ცოდნის ფარგლებშიც კი უნიფიცირებული არ არის.“ ყველა მკვლევარი და ლინგვისტი ჯერდება იმაზე, რომ დისკურსის ანალიზი არის აქტიური ენის ანალიზი (ომიადე, 2006:18).

ჩვენი აზრით, „დისკურსი“-ს ყველაზე ლაკონური და ამავდროულად ღრმა განმარტება ეკუთვნის ნინა არუთუნოვას, რომლის აზრით, დისკურსი არის ცხოვრებაში ჩაძირული მეტყველება („Дискурс это речь, погружённая в жизнь“) (Арутюнова, 1990:137).

დისკურსი არის მეტყველება ცხოვრებისეული ყველა ნიუანსით და სპეციფიკით. სწორედაც ცხოვრებისეული რეალიები წარმოადგენენ პრაგმატულ ასპექტებს. დისკურსი, როგორც ცხოვრებაში ჩაძირული მეტყველება, სხვადასხვანაირი გაგების და განხილვის საშუალებას იძლევა. პრაგმატული ლინგვისტიკის თვალსაზრისით, დისკურსი ურთიერთობის მონაწილეთა ინტერაქტიური საქმიანობაა, მათ მიერ კონტაქტების დამყარება და შენარჩუნება, ინფორმაციისა და ემოციების გაცვლა, ერთმანეთზე ზემოქმედების მოხდენა, პრაქტიკაში მომენტალურად ცვალებადი კომუნიკაციური სტრატეგიების და მათი ვერბალური და არავერბალური გამოხატვის საშუალებების ურთიერთკავშირებია, ექსპლიციტურ და იმპლიციტურ ჭრილში კომუნიკაციური სვლების განსაზღვრა. ფსიქოლინგვისტიკის კუთხით, დისკურსი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მეტყველების წარმოშობის პროცესში შინაგანი კოდიდან გარეგან ვერბალიზაციაზე გადართვა და მათი ინტერპრეტაცია ენობრივი პიროვნების სოციო-ფსიქოლოგიური ტიპების, მათი როლისა და დანიშნულების გათვალისწინებით. ფსიქოლინგვისტიკის ინტერესის სფეროს წარმოადგენს ასევე კომუნიკანტებს შორის დაშვებული შეცდომები და დარღვეული კომპეტენციების შესწავლა. დისკურსის ლინგვისტიკური

ანალიზი მოიცავს კომუნიკანტების გამოყოფას, მათი ზეპირი და წერილობითი მეტყველების გამიჯვნას ჟანრული თავისებურებების გათვალისწინებით და ამის საფუძველზე ურთიერთობის ფუნქციონალური პარამეტრების განსაზღვრას. დისკურსის ლინგვო-სტრუქტურული აღწერა ითვალისწინებს მის სემანტიკას და მიმართულია ტექსტების თავისებურებების - დისკურსის შინაარსისა და ფორმის კავშირის, თემის გადართვის ხერხების, შემზღვეველი მოდალობების, დიდი და მცირე ტექსტური ბლოკების, დისკურსიული პოლიფონიის, როგორც ერთდროულად რამოდენიმე სიღრმის ტექსტის დონეზე კომუნიკაციის გაშუქებაზე. დისკურსის ლინგვოკულტურული შესწავლა ითვალისწინებს ეთნოსებს შორის ურთიერთობების, ამ ურთიერთობების ეტიკეტის მოდელების განსაზღვრას, მენტალობის ერთეულების, კონცეპტების სახით შესაბამისი ეთნოსის კულტურული დომინანტის დახასიათებას. დისკურსის კოგნიტურ-სემანტიკური მოვლენა შეისწავლის ფრეიმებს, სცენარებს, მენტალურ სქემებს, კოგნოტივებს, ურთიერთობის სხვადასხვა მოდელის რეპრეზენტაციას გონებაში. დისკურსის სოციოლინგვისტური მიდგომა ითვალისწინებს ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფს მიკუთვნებული კომუნიკაციის მონაწილეთა და ფართო სოციოკულტურულ კონტექსტში ურთიერთობის გარემოებების ანალიზს (Карасик, 2000:8).

ამრიგად, ტერმინ „დისკურსის“ განმარტებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის აღწერს მეტყველების ხერხს და გააჩნია ორმაგი მიდგომა - როგორი? ან/და ვისი? ამის გათვალისწინებით და სოციოლინგვისტიკის მიხედვით, ვლადიმერ კარასიკი გვთავაზობს დისკურსის შემდეგ კლასიფიკაციას: პერსონალური (პიროვნულზე ორიენტირებული) და ინსტიტუციური.

პირველ შემთხვევაში მოსაუბრე გვევლინება, როგორც პიროვნება, მთელი თავისი შინაგანი ბუნებით. მეორე შემთხვევაში - როგორც გარკვეული სოციალური ინსტიტუტის წარმომადგენელი (Карасик, 2000:8).

ტატიანა შირიაევას აზრით, ინსტიტუციური დისკურსი შეიძლება განხილულ იქნეს არა მარტო, როგორც ფილოსოფიურ-ლინგვისტური ფენომენი, არამედ როგორც თანამედროვე საზოგადოების სოციალური პროცესებისა და მოვლენების ანალიზის მეთოდოლოგიური აპარატი. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც

კაცობრიობის ცივილიზაციაში შექმნილი ამა თუ იმ მოვლენისა და ფორმის განხილვის ერთ-ერთი მეთოდოლოგიური პრინციპი. დისკურსის ტექნიკა და წყობა საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ნებისმიერი სოციალური ფორმის, მოვლენის ან ისტორიული იდეის, ფაქტის, კონცეფციის, ცოდნის განვითარებას ისტორიულ ჭრილში (Ширяева, 2007:106).

ვლადიმერ კარასიკი ინსტიტუციური დისკურსის აღწერისას დელ ჰაიმსის (Dell Hymes) კომუნიკაციური სიტუაციის მოდელის გამოყენებას გვთავაზობს, რომელიც ცნობილია ჰაიმსის მოდელის სახელით. ჰაიმსი კომუნიკაციური სიტუაციის აღმნიშვნელად იყენებს აკრონიმს SPEAKING და შემდეგნაირად ხსნის მას: Situation (სიტუაცია), Participants (მონაწილეები), Ends (მიზანი), Act Sequences (კომუნიკაციის თანმიმდევრობა), Keys (ტონალობა), Instrumentalities (ხერხები), Genres (ჟანრები). ამ აკრონიმში თავმოყრილია კომუნიკაციისთვის აუცილებელი კომპონენტები (Карасик, 2016:62).

ლიუბოვ ბეილინსონის აზრით - ინსტიტუციური დისკურსი სამართლიანად მიეკუთვნება ურთიერთობის განსაკუთრებულ ტიპს, რომლის კონსტიტუციურობა საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სოციალური დაკვეთის შესრულებაში მდგომარეობს და გამოხატულია როლების გადანაწილებაში, კომუნიკაციის და ქცევის ნორმების სისტემატიზაციაში (Бейлинсон, 2009:146).

ინსტიტუციური დისკურსი წარმოადგენს, მოცემულ ჩარჩოებში მოქცეულ როლურ-სტატუსურ სამეტყველო ურთიერთობებს. რომელთაც საერთო საქმიანი ურთიერთობები გააჩნიათ. თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს ინსტიტუციური დისკურსის შემდეგი სახეები: პოლიტიკური, დიპლომატიური, ადმინისტრაციული, იურიდიული, სამხედრო, პედაგოგიური, რელიგიური, სამედიცინო, საქმიანი, სარეკლამო, სპორტული, სცენიური, მასობრივ-საინფორმაციო და სხვ. შესაძლებელია ამ ჩამონათვალის შეცვლა გაზრდა იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივი ინსტიტუტები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამასთანავე, შესაძლებელია დროთა განმავლობაში მათი ერთმანეთში შერწყმა და რომელიმე ტიპის ნაირსახეობად ჩამოყალიბება.

ინსტიტუციური დისკურსი გამოიყოფა მისთვის დამახასიათებელი ორი ნიშნის საფუძველზე, ესენია: მიზანი და ურთიერთობის მონაწილეები. მაგ: პოლიტიკური დისკურსის მიზანია ძალაუფლების მოპოვება და შენარჩუნება, პედაგოგიური დისკურსის - ახალი საზოგადოების წევრის სოციალიზაცია, საქმიანი დისკურსის - საქმიანი ურთიერთობების დამყარება ორგანიზაციებსა და ადამიანებს შორის.

კარასიკი ინსტიტუციური დისკურსის ოთხ ძირითად მახასიათებელ ნიშანს გამოყოფს და აქვე გვამდევს მათ განმარტებას:

- 1) კონსტიტუციურობა;
 - 2) ინსტიტუციურობა;
 - 3) ურთიერთობის ტრაფარეტულობა;
 - 4) ნეიტრალურობა.
- ❖ კონსტიტუციურობის ნიშანი მოიცავს და აერთიანებს მონაწილეებს, პირობებს, ორგანიზაციას, კომუნიკაციის ხერხებს და მეთოდებს, ანუ ადამიანებს თავის როლურ-სტატუსურ და სიტუაციურ-კომუნიკაციურ ამპლუაში, ურთიერთობის სფეროს და გარემოს, მოტივს, მიზანს, სტრატეგიას, არხს, რეჟიმს, ტონალობას, სტილს, ჟანრს, და ბოლოს კომუნიკაციის ნიშანს (ტექსტი/არავერბალური ნიშნები). ეს ყველაფერი კარგად არის გაშუქებული სოციოლინგვისტიკასა და პარალინგვისტიკის შესახებ ნაშრომებში.
 - ❖ ინსტიტუციურობა აფიქსირებს მოსაუბრისა და მსმენელის როლურ თავისებურებებს, ტიპურ ქრონოტიპებს, სიმბოლურ მოქმედებებს, ტრაფარეტულ ჟანრებსა და სამეტყველო კლიშეებს.
 - ❖ ურთიერთობის ტრაფარეტულობა განასხვავებს ინსტიტუციურ დისკურსს პიროვნულისაგან. ეს არის თავისებურად შენიღბული კომუნიკაცია, რომელიც მის ტიპში მჟღავნდება, ანუ საზოგადოებრივი ინსტიტუტის ტიპში, რომელიც კოლექტიურ ენობრივ მეხსიერებაში აღნიშნულია განსაკუთრებული სახელით, განზოგადებულია ამ ინსტიტუტის საკვანძო კონცეპტში (პოლიტიკური დისკურსი - ძალაუფლება, პედაგოგიური - სწავლება, რელიგიური - რწმენა, იურიდიული - კანონი, სამედიცინო - ჯანმრთელობა და სხვ.). ის უკავშირდება

ადამიანთა განსაზღვრულ ფუნქციებს და ხერხებს და ამასთანავე, მიმართულია ამ მოცემული ფუნქციების შესასრულებლად, საზოგადოებრივი რიტუალით და ყოველდღიური სტერეოტიპებით, მითოლოგიით, აგრეთვე, ტექსტებით, რომლებიც წარმოიქმნება ამ სოციალურ გარემოში.

- ❖ ინსტიტუციური დისკურსის ნეიტრალური ნიშნები მოიცავს საერთო დისკურსულ თავისებურებებს, ნებისმიერი ურთიერთობისთვის საერთოს. ეს შეიძლება იყოს პიროვნულზე ორიენტირებული ნიშნები, აგრეთვე სხვა ტიპის დისკურსის თავისებურებები, რომლებიც მჟღავნდებიან „სხვის ტერიტორიაზე“, ეგრეთ წოდებული ტრანსპორტირებული ნიშნები (ქადაგება - პოლიტიკურ დისკურსში, რეკლამები - სამედიცინო დისკურსში, მეცნიერული დისკურსი - განათლებაში).

კონკრეტული ინსტიტუციური დისკურსის აღწერისას საყურადღებოა ისეთი კომპონენტების განხილვა, როგორებიცაა: მონაწილეები, ქრონოტიპი, მიზანი, ღირებულებები (მათ შორის კონცეპტი), სტრატეგიები, თემატიკა, ნაირსახეობა და ჟანრი, პრეცედენტული ტექსტები, დისკურსული ფორმულები (Карасик, 2000:8).

ინსტიტუციური დისკურსის ერთ-ერთ საინტერესო სახეს და მიმართულებას წარმოადგენს საქმიანი დისკურსი, რომელსაც ახასიათებს ინსტიტუციური და კოგნიტურ-ლინგვისტური თავისებურებები და რომლებიც გამოარჩევს მას დისკურსის სხვა ტიპებისაგან. ეს არის საქმიანი კომუნიკაციის წესების დაცვა. ის გამოიხატება საქმიანი კულტურის ბაზისური ცნების, პროფესიულად მართული იდეებისა და კონცეპტების, ინსტიტუციური და პიროვნული ქცევის ნორმების განსაზღვრაში. ეს არის სტერეოტიპული სიტუაციები, ფორმულები, სპეციალური თეზაურუსი.

ინსტიტუციური საქმიანი დისკურსი ადამიანთა მიზანმიმართული სტატუს-როლური მეტყველებაა, რომელთა საერთო ნიშანია საქმიანი ურთიერთობები. ეს არის რთული, მრავალასპექტიანი წარმონაქმნი, რომლის შემადგენლობაში შემავალი ყოველი რგოლი შეიცავს თავის ადრესატს და ადრესანტს (ადამიანი ამა თუ იმ დისკურსულ სივრცეში ერთვება არა მარტო გარკვეული როლის გათვალისწინებით, არამედ საკუთარი მიზნებითაც), კომუნიკაციის მიზნებსა და ამოცანებს

(კონკრეტული გადაწყვეტილების ან საერთო კოორდინაციული შედეგის მიღწევა), ურთიერთმოქმედების სიტუაციებს. ცნებების მკაცრი განსაზღვრა არის მისი ეფექტურობის განმსაზღვრელი. როგორც აღვნიშნეთ, საქმიანი დისკურსი გამოირჩევა სტრუქტურული და ლინგვისტური თავისებურებებით. ჭარბობს ფრაზეოლოგიზმები და კლიშეები, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმიან დისკურსს ახასიათებს სიმყარე და ჩაკეტილობა, რაც გამოხატულებას ჰპოვებს მის სპეციფიკურ ფუნქციონალურ მიმართულებებში: ხელშეკრულებები, სახელმწიფო აქტები, იურიდიული კანონები, დადგენილებები, უწყებები, ინსტრუქციები, სამსახურეობრივი მიმოწერა, პირადი შემადგენლობის საქმიანი ქაღალდები და ა.შ. მრავალი ქართველი (ა. შანიძე, არ. ჩიქოვავა, ნ. ბასილაია, ა. არაბული, ი. ვაშაკიძე, მ.ფაღავა, ნ. მიქელაძე, ნ. ცეცხლაძე, მ. ხახუტაიშვილი, მ. კიკვაძე, ნ. ფარტენაძე, დ. ახვლედიანი და სხვ) თუ უცხოელი მკვლევარი (А. Федоров, В. Виноградов, С. Бархударов, Д. Розенталь, О. Каменская, М. Кожина и др) გამოყოფს საქმიანი დისკურსის დოკუმენტებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. ჩვენც ვეთანხმებით მათ და გთავაზობთ ამ თავისებურებების ჩვენეულ დაჯგუფებას:

ენობრივი

- სალიტერატურო ენის მკაცრი დაცვა;
- შესაბამის სფეროში დამკვიდრებული და დამახასიათებელი

სახელწოდებების და ტერმინების გამოყენება;

- ენობრივი ფორმულების სტანდარტულობა;
- შტამპებისა და კლიშეების გამოყენების მაღალი ხვედრითი წილი
- შემოკლებებისა და აბრევიატურის ხშირი გამოყენება...

სტილისტური

- იმპერატიულობა და ვალდებულება;
- კონკრეტულობა;
- სიზუსტე და სიცხადე;
- ლაკონურობა და სიმშრალე;
- ემოციის ენობრივ საშუალებათა მაქსიმალური შეზღუდვა;
- ინფორმაციულობა და დასაბუთების მკაცრი ლოგიკურობა;
- სანდოობა და ობიექტურობა...

ფორმოზრივი

- ფორმოზრივი სტანდარტულობა;
- თარიღებისადმი ერთგულება;
- სტატისტიკური მონაცემების ხშირი მითითება;
- ტექსტის ოფიციალური დამოწმება...

ჩვენ გამოვყავით საქმიანი დისკურსის ენოზრივი, სტილისტური, ფორმოზრივი თავისებურებები.

ყოველ დისკურსს შესაბამისი სტილი ახასიათებს. სიტყვა „სტილი“ უძველესი დროიდან მოდის. მისგან მომდინარეობს ტერმინი „სტილისტიკა“ (ფრანგ. stylistique), რომელიც ენათმეცნიერების დარგს წარმოადგენს და „სწავლობს სხვადასხვა სტილსა და გამომსახველობითს ენოზრივ საშუალებებს აზრებისა და გრძნობების უკეთ გადმოსაცემად“ (ბასილაია, 1991:15).

ენოზრივი ფაქტი, სიტყვა იქნება ეს თუ წინადადება, რაღაცის გადმოცემასთან და გაგებასთანაა დაკავშირებული, რაც გადმოსაცემ შინაარსს და გადმომცემ საშუალებებს გულისხმობს. დიდი ქართველი ენათმეცნიერი არნ. ჩიქობავა თავის ნაშრომში „ენათმეცნიერების შესავალი“ წერს: „გადმოსაცემი შინაარსი ეს არის მეტყველის ცნობიერებაში გადამტყდარი ფაქტი სინამდვილისა: მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ბუნებაში, ადამიანთა საზოგადოებაში, ადამიანის ცხოვრებაში; გადმოსაცემი საშუალება ესაა ენოზრივი ფაქტი, ამ სინამდვილის ფაქტის აღსანიშნავად გამოყენებული. გადმოსაცემი შინაარსის (სათქმელისა) და გადმომცემი ენოზრივი საშუალების (თქმულის) ურთიერთობა ესაა სტილისტიკის ძირითადი პრობლემა. სტილისტიკა შეისწავლის ენოზრივ საშუალებებს მათ მიმართებაში გადმოსაცემ შინაარსთან.“ „ენათმეცნიერულმა სტილისტიკამ უნდა მოგვცეს ამა თუ იმ ენის დახასიათება იმ შესაძლებლობათა მიხედვით, რომლებიც მას აქვს, როგორც გამომხატველობით საშუალებას. მოკლედ, ამა თუ იმ ენის ექსპრესიული შესაძლებლობა საგანია სტილისტიკისა, როგორც ენათმეცნიერული დარგისა“. სტილისტიკაში ენის დახასიათება ხდება გამომხატველი საშუალებების მიხედვით და ის არკვევს „თუ რამდენად მარჯვეა ესა თუ ის ენა კონკრეტული და განყენებული აზროვნებისათვის, რა ახასიათებს მას: თავისუფალი, თუ სავალდებულო სიტყვათა რიგი, პასიური კონსტრუქციები ემარჯვება მას, თუ აქტიური, პარატაქსი

(წინადადებათა შეწყობა) თუ ჰიპოტაქსი (მთავარისა და დამოკიდებული წინადადების გამოყენება), მარტივი თუ რთული პერიოდები და სხვა. მორფოლოგია და სინტაქსი სათანადო ენაში არსებულ მოვლენებს აანალიზებენ, სტილისტიკა ამ მოვლენათა ექსპრესიულ (გამომხატველობით) შესაძლებლობას არკვევს“ (ჩიქობავა, 2008:246-248).

ბასილაიას ძალიან საინტერესო ფაქტები მოჰყავს სტილისტიკის ჩამოყალიბების ისტორიიდან. მისი გადმოცემით, პირველ ხანებში რიტორები ერთმანეთს უპირისპირებდნენ მდაბიო და ამაღლებულ მეტყველებას. ეს მიდგომა შემდეგში აისახა მწერლის სტილზეც. ამას მოჰყვა ზეპირი და წერიტი მეტყველების გამოყოფა. მოგვიანებით რომში და საბერძნეთში ჩამოყალიბდა მეტყველების სამი სახე: მდაბიო, საშუალო და დიდებული. ეს მოძღვრება საფუძვლად დაედო სხვა ქვეყნების პოეტიკას და რიტორიკას. საბოლოოდ, XVI საუკუნიდან სამი სტილის (მაღალი, საშუალო და დაბალი) თეორია დაუკავშირდა სამი კლასის არსებობას და სალიტერატურო ენას, მათ შორის საქართველოშიც (ბასილაია, 1991:10).

დიდი რუსი ენათმეცნიერი აკადემიკოსი ვინოგრადოვი გვთავაზობს სტილის თეორიულ განზოგადებას. ის განმარტავს, რომ ლინგვისტიკაში სტილი ეწოდება აზრის გამოთქმის ფონეტიკურ, ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებათა სისტემას; საკმაოდ დამაჯერებელია სტილის ფუნქციონალური ნიშან-თვისების მიხედვით დაჯგუფება და კლასიფიკაცია, რომლის ფუძემდებელად თავად გვევლინება. ფუნქციონალური სტილი ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას: კომუნიკაციურ, კოგნიტურ, პოეტურ, რეგულაციურ და სხვა (Виноградов, 2001:15).

განხილული დეფინიციებიდან შეიძლება ვთქვათ, რომ ფუნქციონალური სტილი გულისხმობს სტილისტურად მნიშვნელოვანი ენობრივი ხერხების შერჩევას, სადაც თვალნათლივადაა წარმოჩენილი განსხვავებები ლექსიკაში: სამეცნიერო ლექსიკას განასხვავებს ამ სტილისათვის დამახასიათებელი ტერმინების გამოყენება (ჰიპოთეზა, ლინგვისტიკა, ეკვივალენტი და სხვ.), პუბლიცისტურს განასხვავებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მაკროეკონომიკის ტერმინები (წინა საარჩევნო კამპანია, ოფიციალური ვიზიტი და სხვ.), სასაუბრო მეტყველებისთვის დამახასიათებელია ჟარგონი, უბრალო და მდაბიო მეტყველება. ენათმეცნიერებაში

ენის ფუნქციის და ენისა და მეტყველების სტილების მიხედვით კლასიფიკაციის სხვადასხვა ვარიანტები გვხვდება. იმის მიხედვით, მეტყველება წერითია თუ ზეპირი, გამოყოფენ სასაუბრო და წიგნურ სტილს. სასაუბრო სტილი ადამიანებს შორის ურთიერთობებს ემსახურება: შედარებით უბრალო, ხშირად შემოკლებული, ემოციური და ექსპრესიულია. წიგნური სტილი გრაფიკულად გამოისახება და მისი აღქმა შეიძლება მხედველობით. მისთვის დამახასიათებელია ენობრივი ნორმების მტკიცე დაცვა. ის უნდა იყოს ენობრივად გამართული, დახვეწილი და ადვილად გასაგები. მკვლევრები, რომლებიც ენის სოციალურ მხარეს სწავლობენ, მიუთითებენ ლიტერატურული და არალიტერატურული ენების მნიშვნელოვანი განსხვავებების შესახებ. სალიტერატურო ენა საყოველთაოდ მიღებული, აუცილებელი და უპირატესია ურთიერთობის უდიდეს სფეროში და სიტუაციაში. ემსახურება განათლების, სამართლის და პოლიტიკურ სფეროებს, პროფესიული კომუნიკაციის სფეროს და გამოიყენება საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგლამენტაციისათვის.

არსებობს სტილის კლასიფიცირების სხვადასხვა კრიტერიუმები: ჟანრის, ფუნქციის და სხვადასხვა მიდგომების მიხედვით. ნიკანდრო ბასილაია გვთავაზობს სტილის შემდეგ კლასიფიკაციას:

- სასაუბრო;
- ოფიციალურ-დოკუმენტური;
- სამეცნიერო;
- პუბლიცისტური;
- მხატვრული;
- ორატორული.

დამატებით გამოყოფს ნეიტრალურ სტილს, რომელიც საერთოა ყველა სტილისათვის (ბასილაია, 1991:39).

კლასიფიცირების საკმაოდ მრავალფეროვანი დაჯგუფებებისა, ჩვენთვის უფრო მისაღებია ვიქტორ ვინოგრადოვის კლასიფიკაცია. ვინოგრადოვი ენის ფუნქციის და ენისა და მეტყველების სტილების მიხედვით გამოყოფს 6 სტილს:

- სასაუბრო;
- ოფიციალურ-საქმიანი;

- საზოგადოებრივ-ინფორმაციული;
- სამეცნიერო;
- მხატვრული;
- რელიგიური (Виноградов, 2001:16-17).

ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ოფიციალურ-საქმიანი სტილი წარმოადგენს ენის ერთ-ერთ ფუნქციონალურ სტილს. საქმიანი დისკურსის ტექსტების თავისებურებების განხილვისას, უნდა აღინიშნოს, რომ მათი შედგენისას გამოიყენება სწორედ ეს სტილი - ენობრივი სტილი, რომლითაც იწერება საქმიანი ქაღალდები. ის წარმოადგენს ურთიერთობის (წერილობითი/ზეპირი) საშუალებას საქმიანი დამოკიდებულებების, სამართლებრივი ურთიერთობებისა და მართვის სფეროში. ის მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებს, იურისპრუდენციას, ეკონომიკას, სამხედრო საქმეს, რეკლამირების სფეროს, კომუნიკაციას ოფიციალურ დაწესებულებებში, სამთავრობო მოღვაწეობას.

ოფიციალურ-საქმიანი სტილის ქვესტილების კლასიფიკაციისას ვაწყდებით სხვადასხვა გადაჯგუფებას. საკანონმდებლო, დიპლომატიურ და კანცელარიულ (ადმინისტრაციულ-კანცელარიული) ქვესტილებს გამოყოფენ ტ. პლემჩენკო, ნ. ფედოტოვა, რ. ჩეჩეტი (Плещенко, Федотова, Чечет, 2001:15); ო. გუსევა - იურიდიულ, დიპლომატიურ და ადმინისტრაციულ-კანცელარიულ ქვესტილებს გვთავაზობს (Гусева, 2012:6); საკანონმდებლო, იურიდიულ, ადმინისტრაციულ და ზოგჯერ დიპლომატიური ქვესტილების გამოყოფაზე მიუთითებენ მ. კოჟინა, ე. დუსკაევა და ვ. სალიმოვსკი (Кожина, Дускаева, Салимовский, 2008:129); ი. გოლუბი დიპლომატიურ, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ-კანცელარიულ ქვესტილებს გამოყოფს (Голуб, 2003:64), დიპლომატიურ, კანონშემოქმედებით და ადმინისტრაციულ-საკანცელარიო ქვესტილებზე მიუთითებს იამზე ვაშაკიძე (ვაშაკიძე, 2016:270), ნანა ცეცხლაძე და მზია ხახუტაიშვილი გამოყოფენ საკუთრივ ოფიციალურ-საქმიან (ადმინისტრაციულ-საკანცელარიო), იურიდიულ (კანონშემოქმედებითი) და დიპლომატიურ ქვესტილებს (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014:59), ნიკანდრო ბასილაია ხაზს უსვამს კანცელარიული, იურიდიული და დიპლომატიური ქვესტილების არსებობას (ბასილაია, 1991:44).

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ეყრდნობა ცეცხლამისა და ხახუტაიშვილის კლასიფიკაციას. ემპირიულ მასალაში გამოვყოფთ შემდეგ ქვესტილებს: იურიდიულს, რომელიც გამოიყენება სახელმწიფო მმართველობის სფეროში (კანონი, ბრძანებულება), ოფიციალურ-საქმიანს (ადმინისტრაციულ-საკანცელარიო), გამოიყენება პირადი შემადგენლობის, დაწესებულებების დოკუმენტების წარმოებისას, რომელიც მიუთითებს ადმინისტრაციულ ურთიერთობებზე და დიპლომატიურს (საერთაშორისო დონეზე, მთავრობებსა და დიპლომატებს შორის ურთიერთობა).

საქმიანი დისკურსის მონაწილეები თავიანთი მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად იყენებენ სხვადასხვა ხერხებსა და საშუალებებს. საქმიანი დისკურსის სამეტყველო კომუნიკაცია მიმდინარეობს სტატუსურ-როლური ურთიერთობებით, როგორც ორგანიზაციებს, ასევე ფიზიკურ პირებს შორის. ის გამოხატულებას ჰპოვებს საქმიან მოლაპარაკებებში, მიმოწერაში, ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში, რომელიც გამოირჩევა განსაზღვრული სტრუქტურითა და ლინგვისტური თავისებურებებით.

მკვლევარ-მეცნიერები თვლიან და ჩვენც ვეთანხმებით იმპერიულ მასალაზე დაყრდნობით, რომ ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის მომსახურე ოფიციალურ-საქმიან სტილს სხვა სტილებისაგან გამოარჩევს ენობრივი ფორმულების სტანდარტულობა, ლექსიკა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციალური ტერმინოლოგიის, ნომენკლატურის, მყარი შესატყვისების, კლიშეს, შტამპისა და კალკის გამოყენების მაღალი ხვედრითი წილი. საქმიანი დისკურსის ტიპობრივი ტერმინების - კლიშეს, შტამპისა და შაბლონის მნიშვნელობები და დეფინიციები იმდენად ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ ჩვენ ისინი ერთ ფართო ცნებაში გავაერთიანეთ - კანცელარიზმებში. ამ სტილის ტექსტის და სპეციალური ენის განვითარების ყველაზე შესამჩნევი ტენდენცია სიტყვათშემოკლებებთანაა დაკავშირებული. აბრევიატურათა ფართოდ გამოყენება ცივილიზებული მსოფლიოს ცხოვრების ტემპის მიმართ ენის ბუნებრივი რეაქცია და დროით გამოწვეული ენობრივი პროცესია.

ემპირიული მასალის შესწავლისას ჩვენ ვეცადეთ სხვადასხვა მკვლევრის მიერ მოცემული ნიშან-თვისებები კომპლექსურად ჩამოგვეყალიბებინა და გადაგვენაწი-

ლებინა აქცენტები. ეს არის: გადმოცემის სიზუსტე - ზუსტად შერჩეული სიტყვები და ფრაზები, რომლებიც ასევე ზუსტად გადმოგვცემენ აზრს; ლაკონურობა - აზრის გადმოცემა მოკლედ, მკაფიოდ და სხარტად; სისწორე - სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა, რომლებიც ამ დისკურსისთვის არის დამახასიათებელი; იმპერატიულობა - მისი ბრძანებითი და ვალდებულებითი ხასიათიდან გამომდინარე კატეგორიულად მოითხოვს, ყოველგვარი დათქმისა და გამონაკლისის გარეშე, შესრულებას; კონკრეტულობა - რაც გულისხმობს გარკვეულ, განსაზღვრულ და არსებითი შინაარსის გადმოცემას; შეკუმშულობა - აზრის სრულად და ამომწურავად გადმოცემა მცირე რაოდენობის ენობრივი საშუალებებით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე სიტყვათა წყობას, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენისათვის დამახასიათებელია სიტყვათა შედარებით თავისუფალი განლაგება (ბასილაია, 1991:28).

ამასთან უნდა ითქვას, რომ შინაარსსა და ჟანრებს შორის განსხვავების მიუხედავად საქმიანი დისკურსისათვის განმსაზღვრელია ერთმნიშვნელობიანი, სემანტიკურად არაორაზროვანი გამჭვირვალე ენობრივი საშუალებები.

ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, გავცნობოდით ქართული და რუსული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის ისტორიას.

1.2 ქართული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის განვითარების ისტორიიდან

დამწერლობის წარმოშობის შედეგად შესაძლებელი გახდა ადამიანებსა და სახელმწიფოებს შორის არსებული სხვადასხვა სახის ოფიციალური, საქმიანი ურთიერთობები გაფორმებულიყო და დაფიქსირებულიყო წერილობითი ფორმით.

ოფიციალურ-საქმიანი საბუთები და მისი ენა, მიუხედავად ენათმეცნიერების განვითარებისა, ჯერ კიდევ კვლევის და ძიების საგანს წარმოადგენს. ჩვენ შევეცდებით ჩვენი გამოცდილებიდან, პრაქტიკიდან და სხვა მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევების შესწავლის საფუძველზე მოკლედ განვიხილოთ ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის დინამიკა ქართულ კულტურაში.

საქართველოში საქმიანი მიმოწერისა და საკანცელარიო დისკურსის ელემენტები ძველი დროიდანვე არსებობდა და ქვეყნის განვითარებისა და პოლიტიკური ვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვანაირი იყო. XI საუკუნის ქართველი მემკვიდრის, ლეონტი მროველის ცნობით, ქართული ენის როლის სახელმწიფოებრივი გაგება დასტურდება ფარნავაზის მოღვაწეობის დროს: *„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და მან შექმნა მწიგნობრობა ქართული“* (პატარიძე, 1980:16) და გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში, როცა საფუძველი ჩაეყარა ბაგრატიონთა დინასტიას და ეკლესიის წიაღში გაისმის: *„ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს...“* (ლომია, 2016:9).

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ქართული საქმიანი დისკურსის საბუთების რაოდენობა მეტად დიდი უნდა ყოფილიყო. მაგრამ სხვადასხვა გარემოებების გამო ჩვენამდე მხოლოდ მცირე რაოდენობამ მოაღწია. ასევე ცნობილია, რომ ძველად ამ დოკუმენტების შემდგენლებად განსწავლული მდივან-მწიგნობრები გვევლინებოდნენ, რომლებიც დოკუმენტების დაწერით და გადაწერით იყვნენ დაკავებულები და მათ „დამწერები“ ეწოდებოდათ (ჯავახიშვილი, 1926:65).

ძველი კულტურის მქონე ყველა ქვეყანაში, სადაც დამწერლობა სახელმწიფოებრივ და რელიგიური მნიშვნელობის ფაქტს წარმოადგენდა, მწერალთა პროფესია განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა (სურგულაძე, 1972:8).

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, საბუთების მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე გვაფიქრებინებს, რომ *„მწიგნობრებსა და მდივნებს შესაფერისი სწავლა უნდა ჰქონოდათ მიღებული და სათანადოდ გაწვრთნილნი უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად“*, ასევე უნდა ყოფილიყო საბუთების დაკანონებული დაწერილობის ერთიანი წესი, როგორც აგებულების, ისე შინაარსისა და ენის მხრივ. ამის დამამტკიცებელი ცნობა კი პირდაპირ ბაგრატ IV-ის 1058 წლის სიგელშია მოცემული: *„დაწერილი ესე ჩვენი დაამტკიცეთ ვითა წესი არს...“* (ჯავახიშვილი, 1926:83). მწიგნობრები მწიგნობართ-

უხუცესსა და პირველ ვეზირს, ჭყონდიდელს ექვემდებარებოდნენ. სიგელი ჭყონდიდელის გარეშე არ გაიცემოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მეფეთა საბუთები XI საუკუნემდე ადრე არ მოგვეპოვება, მათი ჩამოყალიბებული და სრულყოფილი სახე მიუთითებს იმაზე, რომ ქართული სამეფო სამდივანმწყობრო საბუთების შედგენას გაცილებით ადრე უნდა ჩაჰყროდა საფუძველი. საინტერესო და საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ XIII საუკუნეში, მონღოლთა ბატონობის დროს, საქართველოს დედაქალაქში არსებობდა დავთარხანა (დღევანდელი არქივი), სადაც დაცული იყო სხვადასხვა სახის საბუთი და დროთა განმავლობაში შესაძლებელი იყო ამ საბუთების შემოწმება და გადასინჯვა. ესეც საქმისწარმოების განხორციელებისათვის აუცილებელი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რაც მიანიშნებს საქმიანი დისკურსის საბუთების წარმოებისა და დაცვის ერთიანი სისტემის არსებობაზე.

ივ. ჯავახიშვილი გვთავაზობს ძველ საქართველოში ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის საბუთების წინამორბედი დოკუმენტების ჩამონათვალს და მათ აღმნიშვნელ ტერმინებს: „დაწერილი“, რომელიც ბაგრატ IV-ის განჩინების წიგნში გუარამ მამფლის საბუთის სახელად ორჯერ არის გამოყენებული, „სიგელი“ (სავარაუდოდ მე-10 საუკუნის მეორე ნახევრიდან უნდა შემოსულიყო ხმარებაში და XI-XV სს. მეფეთა საბუთებს აღნიშნავდა.), „გუჯარი“ (მე-15 საუკუნის დასასრულიდან ეწოდებოდა მეფეთა ნაბოძებ დოკუმენტებს, მე-18 საუკუნიდან ერთნაირი მნიშვნელობის გამო ეს ორი ტერმინი გაერთიანდა და იხმარებოდა ტერმინი „სიგელ-გუჯარი“), „წიგნი“ (იხსენიება უძველეს ქართულ ძეგლებში „წყალობის წიგნი“, „შენდობის წიგნი“, „გარიგების წიგნი“ და საბუთის აღმნიშვნელი სიტყვა იყო), „ბრძანება“ (განკარგულების შემცველი, მეფის მიერ ან მისი სახელით დაწერილი საბუთი), „ნიშანი“ (სპარსული წარმოშობის სიტყვაა, პირველად გვხვდება დავით აღმაშენებლის ანდერძში (1123 წ.), „პიტაკი“ (ბერძნულად-საწერ თაბახს ნიშნავს. იგი ქართულ დოკუმენტებში გვხვდება XIV საუკუნიდან. სულხან-საბას განმარტებით ნიშნავს სავედრებელს, თანამედროვედ იხმარება „პატაკი“), „იარლიყი“ ანუ „იარლუყი“ (მონღოლთა ბატონობის დროიდან გავრცელებული ტერმინი, სულხან-საბას განმარტებით ეწოდებოდა „მეფეთა შეწყალების უსტარს“), „ფირმანი“

(სულხან-საბას მიხედვით-დასტურის წიგნი), „დავთარი“ (საქართველოში შემოდის XIII საუკუნიდან, როგორც შემოსავლის აღწერის აღმნიშვნელი სიტყვა. XVIII საუკუნის მე-2 ნახევრიდან ეწოდებოდა ყიდვა-გაყიდვის აღმწესხველ დოკუმენტს, რომელსაც იურიდიული ძალაც ჰქონდა), „ბარათი“ (თურქული სიტყვა-გვხვდება XIII საუკუნიდან, აღნიშნავდა ფულისა და გადასახადის აღების უფლებას), „არზა“ (არაბული ტერმინი შემოვიდა XVII საუკუნიდან, აღნიშნავდა ხელისუფლებისადმი წერილობით თხოვნას ან საჩივარს, მანამდე ამგვარ საბუთს ეწოდებოდა „აჯა“), „რაცამი“ (არაბულ-თურქული ტერმინი, შემოვიდა XVII-XVIII საუკუნეებიდან), „ოქმი“ (არაბული წარმოშობის სიტყვა, საქართველოში იხმარებოდა გვიანი ფეოდალური ხანიდან და აღნიშნავდა კერძო პირთათვის და მთავრობისათვის შედგენილ დოკუმენტს), „თამასუქი“ (საქართველოში იხმარებოდა გვიანი ფეოდალური ხანიდან ვალის აღებისა და პირობების აღმწესხველი დოკუმენტის აღსანიშნად.), „დასტურლამალი“ ან მოკლედ „დასტურლამა“ (სპარსული წარმოშობის სიტყვა, რომელიც შუა საუკუნეების საქართველოში სახელმწიფო სამართლის ძეგლის ზოგად სახელწოდებად იქცა.) და ჩაანაცვლა ადრე არსებული ქართული ტერმინი „გარიგების წიგნი“ (დანიშნული მოხელის უფლება-მოვალეობის განმსაზღვრელი საბუთი), „განაჩენი“ (საქართველოში დამკვიდრდა XII საუკუნიდან და XIX საუკუნამდე იხმარებოდა განჩინებასთან ერთად ყოველგვარი ახალი საკანონმდებლო აქტის მნიშვნელობით), „წერილი“ (ფართოდ იხმარებოდა საქართველოში წერილობითი საბუთების აღსანიშნად. სულხან-საბას მიხედვით „წერილი ეწოდების ყოველსა კალამთაგან აღწერილსა“), „პატრუცაგი“ (მეფეთაგან მეფესთან მინაწერი), „რუარტაგი“ (მეფეთა ბრძანება), „მატიანე“ (სამეფოთა მოსახსენებელი), დღეს გავრცელებული ტერმინი „საბუთი“ (XVIII საუკუნიდან გვხვდება. საფიქრებელია არაბული სიტყვიდან უნდა წარმომდგარიყო, რაც წიგნში, დავთარში შეტანილს, ოქმის შედგენას ნიშნავს), „სიგელი შეუვალობისად“ (საბუთი, რომელიც შეწყალებულს გადასახადებისა და ჩვეულებრივი სასამართლოსაგან ათავისუფლებდა), მონღოლთა ბატონობის დროიდან ქართული შუამავლობის ნაცვლად მონღოლური ტერმინისგან ნაწარმოები „თარხნობის სიგელი“, „თარხნობის წიგნი“ და „სათარხნო წიგნი“ დამკვიდრდა...(ჯავახიშვილი, 1926:25-54).

საკმაოდ დიდია ამ საბუთების ნუსხა. ზოგი მათგანი გვხვდება და შეინარჩუნა ფუნქცია, ზოგმა კი დაკარგა თავისი დანიშნულება და საერთოდ გაქრა ქართული საქმისწარმოების სივრციდან.

შინაარსის და დანიშნულების მიხედვით შეიძლება გამოვყოთ: სახელმწიფო მოქმედებასთან დაკავშირებული, სისხლის და სამოქალაქო სამართლის და საქმიანი მიმოწერისათვის საჭირო საბუთები.

ძველად საქართველოში საქმიან საბუთებს სიგელს უწოდებდნენ. სიგელ-გუჯრებს ძირითადად გრაგნილის ფორმა ჰქონდათ, მაგრამ ზოგჯერ, როცა საბუთი დიდი ზომის იყო წიგნადაც იკვრებოდა. უკვე იმ დროინდელ ქართულ საქმიან საბუთებში ფიქსირდება ოფიციალურ-საქმიანი დისკურსისთვის დამახასიათებელი აუცილებელი და სავალდებულო ნიშნები. სიგელი დაყოფილია ნაწილად. „სიგლის თავად“ იწოდება ის ნაწილი, რომლითაც იწყება სიგელი. „სიგლის თავს“ ასევე გააჩნია შემადგენელი ნაკვეთები, რომლებიც შეიცავს უფლის ქებას, დიდებას ან ვედრებას, სახელდებას, ავტორის წოდებულებას. მას სიგელის „შესავალსაც“ უწოდებენ. XI-XIII სს. ვხვდებით მოკლე შესავლიან საბუთებს: „ქანწლი“ არ არის გავრცობილი და არ მოსდევს „სახელითა თვთისაითა“, არამედ პირდაპირ მზომებელი პიროვნების შესახებ ცნობით იწყება. „*ქ. სახელითა ღმრთისათა, მეფეთა მეფისა კონსტანტინესგან და თანამეცხედრისა ჩუენისა დედოფალთა დედოფლისა თამარისაგან და ძეთა ჩუენთა: დავით, გიორგი და ბაგრატისგან,*“ (შეწირულობის დამტიცების სიგელი კონსტანტინე მეფისა აბრაჰამ კათალიკოსისადმი 1492 წ.). XV საუკუნის საბუთებში შესავალი ნაწილი ზოგჯერ იმდენად დიდია, რომ თავად სიგელის დანარჩენ ნაწილებს ერთი-ორად ჭარბობს: „*ქ. ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა მეფისა, შერვანშა და შაჰანშა ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპყრობელსა მქონებელსა მეფეთ-მეფემან დიდმა ალექსანდრე*“ აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ XI-XIII სს. სიგელებში ქართველ მეფეთა ტიტულატურა ზუსტად შეესაბამებოდა საქართველოს მეფის ძალაუფლებას და თითქმის უცვლელად გადადიოდა შემდეგ საუკუნეებში (ლომია, 2016:17), XVI ს. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ მეფეთა სიგელებში მეფის პერსონის განმადიდებელი მოტივები თითქმის აღარ ჩანს. მეფე ლუარსაბის 1552 წ.

თბილისის სიონისადმი მიწერილ სიგელში ბრძანებულების ნაკვეთში გვხვდება მანამდე უცნობი მიმართვა: „აწე უზედაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა გიბრძანებთ, ვინგინდ კარით ჩვენით წარვლენილი მოსაქმენი იყუნეთ ქალაქის მოურაო, მამასახლისო, მელიქო და ნაცვალო და სხვანო მოსაქმენო თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ.“ აქ ნათლად ჩანს მეფის ინსტიტუტის დაკნინება. მეფე „უზესდაესი“ მოხელეებისათვის ბრძანებით მიმართვას ვერ ახერხებს და იძულებულია მოხსენების სახით გააცნოს თავისი სურვილი (ჯავახიშვილი, 1926:132). XV საუკუნიდან სახელდებისას მეფეთა სიგელში მოხსენიებულია თანამეცხედრე, შვილები, ძმები და ზოგ შემთხვევაში, ბიძაშვილებიც, რაც სამეფო ინსტიტუტის დაქვეითებაზე მეტყველებს (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2014).

სიგელის მეორე თავში ჰაჯა-მოხსენების მოკლე შინაარსთან ერთად გადმოცემულია საქმის ვითარება, რომელიც „თხრობ“-ის სახელითაა ცნობილი. თამარ მეფის 1202 წლის სიგელში ვხვდებით: *„მოვიდა ჩვენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონი ჭყონდიდელი... და გუეჰაჯა და მოგუაქსენა რათამცა...- დაგუაჯერა ღ ო და ვისმინეთ ჰაჯაი და მოხსენებაი მისი“-ო“* (ჯავახიშვილი, 1926:95).

ჰაჯა-მოხსენებას მესამე თავი მოსდევს, უკვე მეფის ან სხვა მწყალობლის გადაწყვეტილება, განგებულება - „ესე ბრძანებაი ჩემი არს გიორგი ბაგრატიანისა“-ო ნათქვამია გიორგი-I მიერ 1082 წ. გამოცემულ ერთ-ერთ სიგელში. განგებულებაში ყოველთვის ახლად დამყარებული უფლებრივი მდგომარეობა და ხანგრძლივობაა მითითებული. თუკი საქმე სამამულო საქმეს ეხებოდა, მას თან ახლდა ცნობა უძრავი ქონების შესახებ, საზღვრების და სხვა დანარჩენი ნიშნის მითითებით. მათ აღსანიშნად ზოგჯერ გამოიყენებოდა ჩამონათვალის მოკლე ჩანაწერი ტერმინი „მისის ყოვლისფერიანად“.

სიგელის მეოთხე თავში მოცემულია თხოვნა და განკარგულების უცილობლად ასრულების შესახებ ჩანაწერი „ბრძანებულება“, რომელსაც მოჰყვება იმ პირთა იერარქიული ჩამონათვალი, რომელთაც ეს ბრძანებულება ეხებოდათ აღსრულების მიზნით.

მეხუთე თავი შეიცავდა ცნობებს იმ სასჯელის შესახებ, რომელიც ელოდა აღნიშნული ბრძანებულების აღსრულების ხელის შემშლელ პირს - „კრულობითი

მოწმობა“. „კრულობითი მოწმობის“ გარდა სიგელი მისი დამტკიცებისთვის შემოღებულ დამსწრეთა და მოხელეთა ჩვეულებრივ მოწმობებსაც შეიცავდა. ბრალთგადამხდელობას და კრულობით მოწმობას მოსდევდა მეექვსე თავი, სიგელის შედგენის თარიღი და დამწერის ვინაობა. სიგელის მიმცემი ხელს აწერდა საბუთს. სიგელ-გუჯარს ჰქონდა დასაწყისი „სიგლის თავი“, შესაბამისად უნდა ჰქონოდა დასასრულიც, „სიგლის ბოლო“. „სიგლის ბოლო“ იწყებოდა ბრალთგადამხდელობიდან, მოიცავდა დათარიღებას და ხელრთვას, კრულობით და მარტივ მოწმობას. საბუთები დათარიღებულია და ვხედავთ დამწერის ვინაობას. გამცემის მიერ საბუთზე ხელწერას და დამტკიცებას "ხელის ჩართვა" ანუ "ხელრთვა" (ავტოგრაფი) ეწოდება. ქართველ წმინდა მეფეთა ხელრთვებს საბუთებში ვხვდებით XI საუკუნიდან. მეფის ხელისმოწერის "საუფლო ველისრთვი"-ს შესატყვისად, მეფის ბეჭედს „საუფლო ბეჭედი“ უნდა რქმეოდა, რომლითაც ხდებოდა საბუთის საბოლოო დამტკიცება.

განსაზღვრული დროიდან საქართველოში ყველა საბუთს ბეჭედი უნდა ჰქონოდა დასმული და თუკი ვინმეს ბეჭედი თან არ აღმოაჩნდებოდა, მოზოდიშებით და განსაკუთრებით აღნიშნავდა ამ გარემოებას და მკითხველს არწმუნებდა: „*ბეჭედი არ მქონდა, ეს ჩემი ხელია. ფარსადან*“. XIV საუკუნიდან ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბეჭედს და დაბეჭდვას. ამ პროცესს სულ მცირე ოთხი მოწმე მაინც უნდა დასწრებოდა. ამით უზრუნველყოფდნენ საბუთის უტყუარობას (ჯავახიშვილი, 1926:82-119).

თავდაპირველ ძეგლს, საიდანაც ხდებოდა გადაწერა ან გადახატვა, „დედად“ ან "დედანი" ეწოდებოდა და როცა გადმონაწერს ოფიციალურად ამოწმებდნენ, დედნის მსგავსი ძალა ენიჭებოდა (ჯავახიშვილი, 1926:62). დროთა განმავლობაში ეტრატის და განსაკუთრებით ქალღმერთი ზიანდებოდა და საჭირო ხდებოდა მათი გადაწერა და განახლება. ზოგჯერ გადამწერებს დედნის თარიღი გამორჩებოდათ და საბუთიც უთარიღობის გამო მნიშვნელობას კარგავდა. XV საუკუნიდან გვხვდება ე. წ. „ნატყუარი“ ანუ გაყალბებული საბუთებიც. ყალბი ისტორიული დოკუმენტების დამზადებას და გავრცელებას განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიეცა რუსეთის იმპერიის მმართველობის დროს, XIX საუკუნის 70-90-იან წლებში, როცა მეფის

რუსეთმა ახალდაპყრობილი ქვეყნის სწრაფად გარუსება და სრული რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარება გადაწყვიტა. ამის მისაღწევად მას ესაჭიროებოდა ქართული მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის აღწერა, რათა პრივილეგირებული წოდების სახით საიმედო დასაყრდენი ძალა შეექმნა. ამ მიზნით მან საქართველოს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისაგან მოითხოვა საკუთრებისა და წოდების დამადასტურებელი წერილობითი საბუთი. საქართველოში კი მანამდე საკუთრებისა და წოდების დამადასტურებელ წერილობით საბუთებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭებოდათ, რადგან ძირითადად ზეპირ გადმოცემას და ტრადიციას ეყრდნობოდნენ. რუსული მმართველობის ამ მოთხოვნის შემდეგ სოციალურ პრივილეგიათა დაკარგვის საფრთხე შეექმნა თავადაზნაურთა იმ ნაწილს ვისაც მსგავსი საბუთი არ მოეპოვებოდა. სწორედ ამ მოვლენამ მისცა ფართო გასაქანი ყალბი საბუთების შედგენას. ერთნი ყალბ საბუთებს მათი ქონებრივ-წოდებრივი სტატუსის დასაფიქსირებლად და დასამტკიცებლად ამზადებდნენ, მეორენი კი, ამ სტატუსის არ მქონენი, მის მისათვისებლად. 1830 წლის 29 ნოემბერს გამოიცა იმპერატორის ბრძანება, საბუთების უტყუარობისა და სიყალბის დადგენამდე, სადავო საკითხების წარმოების შეწყვეტის შესახებ. საბუთების შემოწმება კი დაევა კომისიას, რომლის წევრებმა ქართული ენა არ იცოდნენ. დოკუმენტს კომისიის დასკვნამდე იურიდიული ძალა არ ჰქონდა და შეუძლებელი იყო მამულის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება (ვაჭრიძე, 2005:139-141). გარდა ამისა, ქვეყნის სრული რუსიფიკაციის მისაღწევად რუსეთის იმპერიამ უმკაცრეს ზომებს მიმართა. მიაღწია იმას, რომ საქართველოს განათლების სისტემიდან, ეკლესიიდან, სასამართლოდან და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან განდევნა ქართული ენა, რამაც მოსახლეობის დამსახურებული მღელვარება და გულისწყრომა გამოიწვია. ესეც კიდევ ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორი ძალადობრივი ხერხებით ცდილობდა დამპყრობელი თავისი ენისა და წესების დამკვიდრებას. ამ პერიოდის ახალგაზრდობა ქვეყნისა და თავის გადასარჩენად ევროპასა და რუსეთში მიდიოდა განათლების მისაღებად, რაც მათი პროგრესული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს და რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო ... (აროშიძე, 2019).

საქართველოს ცხოვრებაში XVII საუკუნე უაღრესი გაჭირვებისა და განსაცდელის ხანად უნდა ჩაითვალოს. სპარსეთის შახის მიერ ქართლის სამეფო ტახტზე სპარსეთის სამეფო კარზე აღზრდილი, სპარსულ-მაჰმადიანური ზნე-ჩვეულებების თაყვანისმცემელი როსტომ მეფის დამტკიცებამ, ქართული ეროვნული შეგნება და სახელმწიფოებრიობა საფრთხის წინ დააყენა. შემოიტანა სპარსულ-თურქული ტერმინები, სახელმწიფო წესწყობილებებშიც სპარსულთან მიახლოებული წესები დანერგა.

ამ პერიოდის საბუთებში გვხვდება ორენოვანი - ქართულ-სპარსული საბუთები. ერთსა და იმავე ქალაქსა თუ ეტრატზე მოცემული იყო ორი დამოუკიდებლად შედგენილი, იდენტური შინაარსის, მაგრამ არა ერთიმეორის თარგმანი ტექსტი. სპარსული საბუთის ტექსტი არასდროს არ გადადიოდა მეორე გვერდზე. ის ყოველთვის იმ გვერდზე მთავრდებოდა, რომელზედაც იწყებოდა მისი წერა. „საბუთის ზურგი“ სარეგისტრაციო ბეჭდების დასასმელად, სახელმწიფო დავთრებიდან ამოწერილი ცნობების, ანგარიშების და საბუთის შედგენის საფუძვლის მისათითებლად და მოსათავსებლად იყო განკუთვნილი. XVI-XVII სს. სპარსული ფირმანები და ჰოქმები ძირითადად საკმაოდ რთული ხელით „დივანით“ იწერებოდა. ამ საბუთებს არ აქვთ ხელრთვა, მის მაგივრობას ბეჭედი ასრულებს. შაჰის ბეჭედი ფირმანის ტექსტის თავზე, შუაში დაისმებოდა. ტექსტი მთავრდებოდა თარიღით (ფუთურიძე, 196:09-12).

აქედან გამომდინარე ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: ამ პერიოდის საქართველოში საქმე გვაქვს ორ ორიგინალ, ქართულ და სპარსულ ტექსტთან, იქიდან გამომდინარე, რომ იქმნებოდა ორი, სხვადასხვა ენაზე შედგენილი დამოუკიდებელი დოკუმენტი, რომელიც ინარჩუნებდა თავისი ენისათვის და დოკუმენტისათვის დამახასიათებელ ფორმას.

ოსმალთა ბატონობის ხანაში ოსმალთა სულთანი და „უზენაესი კანცელარია“ გამოსცემდა ფირმანს, ბერათს, რომელიც ოსმალეთიდან იგზავნებოდა. სულთანი ერთგული სამსახურისათვის აჯილდოებდა ოსმალების სასარგებლოდ მოლაშქრე ქართველებს. საბუთებში საგანგებოდ აღინიშნებოდა ქართველთა განსაკუთრებული დამსახურება ოსმალების წინაშე. ფირმანის თავში იყო მოხატული თუღრა (მონეტებსა და საბუთებზე აღბეჭდილი კალიგრაფიულად გაფორმებული სულთნის

სახელი.), რომელიც სულთნის ხელმოწერას წარმოადგენდა. ფირმანის ადრესატები ქრისტიანები იყვნენ და შენარჩუნებული ჰქონდათ წოდებრივი მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინები: „თავადი“, „აზნაური“, მაგრამ საბუთში თითოეულის სახელს მოსდევს დალოცვის ფორმულა: „... კეთილად დასრულდეს მისი სიცოცხლე...“ „ანუ გარდაიცვალოს ისლამური რელიგიის წიაღში - „გამაჰმადიანდეს“ (აბულაძე, 2010:152).

საბედნიეროდ მთელმა ერმა მოიკრიბა თავისი ენერგია, შემოქმედებითი ნიჭი და დიდი ქართული ლექსიკონის შედგენა გადაწყვიტა, რათა ამდენი აგრესიული, მოძალადე, დამპყრობლის თავსმოხვეული პოლიტიკიდან და უცხოთა ენისაგან გადაერჩინათ ქართული ენა. გამიჯნეს ქართული და უცხოენოვანი ლექსიკა, განმარტეს და პრაქტიკულად სახმარი გახადეს დამკვიდრებული თუ ახლად შემოტანილი აღმოსავლური წარმომავლობის ერთეულები (აბულაძე, 2015:27). დიდი ქართული ლექსიკონის შედგენას გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ სულხან-საბა ორბელიანმა 30 წელი მოანდომა. ქართული ენის ბუნება და კანონები რომ არ შებღალულიყო, შეიქმნა ჯერ მოკლე ქართული გრამატიკა ზურაბ შანშოვანის მიერ, ხოლო უფრო გვიან ვრცელი - ანტონი კათალიკოზის მიერ (ჯავახიშვილი, 1919:2-3).

ისტორია დოკუმენტს განიხილავს უპირველესად, როგორც ისტორიულ წყაროს. ძველი ქართული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის დახასიათებისას მზია ხახუტაიშვილი და ნანა ცეცხლაძე აღნიშნავენ: „მათში არაა კალკები და სხვა უცხოენოვანი ელემენტები“. მიიჩნევენ, რომ ქართული „ისტორიული საბუთების თავისებურება ენის ბუნებრიობაა, რადგან მასში ყველაფერი აღიწერებოდა ხალხური, სასაუბრო ენით...“ (ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2014:59). ქართული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის, სტილისა და დოკუმენტისათვის დამახასიათებელი იყო უბრალოება და ხალხურობა, რომელიც სხვა ქვეყნებთან და საქმისწარმოებასთან ურთიერთობამ შეცვალა და გაამდიდრა ნასესხობებით.

XI-XIII საუკუნეების ქართული დოკუმენტის გარეგნულ მხარეს მასალა, ფორმა, კალიგრაფია და დეკორატიული ხელრთვები განსაზღვრავდა. ქართული საბუთების მინიატიურებით შემკობა XIV-XV საუკუნეებიდან იწყება და

უკავშირდება მათ გაფორმებას ისტორიულ პირთა პორტრეტებით და ქრისტიანული სიუჟეტებით. სამხრეთ კავკასიის მაჰმადიანურ გარემოცვაში მოხვედრის შემდგომ ეს ტრადიცია ქართულ დოკუმენტებს განსხვავებულ პოლიტიკურ და კულტურულ გარემოში თვითმყოფად და დამოუკიდებელ სახეს უნარჩუნებდა და განასხვავებდა მას ისლამური დოკუმენტის მხატვრული გაფორმების პრინციპებისაგან. (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2011).

<http://illuminateddocument.ge/ge/page/view/9/georgian>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო ყოველთვის ხვდებოდა იმპერიების ინტერესების თვალსაწიერში თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო. ამიტომაც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, სხვადასხვა იმპერიის ზეგავლენის შედეგად: XIII-XIV საუკუნეებში მონღოლების შემოსევა და ბატონობა, XVI საუკუნის დასაწყისიდან ირანისა და ოსმალეთის იმპერიები, XVIII საუკუნიდან რუსეთის იმპერია, 1921 წლიდან გასაბჭოება და დღევანდელი სახელმწიფო სტრატეგია, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით გვხვდება სხვადასხვა ენაზე შედგენილი საბუთები, ხშირ შემთხვევებში ორენოვანი და სამენოვანი. საქართველოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა ნიშნავდა სხვა ენის ათვისებას, სხვა ენაზე და სხვა ენიდან საბუთის თარგმნას. იმპერიები და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება საკმაო გავლენას ახდენდა და ახდენს საქმიანი საბუთების ენაზე, ფორმასა და შინაარსზე, ზოგადად, საქმისწარმოებაზე და თავის კვალს ტოვებენ კიდევ ქართული საქმისწარმოების ფორმირების ისტორიაში. ამის დასტურად საკმაოდ ბევრი მაგალითი მოიძებნება.

საქართველოს სინამდვილეში საბჭოთა პერიოდში, რომელიც 70 წელს ითვლის, ქართულ ენასთან პარალელურად არსებობდა და ზოგ შემთხვევაში პრივილეგიითაც სარგებლობდა რუსული ენა, რომელზეც იმართებოდა სახელისუფლებო და საკავშირო სხდომები და თათბირები, ფორმდებოდა ოფიციალური დოკუმენტები... ის ითვლებოდა ხალხთაშორის ურთიერთობის ენად. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, საქართველოსთვის და არამარტო, საქართველოსთვის რუსული ენა იყო „ხიდი“, „ფანჯარა ევროპაში და მსოფლიოში“. რუსული ენის (წიგნები, გადაცემები, ფილმები, სპექტაკლები...) საშუალებით ეზიარებოდა

საბჭოეთის მოძმე რესპუბლიკები მსოფლიო კულტურას და რუსული ენის საშუალებით აცნობდნენ თავის კულტურას და ხელოვნებას მთელ მსოფლიოს.

რუსული საქმისწარმოება ცდილობდა მთელ მოძმე რესპუბლიკებში გაეგრძელებინა დაწყებული რუსიფიცირების პროცესი, დაემკვიდრებინა ერთიანი უნიფიცირებული საქმისწარმოება და დაექვემდებარებინა მისთვის სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის საქართველოშიც. რუსეთმა გასაბჭოების პირველივე წლებშივე შემოიტანა თავისი ენა, სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. საკმაოდ ბევრი სირთულე მოჰყვა ენის არცოდნასა და ორი სხვადასხვა ტიპის დოკუმენტწარმოების პარალელურ რეჟიმში არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ იგრძნობა ქართულ საქმისწარმოებაზე რუსული საქმისწარმოების გავლენა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა ენამ თავისი სრულყოფილების და სიძლიერის წყალობით მაინც მოახერხა და შეინაჩუნა თვითმყოფადობა და ცხოველობა.

ჩვენს თანამედროვეობაში ეკონომიკურ-პოლიტიკურმა ძვრებმა, საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევამ, ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მისწრაფებამ, საქმიანი ურთიერთობების გააქტიურებამ საქმიანი დოკუმენტების შექმნის გაზრდა და მათი უცხო ენაზე (ინგლისური) თარგმნა მოიტანა. ახალი მოთხოვნები დადგა ქართული საქმისწარმოების დღის წესრიგში. ქართულმა ოფიციალურ-საქმიანმა დისკურსმა მოითხოვა დოკუმენტების უნიფიცირება, რაც საბუთების სახეობის რაოდენობის შემცირების საწინდარია. იქმნება მზა ბლანკები, ფორმულარები, შაბლონები, რომლებიც საერთოა ამა თუ იმ საქმიანი ურთიერთობების სფეროში და რომელშიც იცვლება მხოლოდ ინდივიდუალური მონაცემები. შეიცვალა ენობრივი პოლიტიკა. ადრე გაბატონებული რუსული ენა ინგლისურმა ენამ ჩაანაცვლა. დიდი ყურადღება ეთმობა ქართულ-ინგლისურ და ინგლისურ-ქართულ თარგმანს, მაგრამ ქართულ საქმიან ლექსიკაში, ისევე როგორც თითქმის ყველა სფეროში, მკვიდრდება ტრანსლიტერაციით გადმოსული ინგლისური ტერმინები, რომელიც მასობრივად შემოდის ჩვენს რეალობაში. ენა ვერ ასწრებს შემოსული უცხო სიტყვების ამ დიდი მოცულობის ნაკადის გადამუშევას. ეს ტერმინები მკვიდრდება ჩვენს ენაში იმისდა მიუხედავად, გვაქვს ქართულში მათი ადეკვატური შესატყვისი თუ არა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია მოკლედ ჩამოვყალიბოთ ქართული საქმიანი დისკურსის დინამიკა. ძველი დროიდანვე არსებობს ქართულ საქმიან დოკუმენტებში ამ დისკურსისათვის დამახასიათებელი ნიშნები: სპეციალური ლექსიკა, ადრესატი, ადრესანტი, თემა, თარიღი, დამოწმება, ფორმა, შინაარსი და სხვ. ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით აღიარებულია, რომ ძველი ქართული საქმიანი დოკუმენტების ენა უბრალო და ხალხური იყო, რაც შემდეგ დროთა განმავლობაში გაამდიდრა სხვა უცხო ენებთან კონტაქტის შედეგად შეთვისებულმა ნასესხობებმა. დღევანდელი ქართული საქმიანი დოკუმენტის ენა არის ნორმირებული სალიტერატურო ქართული ენა. ოფიციალური საბუთების განვლილმა ისტორიულმა ეტაპებმა განაპირობა ის ლინგვისტური თავისებურებები, რომლებიც შეიძინეს განვითარების მეტად რთულ გზაზე, ჩამოყალიბდა არსებული სახით და გვხვდება დღევანდელ დოკუმენტებში. ლექსიკური და გრამატიკული თავისებურებების ერთობლიობა განასხვავებს მათ სხვა დისკურსისაგან. აქვთ იმპერატიული და სავალდებულო ხასიათი, ფართოდ იყენებს კანცელარიზმებს და მისთვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიას, ახასიათებს სტანდარტულობა, ლაკონურობა, სიმკაცრე და სიმშრალე, თავისებური სინტაქსური წყობა, სახელობითი ხასიათი, იყენებს რთულ ქვეწყობილ წინადადებებს.

დამწერლობის ისტორიის შესწავლამ გვიჩვენა, რომ წერამ, და მასთან ერთად დოკუმენტებმაც, განვითარების ხანგრძლივი და რთული პერიოდი განვლო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ზურაბ ჭუმბურიძის აზრი: სახელმწიფოებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობებს, სავაჭრო, აღებ-მიცემობის, შეწყალების და ხარკის დაკისრების, საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხების, ხელშეკრულებების, კანონების, მემკვიდრეობის გადაცემის წერილობით დაფიქსირებას მოჰყვა განსაკუთრებული „ენის“ ფორმირება (ჭუმბურიძე, 1983:10), რომელსაც საქმიანი საბუთების ენა შეიძლება ვუწოდოთ.

დღევანდელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, დოკუმენტების საერთაშორისო უნიფიცირების ერთიან სისტემაში ჩართვასთან და გაწევრიანებასთან დაკავშირებით ჯერაც კიდევ დასადგენია ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის დოკუმენტების შედგენის და გაფორმების ენობრივი სტანდარტები.

1.3 რუსული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის განვითარების ისტორიიდან

რუსულ ოფიციალურ-საქმიან დისკურსს საკმაოდ დიდი ტრადიცია და წარსული აქვს. მისი ისტორიის შესწავლა ენის, როგორც ოფიციალურ-საქმიანი ურთიერთობების მომსახურე სფეროს განსაკუთრებული სტილის, ფორმირების კანონზომიერებების და მიზეზების, რუსული საქმიანი ენის თავისებურებების გაგებაში დაგვეხმარება.

ჩვენამდე მოღწეული პირველი რუსული წერილობითი დოკუმენტები მოწმობენ, რომ უკვე X საუკუნის ძველი კიევის რუსეთში იქმნებოდა ოფიციალური ქაღალდები. ამ პერიოდის დოკუმენტებში ძირითადად დაფიქსირებულია სამართლებრივი ურთიერთობები (ანდერძი, წყალობის, ყმობისა და ყმობისგან გათავისუფლების სიგელები და სხვ.).

ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის დოკუმენტების შედგენისას დაგროვებულმა გამოცდილებამ გამოხატულება ჰპოვა დოკუმენტების მყარი ნიმუშების, ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული დოკუმენტის ფორმების- „ფორმულარები“-ს შექმნაში, რომლებიც საქმისწარმოებაში ერთგვარ სახელმძღვანელოებად გამოიყენებოდა. დოკუმენტებზე მუშაობის ცალკეული ნორმები მკვიდრდებოდა კანონმდებლობაში. ამგვარად პრაქტიკაში ჩამოყალიბებული ტრადიციები თანდათანობით ნორმად იქცეოდა და მომავალი საქმისწარმოების სისტემის საფუძველი ხდებოდა.

XV-XVI სს. საუწყებო საქმისწარმოება რუსული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის წერის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პერიოდად არის მიჩნეული, ამ პერიოდს უკავშირდება რუსეთის ცენტრალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება, საფუძველი ეყრებოდა სახელმწიფო აპარატსა და სახელმწიფო საქმისწარმოების სისტემას. დოკუმენტებს გრაგნილის ფორმა გააჩნდათ და ხშირად რამდენიმე მეტრსაც აღწევდა მათი სიგრძე. ამავე დროის რუსული ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის დოკუმენტმა შეიძინა დოკუმენტის ისეთი ნიშნები, როგორიცაა ტექსტური ფორმულარები, განსაზღვრული თანმიმდევრობით განლაგებული მყარი საინფორმაციო ელემენტები (რეკვიზიტები, ენობრივი ფორმულები).

ამრიგად, საუწყებო პერიოდში, ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებებში თანდათანობით ყალიბდება საქმისწარმოების სისტემა, იქმნება დოკუმენტების მყარი ფორმები და მათი შედგენის ხერხები.

საუწყებო საქმისწარმოება შეცვალა კოლეგიალურმა საქმისწარმოებამ. პეტრე პირველის 1720 წლის გენერალური რეგლამენტით შემოღებულმა საქმისწარმოების სისტემამ, სახელწოდება ახალი ტიპის დაწესებულების დასახელებისაგან „კოლეგია“-საგან მიიღო. ამ საკანონმდებლო აქტით საფუძველი ჩაუყარა კანცელარიის ჩამოყალიბებას და საქმისწარმოება საბოლოოდ მიეკედლა დამოუკიდებელ ქვედანაყოფს - კანცელარიას.

კოლეგიალური საქმისწარმოებისას იქმნება უამრავი ახალი დოკუმენტი. ოფიციალურ-საქმიანი წერილობითი მეტყველება ივსება მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხოენოვანი ტერმინით, რაც პეტრე პირველის რუსული საქმისწარმოების დასავლური საქმისწარმოების ნიმუშებთან დაახლოებით აიხსნება. ამ პერიოდისთვის რუსულ საქმიან ენაში შემოდის ისეთი სიტყვები და ტერმინები როგორებიცაა: *администратор, аудитор, бухгалтер, губернатор, инспектор, маклер, министр и др.* უკვე გვხვდება სხვადასხვა დასახელების დოკუმენტებიც: *ვექსილი, ობლიგაცია, პატაკი, ჟურნალი, ოქმი, ინსტრუქცია და სხვა* (Кузнецов, 2017:18).

არსებით ცვლილებებს განიცდის პეტრე პირველის დროინდელი საქმიანი დოკუმენტების ფორმაც - იქმნება „გენერალური ფორმულები“ - ნიმუშები, რომლის მიხედვითაც ფორმდება დოკუმენტები. ფორმულარის დამოუკიდებელი ელემენტი ხდება დოკუმენტის სახელი. დოკუმენტირების პროცესის სტადიისა და დოკუმენტების დამუშავების სხვადასხვა ეტაპებზე ვხვდებით რიგ ახალ რეკვიზიტებს: ხელმოწერები, ჩანაწერი შეთანხმების შესახებ, სარეგისტრაციო ინდექსი და ა.შ.

ეკატერინე II-ის რეფორმამ დაასრულა პეტრესეული რუსეთის სახელმწიფოებრივი აპარატის ჩამოყალიბება. შემოიტანა გუბერნიული სტრუქტურული ერთგვაროვნება, გამოყო ადმინისტრაციული, სასამართლო და ფინანსური საქმეები. გუბერნიის დაწესებულებები პირდაპირ ექვემდებარებოდა

სენატს. ეს იერარქია შენარჩუნებულ იყო XIX საუკუნეში, რომელიც გარკვეულწილად შენარჩუნებულია თანამედროვე რუსულ საქმისწარმოებაშიც.

XIX საუკუნის დასაწყისიდან ჩაისახა ახალი სისტემა - სამინისტრო მმართველობა, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისამდე იარსება და ხასიათდება მოქნილობით და ოპერატიულობით. 1811 წელს გამოიცა „სამინისტროთა საერთო დაწესებულებები“, რომელმაც სამინისტრო საქმისწარმოების სისტემაში დაწერა ერთიანი მიდგომა: დოკუმენტების შექმნიდან მათ არქივში შენახვამდე.

XIX საუკუნე გამოირჩევა რუსული საქმისწარმოების შესახებ ლიტერატურის ფართო გავრცელებით, კერძოდ, დოკუმენტების სანიმუშო კრებულების გამოცემით და სამეცნიერო კვლევებით რუსული ოფიციალური-საქმიანი დისკურსის საბუთების სფეროში. იმ პერიოდში, საკმაოდ დიდი თეორიული მნიშვნელობა ენიჭებოდა ნ. ი. ვარადინოვის შრომებს. იგი ამ სფეროში თეორიული კვლევების მიზნებზე საუბრობდა და აღნიშნავდა, რომ : *„ერთიანი წესების მიხედვით საქმიანი საბუთების შედგენამ შეიძლება ... ერთგვაროვანი საბუთების შემოღება და, ამავდროულად, ჩვენი დოკუმენტაციის გამარტივება მოიტანოს...“*

ნ. ვ. ვარადინოვი თეორიული საქმისწარმოების საგნად მიიჩნევდა საქმიანი ქაღალდების ისეთ „გარეგან თვისებებს“, როგორებიცაა, მაგალითად, ტიტული და სხვადასხვა პირისადმი მიმართვის ფორმა, რომლებიც საქმიანი საბუთების ნაწილს შეადგენენ (დოკუმენტის ფორმულარი), ტექსტის შედგენის თანმიმდევრობა. ამასთანავე, ის შინაგანი ფორმის მიხედვით გამოყოფდა საქმიანი ქაღალდების სხვადასხვა ტიპებს (1. რეესტრი, ჟურნალი, ოქმი, უწყისი. აღწერა, ანგარიში, 2. ოფიციალური წერილი, 3. ჩანაწერი, 4. ამონაწერი.) ასევე შინაგან თვისებად მიაჩნდა საქმიანი საბუთებისათვის დამახასიათებელი დოკუმენტის სტილი და დოკუმენტის წერის თავისებურებები (ორფოგრაფია) (Нечаева, 2015:14-18).

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა რუსული ოფიციალური-საქმიანი დისკურსის საბუთის შედგენის ახალი წესი (მოკლე ჩანაწერი) - საკითხის მხოლოდ არსის გადმოცემა. სამინისტროების საქმისწარმოებაში შემოდის დაწესებულებების რეკვიზიტებიანი ბლანკები, რომლებშიც რეკვიზიტები პრაქტიკულად თითქმის ისევე იყო განლაგებული, როგორც თანამედროვე დოკუმენტებში.

საბჭოთა პერიოდის რუსეთის ისტორია დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატის და წყობის არსებით ცვლილებებთან. დღის წესრიგში დადგა საქმისწარმოების სახელმწიფო სტრუქტურებთან შესაბამისობის საკითხი, ოფიციალურ-საქმიანი წერის ახალი ენობრივი მოთხოვნების შემუშავება. საბჭოთა დაწესებულებებში რეალურად არსებული მრავალგვარი დოკუმენტის მიუხედავად, მაინც მოუწესრიგებელი რჩებოდა დოკუმენტაციის ნაკადი ფორმისა და შინაარსის მხრივ. ოციანი წლებიდან დღის წესრიგში დადგა მათი უნიფიცირებისა და სტანდარტიზაციის საკითხი. 1926 წელს შეიქმნა სტანდარტიზაციის კაბინეტი, რომელმაც შეიმუშავა სამსახურებრივი წერილების, ტელეგრამების, ტელეფონოგრამების, ოქმების, უწყებების და სხვა დოკუმენტთა სტანდარტები. რუსული საქმისწარმოების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევა პროექტის „დოკუმენტაციისა და დოკუმენტრუნვის საერთო წესები“ (1931წ.) განხორციელება, რომელშიც ასახული და განზოგადებული იქნებოდა როგორც მრავალი უწყების და ორგანიზაციის მიერ იმ დროისათვის დაგროვებული მოწინავე პრაქტიკული გამოცდილება და ასევე სამამულო და უცხოელ მეცნიერთა კვლევები. იგი მიზნად ისახავდა "ზოგადი წესების" დანერგვას, რომელიც სტანდარტული და ერთიანი იქნებოდა ყველა დაწესებულებისათვის, თუმცა, ვერ მოხერხდა მისი სისრულეში მოყვანა და დამტკიცება. (Кузнецова,... 2001:21).

60-იანი წლებიდან შეინიშნება მმართველობისა და დოკუმენტაციით უზრუნველყოფის პრობლემებისადმი ინტერესის ზრდა. თუმცა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მმართველობის მათემატიკური მეთოდების სფეროში მსოფლიოს მიღწევებთან შედარებით რუსეთის რეალობაში ნათლად ჩანს ჩამორჩენა. რაც განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა 80-90-იან წლებში. მიუხედავად ამისა, დოკუმენტების სტანდარტიზაციისა და უნიფიცირების პრაქტიკაში, მაინც მიღწეული იქნა საკმაო შედეგები. შეიქმნა დოკუმენტაციის ერთიანი სახელმწიფო სისტემა, საკავშირო კლასიფიკატორები, მმართველობითი დოკუმენტებისათვის გამოიცა ГОСТ, დოკუმენტების უნიფიცირებული სისტემები

დოკუმენტაციის ერთიანი სახელმწიფო სისტემის ავტორებმა შეაჯამეს თავიანთი დროის მოწინავე გამოცდილება და სახელმწიფოს შესთავაზეს

მმართველობითი ოპერაციების და მათი დოკუმენტირების შესრულების ოპტიმალური ტექნოლოგიები. მაგრამ ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ელემენტები ვერ იქნა წარდგენილი დოკუმენტაციის ერთიან სახელმწიფო სისტემაში. თუმცა ეს ხარვეზი ნაწილობრივ აღმოიფხვრა 1988 წელს (Нечаева, 2015:28-44).

XX საუკუნის ბოლოს დაწყებულმა გლობალიზაციამ ოფიციალურ-საქმიანი ურთიერთობების გლობალიზაცია გამოიწვია შესაბამისად. სრულად შეცვალა საქმიანი ურთიერთობის არა მარტო ფორმა, არამედ შინაარსიც. მათ შორის წერილობითისაც იმდენად, რამდენადაც მოითხოვა ახალი ტიპის საქმიანი კორესპონდენციის შექმნა, მეტყველების ახალი მოდელის ჩამოყალიბება, რომლებიც შეესაბამება ახალ კომუნიკაციურ სიტუაციებს. დღეს, გაზრდილია სხვადასხვა სახის საქმიანი წერილების მომზადების და გადაგზავნის მიზეზების რაოდენობა, საქმიანი კორესპონდენციის ჟანრობრივი მრავალფეროვნება. თუმცა ყველაფერი ეს, არ ნიშნავს იმას, რომ უარი ეთქვას წინა თაობების მიერ საქმიანი წერილობითი დოკუმენტების სფეროში დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას.

რუსული საქმიანი დისკურის ლინგვისტური მახასიათებლები მოიცავს:

ა) ლექსიკურს - კანცელარიზმები, სტანდარტიზაცია, ლოგიკურობა, ლაკონიურობა, ობიექტურობა...

ბ) გრამატიკულს-ზმნასთან შედარებით სახელის უპირატესობა, სქესის, რიცხვის, ბრუნვის კატეგორიები, რთული ქვეწყობილი წინადადებების სიხშირე...

ეტაპობრივად იხვეწებოდა და ყალიბდებოდა არამარტო საქმისწარმოების პროცესი, არამედ თავად დოკუმენტებიც და დოკუმენტის ენაც. ჩვენ შეგვიძლია დავაჯამოთ ქართული და რუსული საქმიანი საბუთების ისტორიული განვითარების ანალიზის შედეგები, რომლითაც დასტურდება, რომ საქმიანმა დოკუმენტებმა განვლეს ფორმირების საკმაოდ ხანგრძლივი და მსგავსი გზა. ჩვენ მივიღეთ მსგავსი შედეგიც. მაგრამ მათ შორის განსხვავება განპირობებულია ძირითადად ენობრივი სისტემებით.

ამრიგად, ჩვენი საკვლევი თემის პირველი თავის დასრულების შედეგად მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა და შესწავლილი მასალა საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ იმასთან დაკავშირებით, თუ

როგორი სპეციფიკური განვითარების გზა განვლო ქართულმა საქმისწარმოებამ. მართალია ჩვენ არ მოგვეპოვება XI საუკუნემდე უფრო ადრინდელი შედგენილი საქმიანი საბუთი, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტების აკადემიურობა და წყობა გვაფიქრებინებს, რომ საქმიანი საბუთების შედგენის წესი ბევრად ადრე უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული.

საქართველოს უწევდა ზოგჯერ ნებელობითი, ზოგჯერ კიდეც, და უფრო ხშირ შემთხვევაში, იძულებითი თანაარსებობა მეზობელ ან/და მომხდურ უცხოენოვან სახელმწიფოებთან, რომლებიც გავლენას ახდენდნენ საქმიანი საბუთების წარმოებასა და ფორმირებაზე. ძველმა ქართულმა ოფიციალურ-საქმიანმა საბუთების ენამ გაუძლო ამ ისტორიულ მოვლენებს, სხვადასხვა დროის განსაცდელებს, როგორც იყო „ოსმალთა“, „ყიზილბაშთა“, რუსეთის იმპერიის მიერ თავსმოხვეული „სრული რუსიფიკაცია“, „გასაბჭოება“. ქართულმა ენამ შეძლო და შემოგვინახა ეგრეთწოდებული განმეორებადი გამოთქმები, კანცელარიზმები, ფრაზეოლოგიზმები, ტერმინები, რომლებმაც შეინარჩუნეს მნიშვნელობა, დანიშნულება, ფორმა და თითქმის პირვანდელი სახით გადმოინაცვლეს ერთი საბუთიდან მეორეში.

II თავი

ტექსტი და თარგმანი

2.1 ტექსტის რაობა და ტექსტის ტიპოლოგია

XX საუკუნის მეორე ნახევარში ლინგვისტიკამ არსებითად შეცვალა თავისი მეცნიერული ორიენტაცია. ენის ფორმალური სტრუქტურის საკითხში სერიოზული შედეგების მიღწევის შემდეგ, მან გააფართოვა კვლევების არეალი, რომელშიც დასმული იყო მაკროლინგვისტიკის პრობლემები და რომლის ფარგლებშიც განიხილებოდა ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორცაა ენის საზოგადოებასთან, აზროვნებასთან და სინამდვილესთან კავშირი. ვერბალური კომუნიკაციის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები, საზოგადოებაში ინფორმაციის ორგანიზებისა და გადაცემის ხერხები.

XXI საუკუნეში, რომელიც აღიარებულია ინფორმაციულობისა და გლობალიზაციის, სხვადასხვა ქვეყნებს, ერებსა და კულტურათაშორისი ურთიერთობების გაღრმავების და განმტკიცების, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდად, წინა პლანზე წამოიწია საქმიანი ურთიერთობები და კონტაქტები, რამაც თავისთავად მოიტანა ოფიციალურ-საქმიანი სტილის საბუთების, ტექსტების მეტი რაოდენობით შექმნისა და თარგმნის დახვეწის აუცილებლობა. ამ პროცესმა მთელს მსოფლიოში საზოგადოების ყველა სფერო მოიცვა. დღესდღეობით არ მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც არ განუცდია ეს ზეგავლენა. ჩვენ ტექსტების სამყაროში ვცხოვრობთ. ჩვენს ირგვლივ მრავალი ტიპის ტექსტი ფუნქციონირებს. გვიწევს სხვადასხვა ტექსტის წარმოთქმა და მოსმენა. ამ ტექსტების სამეცნიერო ბაზაზე შექმნილ კლასიფიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მითუმეტეს მაშინ, როცა ტექსტზე ორიენტირებული თარგმანი წარმოადგენს განსაკუთრებულ სახეობას. სხვადასხვა ტექსტის თარგმნა სხვადასხვა თავისებურებას ექვემდებარება. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვინტერესებს, როგორც ტექსტთა ტიპოლოგია, ასევე, ამ ტიპოლოგიასთან ვიწროდ დაკავშირებული ფუნქციონალური სტილის საკითხი. ნებისმიერი ტექსტის ტიპს თავისი შესაბამისი ფუნქციონალური სტილი ახასიათებს.

ტექსტს, როგორც კომუნიკაციის საშუალებას, მისი მოხმარების და ფუნქციონირების პრობლემებთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტილისტიკასა და თავად სტილის არსს სწავლობდნენ ისეთი ცნობილი ენათმეცნიერები, როგორებიც იყვნენ: ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. ნებიერიძე, ი. ბოდუენ დე კურტენე, მ. ბახტინი, ლ. იაკუბინსკი, ვ. ვინოგრადოვი, ვ. კომისაროვი და სხვ. მათ ფუნქციონალური სტილის მრავალი განმარტება შემოგვთავაზეს. „ლიტერატურული ენის ტიპები გამოიყოფა ენის მიერ კონკრეტულ სიტუაციაში შესრულებული ფუნქციის საფუძველზე“ (Введенская, 2001:83).

როზენტალი და გოლუბი ხაზს უსვამენ სტილის ჩამოყალიბების ისტორიულ და სოციალურ ფაქტორებს: „ფუნქციონალური სტილი არის ამა თუ იმ ადამიანური ურთიერთობის სფეროში გამოყენებული ისტორიულად განპირობებული და სოციალურად გააზრებული მეტყველების სისტემის საშუალებები“ (Розенталь, Голуб, 2006:62).

ამ საკითხთან დაკავშირებით აკ. შანიძე აღნიშნავდა, რომ სტილისტიკა შეისწავლის „ენის ლექსიკური მარაგიდან და გრამატიკული წყობიდან ამა თუ იმ საჭიროებისათვის შესაფერისი მასალის შერჩევის საშუალებებსა და გამოყენების ხერხებს“ (შანიძე, 1980:13).

დღეს XXI საუკუნეში ტექსტი ჰუმანიტარული მეცნიერების საყოველთაო მოცემულობას წარმოადგენს.

მიხეილ ბახტინი ხაზს უსვამს ტექსტის მნიშვნელობას და განმარტავს: „ტექსტი ჰუმანიტარული დისციპლინის პირველადი (რეალური) მონაცემი და საწყისია. ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის და სხვა მეცნიერებების სფეროში მრავალმხრივი ცოდნისა და მეთოდების კონგლომერატი“ (Бахтин, 1986:485). „სადაც არ არის ტექსტი, იქ არ არის არც აზროვნების და არც კვლევის საგანი“ (Бахтин, 1986:474).

ტერმინი „ტექსტი“ ლათინური სიტყვიდან წარმოდგება (textus) და 1) წერილობით ძეგლს ან მის ნაწილს, 2. წერილობით ჩამოყალიბებულ რისამე შინაარსს, 3. შენიშვნების, კომენტარების, ილუსტრაციების გარეშე თხზულების ძირითად

ნაწილს 4. მუსიკალური ნაწარმოების სიტყვებს ნიშნავს (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>)

ილია გალპერინი ტექსტს განმარტავს, როგორც სამეტყველო შემოქმედებითი პროცესის ნაწარმოებს, როგორც დასრულებული, ობიექტივირებული წერილობითი დოკუმენტის სახეს და დოკუმენტის შესაბამისად ლიტერატურულად დამუშავებულ ნაწარმოებს, რომელიც შედგება სათაურისგან და სხვადასხვა სახის სტილისტური, ლექსიკური, გრამატიკული, ლოგიკური კავშირით გაერთიანებული განსაკუთრებული ერთეულებისგან. გააჩნია გარკვეული მიზანმიმართულება და პრაგმატულობა“ (Гальперин, 2007:18).

„ენის ყველაზე მაღალ დამოუკიდებელ ერთეულად უნდა ჩაითვალოს ტექსტი და არა წინადადება“ - მიაჩნია მაიკლ ჰალიდის (Halidei, 1970:160).

ტექსტების შესწავლა მოითხოვს გამორჩეულ ყურადღებას, იქიდან გამომდინარე, რომ ტექსტებს უკავშირდება როგორც ენობრივი სისტემის შემეცნება, ისე ენობრივი ურთიერთობისა და წესების განსაზღვრა და შეფასება,

ავთანდილ არაბულის მიხედვით, ტექსტი არის: „ენობრივი აქტივობის (შემოქმედების) კონკრეტული შედეგი, დასრულებული შინაარსობრივად და მთლიანი სტრუქტურულად. ტექსტი მიზანმიმართული სამეტყველო მოქმედების ბოლომდე რეალიზებული მთლიანობაა“. აღნიშნულზე დაყრდნობით არაბული გამოყოფს ტექსტის რამდენიმე არსებით სტრუქტურულ ნიშანს:

1. ტექსტის დასაწყისი და დასასრული;
2. ტექსტის შინაარსობრივი მთლიანობა;
3. ტექსტის საერთო აზრი (შეიძლება ტექსტის მთელი მნიშვნელობის კონცენტრაცია ერთ ფრაზაში);
4. ტექსტისათვის სათაურის ქონა ან არ ქონა;
5. ტექსტის სტრუქტურული მთლიანობა, (სიტყვები ერთიანდებიან წინადადებად, წინადადებები აზრობრივ მონაკვეთებად (აზნაცებად), აზნაცები ტექსტობრივ ბლოკებად (თავებად, პარაგრაფებად) (არაბული, 2008:252).

ენათმეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავებს სიტყვისა და ტექსტების შინაარსობრივი სტრუქტურის, ენობრივი ერთეულების კონტექსტუალური

მნიშვნელობების, სიტუაციის აღწერის გზების კვლევებმა. ჩამოყალიბდა ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, პრაგმალინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა და სხვა. ლინგვისტიკის განკარგულებაში აღმოჩნდა ენობრივი ერთეულების საშუალებების გამოყენებით კონკრეტული სამეტყველო აქტისას ინფორმაციის გაცვლის კვლევის მეთოდები.

ბევრი მეცნიერი ტექსტს, განიხილავს როგორც ენობრივ ერთეულს, ბევრიც კიდევ მას კომუნიკაციის ერთეულად მიიჩნევს.

დავით გოცირიძე იმ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელთა მიმართ სხვადასხვა მიდგომა ფრაზული „ტექსტი“-ს დეფინიციის სხვადასხვაგვარობას იწვევს. ესენია:

- 1) კრიტერიუმები, რომლებიც მოვლენას განიხილავენ, როგორც განსაკუთრებულ ფენომენს;
- 2) ცნების საზღვრების განსაზღვრა;
- 3) შესასწავლი მასალის კლასიფიკაციის საფუძვლების გამომუშავება (Гоциридзе, 1988:19).

ამასთან მას მიაჩნია, რომ ტექსტი არა მხოლოდ ვერბალურად გამოხატული ერთეულია, არამედ წარმოადგენს აზრობრივ კომპონენტსაც. მთლიანი ტექსტი ფსიქოლოგიური ფენომენია და ხასიათდება აზრობრივი პრედიკატების იერარქიით, რომელიც ერთი საფეხურიდან სხვა საფეხურზე გადასვლისას ინარჩუნებს აზრობრივ მნიშვნელობას. ამასთან ერთად ის აღნიშნავს, რომ ტექსტის დასრულებულობა და შემოსაზღვრულობა მთლიანის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს (Гоциридзе, 1988:27).

მარიამ გვენცაძე თვლის, რომ კომუნიკაციის პროცესზე ორიენტირებულ თანამედროვე ლინგვისტიკაში, ურთიერთობის ძირითად ერთეულად აღიარებულია ტექსტი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი რიგის დინამიკურ კომუნიკაციურ ერთეულს (Гвенцадзе, 1986:87).

ტექსტის ტიპოლოგიისათვის ტექსტის ლინგვისტიკის ცნებების განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ. იქიდან გამომდინარე, რომ ტექსტის სტატუსის დადგენასთან დაკავშირებით კატეგორიალური თვისებების მიმართ განსხვავებული

მიდგომები იჩენს თავს, მაინც შესაძლებელია უნივერსალური თვისებების გამოყოფა. როლანდ კომახიძე ხაზს უსვამს ისეთ ცნებებს, როგორცაა: ბმულობა, დანაწევრება, იმპლიციტურობა, ინფორმაციულობა, მთლიანობა და მოდალობა (Комахидзе, 1995:43-44).

ირინა ალექსეევა მიიჩნევს, რომ ტექსტები და ენები განსხვავდებიან ლექსიკური, გრამატიკული, სიტყვათწარმოქმნისა და ფონეტიკური ასპექტების მიხედვით, მაგრამ ტექსტის კომუნიკაციურ ფუნქციასთან დაკავშირებით განსხვავებები არ იძებნება (Алексеева, 2004:257) და ჩვენც ვეთანხმებით მას. ფორმალური მახასიათებლების მიხედვით სხვადასხვა ენის ერთი და იმავე ტიპის ტექსტები განსხვავდებიან ლექსიკის, გრამატიკის, სიტყვათწარმოქმნისა და ფონეტიკის დონეზე, რისი ცოდნაც აუცილებლობას წარმოადგენს ტექსტების ტრანსლატოლოგიისას.

თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვლევებს ტექსტის ლინგვისტიკაში. როგორც უკვე ითქვა, თარგმნისას ხდება სხვადასხვა ენის ტექსტების კომუნიკაციური გათანაბრება. ტექსტი არის მეტყველება, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ვერბალური კომუნიკაცია. მოსაუბრის მიერ წარმოთქმული გამონათქვამისათვის შერჩეული ენობრივი ერთეულები, რომლებსაც კრავს მოცემული ენის გრამატიკის წესების და კომუნიკაციის მიზნების შესაბამისად. გამონათქვამის აგება და გაგება ხდება ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით.

თარგმნის პრობლემა ძირითადად ტექსტის ანალიზის, აღქმისა და აგების პრობლემაში მდგომარეობს. ტექსტი წარმოადგენს ერთ მთლიან აზრს, და მისი შემადგენელი ყველა ელემენტი ურთიერთდაკავშირებული და დაქვემდებარებულია მთლიანთან. აქედან გამომდინარე, ტექსტი ითვლება ერთეულად, რომლის ფარგლებშიც განიხილება ენობრივი საშუალებების კონტექსტუალური მნიშვნელობა.

თარგმანში ტექსტის უმთავრესი როლის გათვალისწინებით, თეორეტიკოსები მუშაობენ ტექსტების ტიპოლოგიის შემუშავებასთან დაკავშირებით, რაც საშუალებას მოგვცემდა გამოგვეტანა დასკვნა თარგმანის პრინციპების ან თარგმანის სპეციალური მეთოდების შესახებ, რომელშიც აისახება ორიგინალის ცალკეული ელემენტების და

ფუნქციების გადმოცემის სხვადასხვა ხარისხი, მთარგმნელის, როგორც თარგმნილი ტექსტის შემქმნელის, როლი და მთარგმნელთა სტრატეგიებს შორის განსხვავებები (Комиссаров, 1990:102).

მკვლევრებმა ტექსტის ნიშნებიდან ყველაზე ადრე შენიშნეს და გამოაცალკევეს მისი კომუნიკაციური ფუნქცია და მიუთითებდნენ თარგმნისას მის აუცილებელ შენარჩუნებაზე. თარგმნისას გარდაუვალი დანაკარგის შეფასებისას, უპირატესობა ენიჭება მთელის შენარჩუნებას. ეს ნიშნავს ტექსტის გლობალური არსის გადმოცემის უზრუნველსაყოფად მისი ნაკლებად არსებითი დეტალების უგულებელყოფას.

გერმანელი ლინგვისტი, კატარინა რაისი, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კლასიფიკაციის ავტორი, მიუთითებდა თარგმნისა და ტექსტის ურთიერთობაზე: „უმთავრესად გვეჩვენება თარგმნის „ჩვეულებრივი შემთხვევის“ შესწავლა, რაც გულისხმობს დანაკარგის, დამატების და დამახინჯების გარეშე ორიგინალის „გადასხმას“ სხვა ენის ფორმაში, ისე, რომ მივიღოთ საწყისის ეკვივალენტი ტექსტი. ამ „ჩვეულებრივ“ შემთხვევაში, სწორედ ტექსტის ტიპი გვკარნახობს, თუ როგორ უნდა გადავთარგმნოთ. სწორედ ტექსტის ტიპი განსაზღვრავს თარგმნის საშუალებების შერჩევას“ (Pařc, 1978:202) .

ტექსტების კლასიფიკაციაში მნიშვნელოვანია ის ფუნქცია, რომელსაც ენა ასრულებს მოცემულ ტექსტში. ტექსტთა ტიპოლოგიის სქემის შემუშავება პირველად სცადა ფსიქოლოგმა ბიულერმა და მას საფუძვლად დაუდო სამეტყველო კონტექსტში მონაწილე სამი კომპონენტის იდეა: მოლაპარაკე, მსმენელი და გადასაცემი შეტყობინება. ბიულერი ამ სქემას უკავშირებს ენის სამ ძირითად ფუნქციას: პრეზენტაციის (ენა გამოყენებულია ინფორმაციის გადასაცემად), ექსპრესიულსა (სუბიექტის ემოციათა ასახვა) და აპელაციურს (მიზანმიმართება კომუნიკანტზე, სათანადო რეაქციის გამოსაწვევად).

ბიულერის ტიპოლოგიას რ. იაკობსონმა „კოდი“-ს და "კონტაქტი"-ს ცნებები დაუმატა. „კოდი“ - ეს ცნება საჭირო იყო სემიოლოგიური სისტემის გასათვალისწინებლად, რომლის გარეშეც ვერ განხორციელდებოდა ურთიერთობა და ასევე ცნება „კონტაქტი“, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მოსაუბრეთა სამეტყველო ურთიერთობა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, იაკობსონი გამოყოფს

შემდეგ ფუნქციებს: 1) რეფერატული, მიმართულია საუბრის საგნის ასახვაზე, 2) ექსპრესიული, მოსაუბრის პირადი დამოკიდებულება საუბრის საგანთან, 3) კონატიური, პირდაპირი მიმართვა მოსაუბრისადმი, რაიმესკენ ნებელობითი მოწოდება, 4) ფატიკური ფუნქცია - მოსაუბრესთან კონტაქტის დამყარება, მისი ყურადღების მიზიდვა, 5) მეტალინგვისტური - მოსაუბრისკენ მიმართული შეტყობინება, რომელიც მისადაგებულია კომუნიკანტის აღქმით შესაძლებლობებთან, 6) პოეტური ფუნქცია - შეტყობინების ფორმასა და ჟანრულ-ნორმატიულ მახასიათებელზე მიმართული (საყვარელიძე, 2001:54).

ყველაზე უფრო დამაჯერებელია ტექსტის ფუნქციონალური ნიშან-თვისების მიხედვით დაჯგუფება და კლასიფიკაცია, რომლის ფუძემდებელია დიდი რუსი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი ვინოგრადოვი. ის ენათმეცნიერებაში სტილისტიკის როლის განსაზღვრისას აღნიშნავდა, რომ სტილისტიკა ენის კვლევის ერთგვარ მწვერვალს წარმოადგენდა. „ამრიგად, სტილისტიკა თავისი ხასიათით, წმინდა ფუნქციონალურია, რაც აისახა კიდევ მისი განვითარების ისტორიაში“ (Виноградов, 1955:26). ვინოგრადოვმა თავის დროზე შემოგვთავაზა ენისა და მეტყველების დაყოფა და დაცალკევება, რომელსაც საფუძვლად დაუდო ენის შემდგომი სამი ძირითადი თვისება: ურთიერთობა, შეტყობინება და ზემოქმედება. ეს იდეა გამოიყენება ტექსტების კლასიფიკაციის მიმართაც, რამდენადაც თავისთავად ტექსტიც მეტყველების რომელიმე სტილს მიეკუთვნება. ტექსტის კლასიფიკაციის დასადგენად საჭიროა განვსაზღვროთ, თუ რომელ ფუნქციონალურ სტილს მიეკუთვნება იგი. ფუნქციონალური სტილი არის ენის საყოველთაოდ სავალდებულო სახეობა, რომლის გამოყენებაც განპირობებულია ურთიერთობის პირობებით, კომუნიკაციური ამოცანების გადაჭრით. ფუნქციონალური სტილი ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას: კომუნიკაციურ, კოგნიტურ, პოეტურ, რეგულაციურ და სხვა. ნებისმიერ ფუნქციას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი წამყვანი ფუნქცია: სასაუბროს - ურთიერთობის ფუნქცია, ოფიციალურ-საქმიანს და სამეცნიეროს - შეტყობინების, და პუბლიცისტურ და მხატვრულს - ზემოქმედების ფუნქცია. ამ ფუნქციათა გათვალისწინებით ვინოგრადოვი გვთავაზობს კლასიფიკაციას, რომელიც ენის ფუნქციის და ენისა და მეტყველების სტილების მიხედვით არის დაჯგუფებული:

- სასაუბრო - წამყვანი ფუნქცია ურთიერთობა;
- ოფიციალურ-საქმიანი - წამყვანი ფუნქცია შეტყობინება;
- საზოგადოებრივ-ინფორმაციული - წამყვანი ფუნქცია შეტყობინება;
- სამეცნიერო - წამყვანი ფუნქცია შეტყობინება;
- მხატვრული -- წამყვანი ფუნქცია ზემოქმედება;
- რელიგიური - წამყვანი ფუნქცია ზემოქმედება (Виноградов, 2001:15).

კომისაროვი წინააღმდეგი იყო თარგმანთან მიმართებით ტექსტთა სხვადასხვა ფუნქციურ სტილებად დაყოფისა. „თუ ტექსტთა შეპირისპირების ძირითადი მიზანია გამოავლინოს ენის ფუნქციონირების განსხვავებული შემთხვევა, თარგმანის თეორიამ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, თუ რაგვარია საკუთრივ ტექსტის ფუნქციონალური დომინანტები და კონსტანტურია ისინი მთელი ტექსტის მასშტაბით, თუ მაინც ადგილი აქვს განსხვავებულ სტილთა ინტერფერენციას“ (საყვარელიძე, 2001:56).

კატარინა რაისი თავის ნაშრომში მიმოიხილავს ოტო კადეს და რუდოლფ იუმპელტის ტექსტების კლასიფიკაციის სქემას. კადეს აზრით, „ტექსტების ჟანრების“ ფართო სკალას ტექსტის შინაარსი, დანიშნულება და ფორმა განსაზღვრავს. ეს მრავალფეროვნება აფიქრებინებს მას ზემოთ მოცემული ყველა ჟანრის ტექსტის თარგმნისათვის ერთიანი სქემის და მოდელის არსებობის შეუძლებლობაზე. ო. კადე ხაზს უსვამს პრაგმატულ და ლიტერატურულ ტექსტებს შორის თვისობრივ განსხვავებებს და რ. იუმპელტთან ერთად განიხილავს სხვადასხვა კლასიფიკაციის შექმნის მცდელობებს. მაგალითად ამერიკელი ლინგვისტის, ჯ. კასაგრანდეს მიერ შედგენილი კლასიფიკაცია მათთვის მისაღებია: 1) პრაგმატული, 2) მხატვრულ-ესთეტიკური, 3) ლინგვისტური, 4) ეთნოგრაფიული თარგმანი, მაგრამ ბოლო ორი ჯგუფი ნაკლებ დამაჯერებლად მიაჩნიათ. ისინი განიხილავენ კარლ ტიმის მიერ წარმოდგენილ კლასიფიკაციას, რომელიც ოთხ ტიპს გამოყოფს: 1) რელიგიურს, 2) ლიტერატურულს, 3) საქმიანს და 4) ოფიციალურს, რომლებიც სხვადასხვა მიმღებებზეა გათვლილი და განსხვავებულად უნდა ითარგმნოს ყოველ ჯერზე. ამ კლასიფიკაციების განხილვის შემდეგ ო. კადე თარგმნის პრობლემების კვლევას განაგრძობს პრაგმატული ტექსტის მასალის გამოყენებით, ხოლო იუმპელტი

ავითარებს კასაგრანდეს კლასიფიკაციას, მაგრამ ისიც არადამაკმაყოფილებელია (Райс, 1978:206).

აღექსეევას მოჰყავს ნიუმარკის ტექსტის კლასიფიკაცია. ნიუმარკი თავისი გამოცდილების გათვალისწინებით და ენის ფუნქციის საფუძველზე დაყრდნობით გვთავაზობს ტექსტების დაყოფას მათი კომუნიკაციური ფუნქციის მიხედვით სამ ჯგუფად: 1) ტექსტები ექსპრესიული ფუნქციით, 2) ტექსტები ინფორმაციული ფუნქციით, 3) ტექსტები აპელაციური ფუნქციით, ამავდროულად მიიჩნევს, რომ თარგმნისას სამივე ჯგუფის ტექსტებს თავისთვის დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნიათ (Алексеева, 2004:242-246).

ტრანსლატოლოგიური ტექსტების კლასიფიკაციის შედგენისას აღექსეევა ხაზს უსვამს ისეთი ბაზური ცნების შემოღებასა და გათვალისწინებას, როგორცაა ინფორმაცია. სახელდობრ:

- კოგნიტური ინფორმაცია - ობიექტური წარმოდგენა სამყაროს შესახებ, რომელსაც ახასიათებს ობიექტურობა, აბსტრაქტულობა, შემჭიდროვებულობა.
- ოპერატიული ინფორმაცია - განსაზღვრული ქმედებებისაკენ მოწოდება;
- ემოციური ინფორმაცია - ახასიათებს სუბიექტურობა, კონკრეტულობა, გამომსახველობითობა, კოგნიტური ინფორმაციის საწინააღმდეგოა;
- ესთეტიკური ინფორმაცია - ინფორმაციის გაფორმების საშუალებების მიერ ადამიანში აღძრული გრძნობების გადმოცემა (Алексеева, 2004:247-254).

ობიექტური შეფასების წინა პირობას წარმოადგენს ტექსტის ტიპოლოგია. ის თარგმნის მოთხოვნებს პასუხობს და ვრცელდება ყველა ტიპის ტექსტზე.

კომისაროვი კომუნიკაციის ერთეულად გამონათქვამს მიიჩნევს. მისი აზრით ტექსტი აზრობრივად დაკავშირებული გამონათქვამების ჯაჭვი, ან ერთი დამოუკიდებელი გამონათქვამია. ამიტომაც გვევლინება ტექსტები და გამონათქვამები თარგმნის ობიექტებად. ის აღნიშნავს, რომ აქედან გამომდინარეობს თარგმნის დროს ტექსტის კომუნიკაციური გათანაბრება სხვადასხვა ენებში. თარგმნის უპირველესი ამოცანა კომუნიკაციის ფუნქციის შენარჩუნებაა და

გენერირების ობიექტური პირობების გათვალისწინებით ორივე ტექსტს, წყარო და სამიზნე ტექსტებს მიიჩნევს თანაბარ ტექსტებად (Комиссаров, 1990:36).

მრავალი გამოჩენილი მკვლევრის აზრის გათვალისწინებით, ჩვენც ვიზიარებთ იმ აზრს, რომ თარგმნისას, ასე ვთქვათ, ორი ენის კომუნიკაციის დროს, მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყარო და სამიზნე ტექსტების კომუნიკაციური ფუნქციის შენარჩუნებას. სწორედ ის არის შინაარსის კომპონენტების სპეციფიკის განმსაზღვრელი, და ამ კომპონენტების სხვადასხვა ენობრივი საშუალებებით გაფორმებას და თარგმნას განსაზღვრავს სწორედ ფუნქციური დომინანტის შემადგენლობა. ფუნქციური დომინანტის ადეკვატური თარგმანი არის ეკვივალენტური თარგმანის საფუძველი.

ჩვენ მიერ განხილულ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ უკვე აღარ უარყოფენ ტექსტის ტიპების სპეციალური ფუნქციის როლს, როგორც თარგმნის პროცესისა და კრიტერიუმის უმთავრეს ფაქტორს. ტექსტების ტიპოლოგიის შექმნა უკვე მიიჩნევა არა მხოლოდ გონივრულ ნაბიჯად, არამედ აუცილებელიც კია თარგმნის ადეკვატურობის მოთხოვნებისა და თარგმნის შეფასების დასაბუთებული კვლევისათვის. აქამდე არსებული ტექსტების კლასიფიცირების მცდელობები უშედეგო გამოდგა ერთიანი კონცეფციისა და მათი გამიჯვნის არგუმენტების არარსებობის გამო. ხოლო არგუმენტების არსებობისას ისინი საკმაოდ არადამაჯერებლად წარმოგვიდგებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ იშვიათად გვხვდება ერთი სახის ინფორმაციის გადმომცემი ტექსტები. მაგრამ მიუხედავად ამისა, მათში მაინც დომინირებს რომელიმე ერთ-ერთი მათგანი. დომინირებული ინფორმაცია თითქოს ჩქმალავს და ჩრდილავს სხვა ინფორმაციას და ამიტომაც გვეჩვენება, თითქოს ერთ ინფორმაციასთან გვაქვს საქმე. ყველა ინფორმაციას გააჩნია, ასე ვთქვათ, ზედმეტობის პარამეტრი, რომელიც ეხმარება მას სიცოცხლისუნარიანობაში. ინფორმაცია განსაზღვრავს ტექსტის კომუნიკაციურ ფუნქციასა და კომუნიკაციურ დანიშნულებას. აქედან გამომდინარე, ეს კომუნიკაციური დანიშნულება კომპლექსური ხასიათისაა.

ერთი ენის ენობრივი ერთეულების მეორე ენის ანალოგიური ერთეულების მიმართ ეკვივალენტობა თარგმანს უკავშირდება და წარმოადგენს მის უმთავრეს ონტოლოგიურ მახასიათებელს. ეკვივალენტობასთან მიმართებაში მრავალი სხვადასხვა მიდგომა არსებობს. ი. ნაიდა გამოყოფს ეკვივალენტობის ორ ტიპს: ფორმალურს და დინამიურს: „ფორმალური ეკვივალენტობის შესანარჩუნებლად ყურადღება შეტყობინებაზე კონცენტრირდება, მის შინაარსსა და ფორმაზე. ასეთ დროს პოეზია პოეზიით უნდა ითარგმნოს, წინადადება - წინადადებით, ცნება - ცნებით. ასეთი თარგმანის მიზანია შეტყობინებაში სამიზნე ენისა და საწყისი ენის ელემენტების სიახლოვის არსებობა. დინამიური ეკვივალენტობის პრინციპით თარგმნის მიზანია გამოხატვის საშუალებების ბუნებრიობა. ასეთი თარგმანი ითვალისწინებს არა იმდენად თარგმანისა და ორიგინალის შინაარსის თანხვედრას, არამედ თარგმანის ენაზე მიმდებსა და შეტყობინებას შორის ისეთი კავშირის დამყარებას, როგორც არის მსმენელსა და შეტყობინებას შორის ორიგინალის ენაზე.

საკვლევი თემიდან გამომდინარე, ჩვენ გვინტერესებს ოფიციალურ-საქმიანი სტილის საბუთების ტექსტები, რომლებიც არც ისტორიკოსის ტექსტებს არ წარმოადგენენ, არც ფილოლოგის ტექსტებს, არც მხატვრულ ტექსტებს.

ჩვენ ვეთანხმებით ოფიციალურ-საქმიანი ენის შესახებ მეცნიერულ კვლევებში გამოთქმულ მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ის შედარებით დახურულ ქვესისტემას წარმოადგენს, გარკვეული ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებებით. ეს თავისებურებები განპირობებულია ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, რომლებიც გამომდინარეობს მოცემული სამეტყველო ურთიერთობის სპეციფიკური სფეროს მიზანმიმართულებით, თავისებურებებით და ამოცანებით.

ეს არის თავისი ფორმით და ენით განსხვავებული, განსაკუთრებული, მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მქონე ტექსტები. ისინი წარმოადგენენ რთულ, მრავალსპექტიან წარმონაქმნს, საქმიანი დამოკიდებულებების სფეროს, სამართლებრივი და მართვის სფეროს მომსახურე წიგნურ სტილს, რომლის შემადგენლობაში შემავალი ყოველი რგოლი შეიცავს თავის ადრესატს და ადრესანტს (ადამიანი ამა თუ იმ სივრცეში ერთვება არა მარტო გარკვეული როლის

გათვალისწინებით, არამედ საკუთარი მიზნებითაც), კომუნიკაციის მიზნებსა და ამოცანებს (კონკრეტული გადაწყვეტილების ან საერთო კოორდინაციული შედეგის მიღწევა), ურთიერთმოქმედების სიტუაციებს. ცნებების მკაცრი განსაზღვრა - ეს არის მისი ეფექტურობის განმსაზღვრელი. ამა თუ იმ სოციალურ სფეროში ადამიანთა საზოგადოებრივ-სამეტყველო პრაქტიკა და რომლის თავისებურებებიც განისაზღვრება მოცემულ სფეროში ურთიერთობების მრავალფეროვნებით.

ის მოიცავს საერთაშორისო კონტაქტებს, იურისპრუდენციას, ეკონომიკას, სამხედრო საქმეს, რეკლამირების სფეროს, ოფიციალურ დაწესებულებებში ურთიერთობებს, სამთავრობო მოღვაწეობას. ქვესტილებია-საკანონმდებლო (გამოიყენება სახელმწიფო მმართველობის სფეროში), ადმინისტრაციულ-კანცელარიული (პირადი შემადგენლობის, დაწესებულებების დოკუმენტების წარმოება, რომელიც მიუთითებს ადმინისტრაციულ ურთიერთობებზე.); დიპლომატიური (საერთაშორისო დონეზე, მთავრობებსა და დიპლომატებს შორის ურთიერთობა).

ოფიციალურ-საქმიანი საბუთების ტექსტებისათვის უმთავრეს დამახასიათებელ თავისებურებად და განმსაზღვრელად უნდა მივიჩნიოთ: ნორმირებული სალიტერატურო ენის გამოყენება და დაცვა; იმპერატიული ხასიათი; ობიექტური, სანდო, სრული ინფორმაციის მაქსიმალურად მოკლედ, კონკრეტულად, ზუსტად, დასაბუთებულად და ამომწურავად გადმოცემა, რაც გამორიცხავს გამეორებას და ტექსტის ორმაგი გაგების შესაძლებლობას; საქმიანი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია სახელწოდებების და ტერმინების, კანცელარიზმების, აბრევიატურების და სიტყვათშემოკლებების გამოყენების მაღალი ხვედრითი წილი, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმიანი ტექსტები გამოირჩევა სიმყარით და ჩაკეტილობით; ფორმოზრივი სტანდარტულობა და მრავალი სხვა. ოფიციალურ-საქმიანი ტექსტი უნდა პასუხობდეს თავის დანიშნულებას: გააჩნდეს იურიდიული ძალა, სტრუქტურა და ექვემდებარებოდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ დამუშავებას.

2.2 ტრანსლატოლოგია, როგორც ტექსტზე ორიენტირებული თარგმანი

ძველად გავრცელებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ „გამცემი“ ქვეყანა უფრო მდიდარი კულტურის მქონეა, ვიდრე „მიმღები“. თუკი ისტორიულად, თარგმნა მართლაც ამდიდრებდა მთარგმნელი ხალხის კულტურას, ხელს უწყობდა ამ უკანასკნელს ასულიყო უფრო მაღალ საფეხურზე და ისტორიული განვითარების თვალსაზრისით თვით „გამცემ“ ქვეყანაზეც კი უფრო შორს წასულიყო, სამაგიეროდ და განსაკუთრებით დღეს, თარგმნა სრულიადაც არ ამტკიცებს „მიმღები“ ქვეყნის სიღარიბეს, თუმცა იგი ახლაც ამდიდრებს მის საგანძურს. თარგმანი დღეს კულტურული ფასეულობების გაცვლა და ხალხთა ცხოვრების ურთიერთგაცნობის გზაა. თარგმანთა სიმრავლე ამჟამად, სწორედ ხალხთა მაღალი კულტურის მაჩვენებელია. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ვცხოვრობთ პოლიკულტურულ სივრცეში და ტექსტების თეზაურუსი მრავალენოვანია, უფრო მოთხოვნადი ხდება მათი თარგმანი. საუკუნეების მანძილზე თარგმანს სოციალურ-კულტურული და საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება და იგი ცივილიზაციის თანამგზავრია.

თარგმანის პრაქტიკის ისტორია საუკუნეებს ითვლის, მაგრამ მიუხედავად ამისა, თარგმანმცოდნეობა, ფილოლოგიური მეცნიერების სხვა დისციპლინებისაგან განსხვავებით, შედარებით ახალი დარგია. თარგმნის ფენომენის საიდუმლო - ენისა და აზროვნების ურთიერთობაშია საძიებელი, რომ არ არსებობდეს მათ შორის დიალექტიკური ერთიანობა, ენას რომ არ გააჩნდეს უნარი გარდასახოს ყოველი აზრი, თარგმანი ვერ იარსებებდა.

თარგმნის ლინგვისტური თეორიის განვითარებას სტიმული მისცა მანქანური თარგმნის სისტემის შექმნის მცდელობამ. იმედს გამოთქვამდნენ, რომ კომპიუტერი უფრო სწრაფად და იაფად შეძლებდა მთარგმნელის ფუნქციების შესრულებას. თავდაპირველი მცდელობები არ იძლეოდა სასურველ შედეგს. იმედოვნებდნენ, მომავალი თაობის გაზრდილი მეხსიერების კომპიუტერებით შესაძლებელი იქნებოდა ამის მიღწევა. მაგრამ მალევე ცხადი გახდა, რომ მანქანური თარგმნის პრობლემები ნაკლებად იყო დამოკიდებული კომპიუტერის მეხსიერების სიდიდესთან. არ არსებობდა ისეთი პროგრამა, რომელიც მანქანას მისცემდა

საშუალებას წარმატებით შეესრულებინა და გადაეწყვიტა თარგმანთან დაკავშირებული ყველა ის პრობლემა და სირთულე, რომელსაც ადამიანი აკეთებდა. იქიდან გამომდინარე, რომ სათანადოდ არ იყო შესწავლილი ადამიანის საქმიანობის ეს მხარე, ბევრი ლინგვისტი გადაერთო ტრადიციული თარგმანის შესწავლაზე და ცდილობდნენ აქ ეპოვათ ამ პრობლემის გადაჭრის ხერხები. დღეს არსებული მანქანური თარგმანის თანამედროვე პროგრამები ვერ უზრუნველყოფენ სხვადასხვა სირთულის ტექსტის თარგმნის მაღალ ხარისხს. ისინი არც აცხადებენ ამასთან დაკავშირებით პრეტენზიას. მანქანური თარგმანი მეტნაკლებად გამართლებულია შეზღუდული ლექსიკის და გრამატიკის მქონე სტანდარტული ფორმის ვიწრო სპეციალური ტექსტებისათვის, რომლებიც პირველ რიგში წარმოდგენილია ტექნიკურ თარგმანში. მანქანური თარგმანი იძლევა დაბალი ხარისხით, მაგრამ დიდი მოცულობის სწრაფ თარგმანს, რაც დროის ეკონომიასთანაა დაკავშირებული. ვინაიდან მანქანური თარგმანი ვერ ერევა ხატოვანი საშუალებების ადეკვატურ გადაფორმებას მიმღებ ენაზე, ამიტომ არ არის მიზანშეწონილი მისი გამოყენება მხატვრული ლიტერატურის, პრესის თარგმნისათვის. მაგრამ ის აქტიურად გამოიყენება დიდი მოცულობის ტექნიკური ტექსტების თარგმნისას.

დღეს ყველაზე მომგებიანია ეგრეთწოდებული შერეული თარგმანი, რომელიც ორ ეტაპს მოიცავს. პირველი ეტაპი მოიცავს მანქანურ თარგმანს, მეორე ეტაპზე კი ამ პროცესში ერთვება მთარგმნელი, რომელიც რედაქტირებას უკეთებს უკვე გადათარგმნილ ტექსტს, ხარვეზების და ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. უნდა ითქვას ისიც, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შეზღუდულია ასეთი თარგმანის სფეროები.

ჩვენი აზრით, შერეული თარგმანის გამოყენება შესაძლებელი იქნება ფაქტობრივი ინფორმაციის საქმიანი საბუთების (ავტობიოგრაფია, განცხადება, დახასიათება...) თარგმნისას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, თარგმნის ძირითადი ასპექტი დაკავშირებულია ენასთან. ენის არსებობის და გამოყენების თავისებურებები განსაზღვრავენ თარგმნის აუცილებლობას და მასთან დაკავშირებულ სირთულეს, რომლის წინაშეც დგება ხშირად მთარგმნელი. თარგმნის აუცილებლობა განაპირობა

ადამიანების სხვადასხვა ენებზე საუბარმა. თარგმანი ხომ ორ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანის ურთიერთობისა და კომუნიკაციის საშუალებაა.

ლინგვისტები სწავლობენ ენობრივ სიტუაციებს, როგორც ცალკეული ქვეყნების, ისე მთელი მსოფლიო მასშტაბითაც და გამოყოფენ სამ ძირითად სირთულეს, ესენია: ენობრივი ერთეულების სემანტიკური თავისებურება, „სამყაროს ენობრივ სურათ“-ებს შორის შეუსაბამობა, ორიგინალსა და ნათარგმნ ტექსტებში არსებული განსხვავებები.

ცნობილი მეცნიერები თარგმანს შემდეგნაირად განსაზღვრავენ: ფიოდოროვი თვლის: „გადათარგმნო ნიშნავს - ერთი ენის საშუალებით სწორად და სრულად გამოხატო ის, რაც უკვე გამოხატულია მეორე ენის საშუალებებით“ (Федоров, 2002:15). შვეიცერის აზრით: „თარგმანი შეიძლება შეფასდეს, როგორც ენათაშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის ერთმიმართულებიანი და ორფაზიანი პროცესი, როცა პირველადი ტექსტის გააზრებული ანალიზის საფუძველზე იქმნება მეორადი ტექსტი, რომელსაც გადაჰყავს პირველადი ტექსტი სხვა ენობრივ და კულტურულ გარემოში...“ (Швейцер, 1988:75).

ლედერერი მიიჩნევს, რომ „თარგმნის დროს საკმარისი არ არის გაიგო მხოლოდ შენ, საჭიროა, რომ გაიგონ სხვებმაც. ამ განსაზღვრების თანახმად თარგმანი იყოფა ორ ნაწილად: აზრის გაგება და მისი გადმოცემა“ (სელესკოვიჩი, ლედერერი, 2001:37).

რეცკერი განმარტავს, რომ: „მთარგმნელის ამოცანაა მეორე ენის საშუალებებით გადმოსცეს ორიგინალის შინაარსი ერთიანობაში და ზუსტად, მისი სტილისტური და ექსპრესიული თავისებურებების შენარჩუნებით. თარგმანის „ერთიანობაში“ უნდა ვიგულისხმოთ ფორმისა და შინაარსის ერთიანობა ახალი ენის საფუძველზე. თუკი ორ ენაზე შესრულებული თარგმანის სიზუსტის კრიტერიუმად მიჩნეულია იგივეობა, თანასწორობა, მაშინ სრულფასოვან და ადეკვატურ თარგმანად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი თარგმანი, რომელიც ამ ინფორმაციას გადმოცემს ტოლფასოვანი საშუალებებით. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, მონათხრობისგან განსხვავებით, თარგმანმა უნდა გადმოგვცეს არა მარტო ის რაც გადმოცემულია დედანში, არამედ გადმოგვცეს ისე, როგორც გადმოცემულია დედანში. ეს მოთხოვნა ვრცელდება

როგორც მთლიანად ტექსტზე, ასევე მის ცალკეულ ნაწილებზეც“ (Рецкер, 1981:5). მუნენი განსაზღვრავს: „თარგმანი - ეს არის ენების კონტაქტი და ბილინგვიზმის მოვლენა... ეს ბილინგვიზმის ის შემთხვევაა, როცა ბილინგვი შეგნებულად გამოდის ნებისმიერი ნორმიდან გადახვევის და ინტერფერენციის წინააღმდეგ“ (Мунен, 1978:36). ვინოგრადოვის გამნარტებით: „თარგმანი არის სიტყვის ხელოვნების განსაკუთრებული, თავისებური და დამოუკიდებელი სახეობა. ეს არის „მეორადი“ ხელოვნება, ორიგინალის მეორე ენაზე „გადაფორმების“ ხელოვნება“ (Виноградов, 2001:136). ბარხუდაროვი თარგმანს მიიჩნევს: „ტრანსფორმაციის განსაზღვრულ სახედ, სახელდობრ ენათაშორის ტრანსფორმაციად“ (Бархударов, 1975:6).

“კლასიკური ფილოლოგია, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, სოციოლოგია, რიტორიკა, პოეტიკა, გრამატიკული ანალიზი ერთიანდებიან იმისათვის, რომ ნათელი გახადონ თარგმანის აქტის არსი და „ენათაშორისი სიცოცხლის მექანიზმები“ - ასკვნის შტაინერი (Джорж Стейнер (George Steiner) Г. Штейнер (Гарбовский, 2007:22).

აქ მოყვანილი თარგმანის დეფინიციებიდან შეიძლება ვთქვათ, რომ თარგმანი არის:

- მეტყველების შესაბამისობა ორიგინალთან;
- იმის გადაფორმება, გადმოცემა სხვა ენის საშუალებებით, რაც უკვე გადმოცემულია;
- ენათშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესი, ორი ენის კომუნიკაცია, ენების კონტაქტი, ბილინგვიზმის მოვლენა;
- მეტყველების ნაირსახეობა, რომელშიც ორმაგდება კომუნიკაციის კომპონენტები;
- ორფაზიანი პროცესი, რამდენადაც ის ორ მომენტად, ორ ნაწილად იყოფა;
- ენათშორისი ტრანსფორმაცია;
- სიტყვის ხელოვნების ნაირსახეობა, ხელოვნება, რომელიც მეცნიერებას ეფუძნება.

ვილენ კომისაროვი თარგმანს განმარტავს, როგორც ადამიანთა საქმიანობის ერთ-ერთ რთულ და მრავალმხრივ სახეობას. მიიჩნევენ, რომ თარგმანი ნიშნავს

ტექსტის ერთი ენიდან მეორე ენაზე გადატანას. სინამდვილეში ამ პროცესში ერთმანეთს ხვდებიან სხვადასხვა კულტურები, ლიტერატურა, მსოფლმხედველობა, ადათ-წესები, ტრადიციები, ეპოქები, ადამიანები. თარგმანით დაინტერესებულნი არიან კულტუროლოგები, ეთნოგრაფები, ისტორიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები, ენათმეცნიერები და სხვა მეცნიერებების წარმომადგენლები და ის განიხილება ამ მეცნიერებების დაინტერესების ჭრილში. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაინტერესდა ენათმეცნიერება თარგმანით, მაგრამ მიუხედავად ამისა, თარგმანის ლინგვისტურმა თეორიამ თანამედროვე ენათმეცნიერებაში მთავარი ადგილი დაიჭირა (Комиссаров, 1999:11).

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს მოჰყვა ინფორმაციული აფეთქება (ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ქვეყნებსა და ხალხებს შორის), რომელსაც თან სდევს მთარგმნელობითი საქმიანობის ბუმი. ჩამოყალიბდა თარგმნის ახალი სახეობები: სინქრონული, კინოფილმების (დუბლირება), რადიოგადაცემების თარგმანი. წიგნების თარგმანთან ერთად, ზეპირად და წერილობით ითარგმნება დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და წარმოებების საქმიანობის ამსახველი მასალები. პროფესიონალ მთარგმნელებთან ერთად მთარგმნელობით საქმიანობას ეწევიან უცხო ენის მცოდნე სპეციალისტები: ინჟინრები, დიპლომატები, ბიბლიოთეკარები, მასწავლებლები და სხვ. ამ ფონზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით იხსნება მთარგმნელობითი სკოლები, საუნივერსიტეტო ფაკულტეტები და განყოფილებები. საჭიროებამ მოიტანა შესაბამისი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავება. მთარგმნელობითი საქმიანობის არნახული მასშტაბებიდან გამომდინარე, პროფესიონალი მთარგმნელების მომზადებას, მოჰყვა თარგმნის ფენომენის მრავალმხრივი შესწავლის აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ კვლავ ითარგმნება მხატვრული ლიტერატურა, წინა პლანზე გადმოინაცვლა და ჭარბობს არამხატვრული (ინფორმაციული) ტექსტების თარგმნა. თუკი მხატვრული ტექსტის თარგმნის პრობლემა დაკავშირებულია ორიგინალის მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების და ავტორის ინდივიდუალობის გადმოცემასთან, ინფორმაციული ტექსტების თარგმნის სირთულე ლინგვისტიკურ ხასიათში ვლინდება. ნათარგმნი ტექსტები ხშირად ანონიმური იყო, სალაპარაკო ენით დაწერილი, ავტორის

ინდივიდუალობა უგულებელყოფილი, თარგმნის პრობლემაც ორი ენის ერთეულის მნიშვნელობებს შორის განსხვავებით, მათი ფუნქციონირებით და წინადადების აგების ხერხებით განისაზღვრებოდა.

თარგმანი ამ დროისათვის არ ითვლებოდა დამოუკიდებელ მეცნიერებად. თარგმნის პრაქტიკა წინ უსწრებდა თარგმნის თეორიას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ინფორმაციული ტექსტების მთარგმნელობითი ბუმის პირობებში, ადამიანები თავიანთ შეცდომებზე ეუფლებოდნენ თარგმნის ტექნიკას. თარგმანმცოდნეობა მოიცავს თარგმნის პროცესს მთელი თავისი მრავალფეროვნებით და მის დანიშნულებას ხარისხიანი თარგმანი წარმოადგენს.

კომისაროვი მიიჩნევს, რომ ენათმეცნიერების განვითარებამ შესაძლებელი გახადა თარგმნის პროცესის თავისი ინტერესის სფეროში მოქცევა. თარგმანის თანამედროვე თეორიებში შეინიშნება რომელიმე საკვლევი სფეროს დომინანტური როლი, ის თანამედროვე თარგმანის თეორიაში გამოყოფს ოთხ ძირითად მიმართულებას:

I. რიგ ნაშრომებში თარგმანი ზოგადად განიხილება, როგორც ენათმეცნიერების კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება. თარგმანის ამ ასპექტის შესწავლა მიზნად ისახავს თარგმანის ცნების განსაზღვრას, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გამოვლენას, მათი ურთიერთზემოქმედების კვლევას და ამ ფონზე განიხილავს თარგმნის თეორიის ცენტრალურ პრობლემას.

II. თარგმანი განიხილება, როგორც მეტყველების თავისებური სახეობა, განხორციელებული მთარგმნელ-ბილინგვის მიერ, ამ ფსიქოლოგიური ასპექტის შესწავლის მიზანია მთარგმნელის სააზროვნო ოპერაციების გაანალიზება, როგორ ხდება დედნის შინაარსის გააზრება და თარგმანის ვარიანტის შერჩევა.

III. თარგმანი მოიაზრება, როგორც გადასვლა ერთ ენაზე შესრულებული ტექსტიდან მეორე ენაზე შესაქმნელ ეკვივალენტურ ტექსტზე. ამ შემთხვევაში თარგმნა განიხილება, როგორც საწყისი „ტექსტის“ ტრანსფორმაციები, ანუ ორ ტექსტს შორის მიმართებათა აღწერის ხერხები.

IV. თარგმნის პროცესი განიხილება, როგორც განსაკუთრებული სახეობა ორი ენის სამეტყველო და ენობრივი ერთეულების შეპირისპირებისა. თარგმნის პროცესში

ეკვივალენტურობა დგინდება არამარტო ორ სხვადასხვა ენოვან ტექსტს შორის, არამედ ამ ტექსტების ელემენტებს შორისაც, თვით ცალკეულ ენობრივ ერთეულებამდეც კი. ამასთან ორი ენის ეკვივალენტური ერთეულები ერთმანეთს შეეფარდებიან არა მარტო, როგორც მათი სისტემების ერთეულები, არამედ ისინი არსებობენ ეკვივალენტური სამეტყველო გამონათქვამების შემადგენლობაში. ამის მიხედვით „თარგმნა გვევლინება, როგორც სხვადასხვა ენაში ისეთი ერთეულების გამოვლენის ხერხი, რომელთაც ძალუმთ შეასრულონ ერთნაირი კომუნიკაციის ფუნქცია“.

პროფესიონალი მთარგმნელი ყოველთვის შეძლებს დედნის ინფორმაციული ეკვივალენტობის მიღწევას. თავიდანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ერთი თარგმანი არ შეიძლება იყოს ორიგინალის აბსოლუტურად იდენტური. ტერმინი “ორიგინალის ეკვივალენტობა“ შეფარდებითი ცნებაა, ამ შეფარდების დონეებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. ორიგინალთან სიახლოვის დონეც სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული: მთარგმნელობით ხელოვნებაზე, შესაბამისი ენებისა და კულტურების თავისებურებებზე, ორიგინალისა და თარგმანის შესრულების დროზე და ეპოქაზე, თარგმნის ხერხებზე, ტექსტის ფუნქციებზე და სხვა.

ადრე წარმოდგენილი თარგმნის დეფინიციის მიხედვით, თარგმანმცოდნეობაში არსებობს ორი ურთიერთდამოკიდებული კვლევის დონე: პროცესუალური და ტექსტური. პროცესუალური დედუქციურ მეთოდს ეყრდნობა იმდენად, რამდენადაც თარგმნის პროცესი ადამიანის გონებაში მიმდინარეობს და მასზე თვალყურის დევნება არ შეგვიძლია. კონკრეტული თარგმანმცოდნეობითი ანალიზისათვის მატერიალური სახით, გვაქვს მხოლოდ წყარო და სამიზნე ენის ტექსტები, წერილობითი ან ხმოვანი. მათი ფუნქციონალური, შინაარსობრივი და ემოციური სპეციფიკა გავლენას ახდენს კვლევის მეთოდებსა და მეთოდოლოგიაზე.

თარგმნის დროს ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რომელი დისკურსის ფარგლებშია შექმნილი, რა თეზაურუსს მიეკუთვნება ესა თუ ის ტექსტი. სათარგმნი ტექსტები განსხვავდებიან ჟანრების, სტილებისა და ფუნქციების მიხედვით. ტექსტის ტიპები განსაზღვრავენ თარგმნის მიდგომებს და მოთხოვნებს, გავლენას ახდენენ თარგმნის ხერხებზე, ორიგინალისა

და სამიზნე ტექსტის ეკვივალენტობის ხარისხზე. ყველა ჟანრს გააჩნია თარგმნის თავისებური კანონზომიერება. დისკურსული მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ ყველა დისკურსს ზოგადი თარგმნის პრობლემების გარდა ემატება ამ დისკურსისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა.

ჩვენ ვიზიარებთ კომისაროვის აზრს იმის შესახებ, რომ თანამედროვე თარგმანმცოდნეობა ფართოდ იყენებს კვლევის ლინგვისტურ მეთოდებს. იქიდან გამომდინარე, რომ თარგმნის პროცესში სხვადასხვა ენებზე შედგენილ ტექსტებს შორის მყარდება განსაზღვრული ურთიერთობები, თარგმნის პროცესის შესწავლა, თავისთავად გვთავაზობს შეპისპირებითი ანალიზის გამოყენებას. ტექსტების შეპირისპირება თარგმნისას წარმოადგენს მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროს. თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში გამოიყენება ასეთი ანალიზის ოთხი პროცედურა:

პირველი - ხდება ორიგინალი და თარგმანის ტექსტების შეპირისპირება, რომელიც გვამლევს ფასეულ მონაცემებს შინაარსის სიახლოვის ხარისხსა და ორიგინალის და თარგმანის სტრუქტურის მსგავსების შესახებ, ეკვივალენტობის მიღწევის ხერხებზე, თარგმანის სტანდარტულ ხერხებსა და ამ პროცესისთვის დამახასიათებელ მრავალ თავისებურებებზე.

მეორე - ხდება ერთი და იგივე ორიგინალის სხვადასხვა ავტორთა თარგმანების შეპირისპირება. ეს იძლევა იმ საერთო კანონზომიერებების დადგენის საშუალებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული ცალკეული ავტორის კვალიფიკაციასა და ინდივიდუალობაზე.

მესამე - ხდება თარგმნილი ორიგინალის შეპირისპირება მეორადი ენის ტექსტებთან. აქედან ირკვევა, რომ თარგმანის ენა წარმოადგენს შესაბამისი ეროვნული ენის ქვესისტემას. თეორიულ ჭრილში დიდ ინტერესს იწვევს ის მრავალრიცხოვანი შემთხვევები, როცა მთარგმნელი ნებით თუ უნებლიედ აფართოებს თარგმანის ენის კომუნიკაციურ შესაძლებლობებს, ისეთი სტანდარტული ხერხების გამოყენებით, როგორებიცაა ნასესხობები, კალკა. სიტყვასიტყვითი თარგმანი, ცალკეული ფორმების გამოყენების სიხშირის ცვლილებები და სხვა. ეს ყველაფერი წარმოადგენს ერთგვარ თავისებურ ნორმას და გამართლებულია კიდევ.

მეოთხე სახეობა ეს არის საწყისი და მიმღები ენის პარალელური ტექსტების, ანუ ერთ ფუნქციონალურ სტილს და ჟანრს მიკუთვნებული შინაარსობრივად თითქმის მსგავსი ტექსტების, შედარებითი ანალიზი. ამ გზით გამოვლინდება ორი ენის ენობრივი საშუალებების გამოყენებას შორის განსხვავებები, რაც თარგმნისას იწვევს სტილისტურ ადაპტაციას (Комиссаров, 1990:35-39).

ერთი შეხედვით, როგორც ჩანს, თარგმანი ადაპტური ტრანსკოდირებისგან იმით განსხვავდება, რომ თარგმნისას არ ხდება ორიგინალის შინაარსის გადამუშავება, არამედ ის გადმოიცემა "მთლიანად", "ზუსტად" ან "ეკვივალენტით". სწორედ ამ თვისების გათვალისწინებით ბევრი მკვლევარი თარგმანს მიიჩნევს, როგორც ტექსტის ერთი ენიდან სხვა ენაზე ეკვივალენტი ტექსტის შეცვლად. ამერიკელი ენათმეცნიერი ი. ნაიდა საუბრობს ორიგინალის - თარგმანის ენაზე ჩანაცვლებაზე ყველაზე ბუნებრივი ეკვივალენტით.

მთარგმნელის საბოლოო მიზანი არის ტექსტის შექმნა, რომელიც აკმაყოფილებს ერთიანობასა და თანხვედრას, და ამ მოთხოვნების გათვალისწინებით ღებულობს ის ყველა გადაწყვეტილებას. რა თქმა უნდა, ტექსტის, თარგმანის ძირითად ერთეულად აღიარებით, არ გადაიჭრება თარგმანის შინაარსის ცალკეული ერთეულების გადმოცემასთან დაკავშირებული პრობლემა, მაგრამ ის ხაზს უსვამს თარგმანის ტექსტოლოგიური ასპექტის მნიშვნელობას.

თარგმნის პროცესის სწორი წარმართვისათვის ტექსტების სხვადასხვა ამოცანების გათვალისწინებით და სხვადასხვა თვალსაზრისით დაჯგუფებას და კლასიფიკაციას გვთავაზობს. ალექსეევა: სახეების, ვერბალური ფორმების, ჟანრების, კომპოზიციურ-სამეტყველო (სტილური) ფორმების; ტიპების, ლინგვისტური და ტრანსლატოლოგიურობის მიხედვით. თავად ტერმინი „ტრანსლატოლოგია“ გადასათარგმნი ტექსტების ჟანრზე ორიენტირებული თარგმანია. ის კანონზომიერებები, რომლებსაც იკვლევს თარგმნის სპეციალური თეორია, რეალიზდება წყარო და სამიზნე ტექსტებში. ტექსტების სტილის და კომუკაციური სიტუაციის გათვალისწინებით ეს ტექსტები ემორჩილებიან გარკვეულ ლინგვოსტილისტურ ნორმებს და დამოკიდებული არიან წყარო ტექსტის

სპეციფიკასა და ტექსტის ადრესატზე. აქედან გამომდინარე ტექსტის ტრანსლატოლოგია შემდეგ მიზნებს ისახავს:

- ტექსტის ტიპის მიხედვით, ტექსტის რეალიზაციასთან დაკავშირებული ენობრივი ერთეულების თეორიული საფუძვლებისა და ეკვივალენტობის აღწერის მეთოდოლოგიის შემუშავებას.
- თარგმანზე ორიენტირებული, ტექსტის თარგმნის ანალიზის მეთოდისა და ტექსტის ტიპოლოგიის, აგრეთვე ტექსტზე და მის ტიპზე ორიენტირებული თარგმნის პრობლემების შემუშავებას.
- წყარო ტექსტისა და სამიზნე ტექსტის ანალიზი და შეპირისპირება, მათი შესატყვისი ენობრივი, სტილისტური და ტექსტური ნიშნების გამომუშავების, სისტემატიზაციის და კორელაციის მიზნით.
- წყარო ტექსტსა და სამიზნე ტექსტის მასალებისა და ასევე პარალელური ტექსტების მასალის სხვადასხვა კომპოზიციურ-სამეტყველო ფორმებს მიკუთვნებული ტექსტების ენობრივი და სტილისტური ნორმების გაფორმების აღწერა და კონტრასტული კვლევები.
- ცალკეული ტექსტის ტიპების ტრანსლატოლოგიის შემუშავება (Алексеева, 2004:49).

უკანასკნელ წლებში, პოპულარული თარგმანმცოდნეობის ასპექტის ფარგლებში მეცნიერები იკვლევენ თარგმნის მენტალურ პროცესებს. მათ პირველ რიგში აინტერესებთ სტრატეგიები, რომლებსაც ირჩევენ მთარგმნელები ორიგინალი ტექსტის აღქმის, გაგების და ანალიზის ეტაპებზე, და შემდეგ გარდასახვის პროგნოზი, თავად თარგმნის ტექსტის გარდასახვა და ფორმულირების თავისებურებები. კვლევები შეიცავენ პროფესიონალი მთარგმნელების მუშაობის პროცესზე დაკვირვების არჩევით მეთოდის, აგრეთვე ექსპერიმენტების დაგეგმვას, რომელშიც პროფესიონალ მთარგმნელებთან ერთად მონაწილეობენ დილეტანტებიც.

ტექსტების ამა თუ იმ ტიპში შეყვანა არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სხვაგვარად გადაითარგმნებიან, ვიდრე მეზობელი რუბრიკის ტექსტები. ამასთანავე, ცხადია, ისიც, რომ თარგმნისას სრულად არ ითარგმნება ტექსტის ნიშნებიც, ამიტომაც

ტექსტები უნდა გავაერთიანოთ საერთო დომინირებადი ნიშნების მიხედვით-სწორედ ასეთი ტექსტები გადაითარგმნება ერთნაირად.

ტრანსლატოლოგის მიხედვით პირველი კლასიფიკაციის შედგენის მცდელობა გერმანელ ლინგვისტს კატარინა რაისს ეკუთვნის. ის აკრიტიკებდა თარგმნის მანამდე არსებულ კლასიფიკაციას, რომელიც ტექსტების ტიპებს ეყრდნობოდნენ, მაგრამ არ ასახავდნენ გამოყენებულ მთარგმნელობით მეთოდებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებებს. არ ითვალისწინებდნენ იმას, რომ სწორედ ტექსტის ტიპები განსაზღვრავენ თარგმნის მეთოდს. და სწორედ აქედან გამომდინარე ის აცნობიერებს ტექსტის ტიპსა და თარგმნის მეთოდებს შორის მჭიდრო კავშირის არსებობას და გვთავაზობს ტექსტების კლასიფიკაციას. 1970-იანი წლების დასაწყისში მან შემოგვთავაზა დაყრდნობით ტექსტების კომუნიკაციურ მიდგომებს და ამავდროულად გაგვეთვალისწინებინა ტექსტებით გადმოცემული ინფორმაცია, წყაროსა და მიმღების (რეციპიენტის) თავისებურებები. ამაზე დაყრდნობით ის გვთავაზობს ტექსტების ოთხ ჯგუფს: 1) ინფორმაციული, რომელიც იქმნება ერთი ან რამდენიმე ავტორის მიერ და გათვალისწინებულია ერთი ან რამდენიმე მკითხველისათვის. კომუნიკაციური ფუნქცია და ენობრივი გაფორმება განისაზღვრება ალწერით; 2) ექსპრესიული ტექსტები, გარკვეული მკითხველისათვის გარკვეული თემის შემცველი ინფორმაციით. მათი ენობრივი გაფორმება დამოკიდებულია ავტორის ნება-სურვილზე. 3) ოპერატიული ტექსტები, რომლებიც იქმნება ერთი ან მეტი ავტორის მიერ და გადმოიცემა ისეთი ენობრივი საშუალებებით, რომლებიც უფრო მეტ ეფექტურ ზეგავლენას იქონიებს მიზნის მისაღწევად. 4) აუდიომედიალური ტექსტები. თავისი კომუნიკაციური ფუნქციით ის ზემოთჩამოთვლილ ჯგუფებშიც შეიძლება შევიყვანოთ, მაგრამ მისი გადმოცემა ხდება ტექნიკური საშუალებების დახმარებით და სიტყვის ნაცვლად, გადმოიცემა მხატვრული საშუალებებით, მუსიკით, ქესტებით (Алексеева, 2004:247).

ეს კლასიფიკაცია დაედო საფუძვლად 1999 თარგმანმცოდნეობის ჯგუფის მიერ შედგენილ გამდიდრებულ და შეცვლილ კლასიფიკაციას: 1) ინფორმაციული (სამომხმარებლო) ტექსტები, 2) აპელაციური ტექსტები; 3) ექსპრესიული ტექსტები.

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ასეთი არასრული კლასიფიკაციის მიუხედავად, მაინც ნიშანდობლივი იყო მისი შექმნა იქიდან გამომდინარე, რომ მან აღმოაჩინა თარგმნისათვის ტერმინი „ტექსტის“ ძირითადი ხასიათი და დაგვანახა ტექსტების სახეობების უსაზღვრო დიაპაზონი.

„თარგმანის პრაგმატიკა ის სისტემაა, რომელიც არეგულირებს ერთი ენის კოდებში გამოხატული შეტყობინების მეორე ენაზე კოდიფიცირების პროცესს. ამყარებს წონასწორობას საწყისი შეტყობინებისა და მეორადი შეტყობინების კომუნიკაციურ ეფექტთა შორის და რაც მთავარია წარმართავს თარგმანის ტექსტის შინაგანი მოდიფიკაციის პროცესებს მისი მიმღები ენისა და მიმღები კულტურის ფაქტორთა მკაცრი გათვალისწინებით. მიგვაჩნია, რომ თარგმანის პრაგმატიკაში სავსებით კანონზომიერად შეიძლება გაერთიანდეს როგორც ენობრივი, ისე გარეენობრივი ასპექტები“ (საყვარელიძე, 2001:30).

ყოველგვარი თარგმანისათვის, განურჩევლად ჟანრისა და შესრულების ფორმისა, თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ეკვივალენტურობა ზოგადტრანს-ლაციურ კატეგორიას წარმოადგენს. სწორედ შეტყობინების პრაგმატული ინტენციიდან გამომდინარე, სხვადასხვა შემთხვევაში, სხვადასხვა სახის ეკვივალენტურობა შეიძლება იყოს დომინანტური. მაგ.: „ინფორმაციული“ ტექსტების თარგმნისას მთარგმნელის პრაგმატულ მიზანს შეადგენს აზრობრივი სიზუსტის დაცვა, შინაარსობრივი ინვარიანტის შენარჩუნება. სხვა შემთხვევაში მაგ.: აპელაციური ხასიათის ტექსტის თარგმნისას, რომლის მიზანია ადრესატის დარწმუნება, მორალური და იდეოლოგიური ზემოქმედება, საჭიროა იმპრესიული ეფექტის შემცველი ენობრივი ფორმების ანალოგიზაცია. მხატვრულ თარგმანში, მთარგმნელის პრაგმატულ მიზანს წარმოადგენს ორიგინალის ფორმის და ესთეტიკური ღირებულების ადეკვატური ეფექტის შექმნა (საყვარელიძე, 2001:31).

პრაგმატულ ტექსტებში ენა კომუნიკაციის და შეტყობინების გადაცემის ხერხია, მაშინ როცა მხატვრულში ენა გვევლინება მხატვრული გარდასახვის და ნაწარმოებისთვის ესთეტიკური მნიშვნელობის მინიჭების საშუალებად.

ტექსტების ასეთი გამარტივებული დაყოფაც არასაკმარისია, მიუთითებს კატარინა რაისი. რამდენადაც ორივე ჯგუფში შეიძლება გამოყოფილი იქნეს

ტექსტები, რომლებიც თარგმნისას აბსოლუტურად განსხვავებულ პრობლემებს აწყდებიან, მოითხოვენ თარგმნის სხვადასხვა მეთოდებს და ექვემდებარებიან სრულიად განსხვავებულ კანონზომიერებებს. არის ტექსტთა ტიპები, რომელთა თარგმნა დარგობრივი ტერმინოლოგიის, სპეციალური ფრაზეოლოგიური კლიშეების და ტექსტუალური გაფორმების სტანდარტიზებულ ნორმათა ცოდნას მოითხოვს.

ძირითადი მოთხოვნა, რომელსაც უნდა პასუხობდეს ინფორმაციულ ტექსტთა თარგმანი, მდგომარეობს აზრობრივ სიზუსტეში, დენოტაციური პლანის ინვარიანტულობაში. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციულ ტექსტთა ყოველ სახეს უდავოდ გააჩნია თავისი სპეციფიკა, მათთვის საერთო თარგმნითი ნორმებია: შინაარსის უდანაკარგოდ შენარჩუნება, ინფორმაციის უტყუარობა და ენობრივი გამოხატვის ისეთ ფორმათა აქტივიზაცია, რომლებიც მხოლოდ ცალსახად შეიძლება იქნენ დეკოდირებული და არ უნდა შეიცავდნენ განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს.

თუ მთარგმნელის პრაგმატული მიზანია ადმინიშვნელის მნიშვნელობის ადრესატისათვის უდანაკარგოდ მიწოდება, მან ორიენტაცია უნდა აიღოს თარგმნის ენის ენობრივ ფორმებზე, რადგან კომუნიკაცია მაშინაა სრულყოფილი, როცა იგი თარგმანის ადრესატს მიეწოდება მისთვის ჩვეული ენის ნორმების შესაბამისად.

მართალია, პრაგმატულ ტექსტებს ბევრი საერთო აქვთ, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა დოკუმენტი ითარგმნება: იურიდიული, ადმინისტრაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული თუ სამეცნიერო.

1953 წელს გამოქვეყნდა ა.ფიოდოროვის მთავარი მონოგრაფია „თარგმნის ზოგადი და კერძო თეორიის საფუძვლები“. ა.ფიოდოროვი თარგმანის თავისებურებებიდან გამომდინარე გამოყოფდა:

- საინფორმაციო ტექსტებს, დოკუმენტურ ტექსტებს და სამეცნიერო ტექსტებს;
- საზოგადოებრივ პოლიტიკურ ტექსტებს;
- (მხატვრულ) ლიტერატურულ ტექსტებს.

I ჯგუფის დამახასიათებელი ნიშანად, ის მიიჩნევა, სპეციალური ტერმინებისა და სპეციალური ფრაზეოლოგიზმების სიჭარბეს. ამგვარი ტექსტების

თარგმნის მოთხოვნად ითვლება სადა, წერითი მეტყველების სინტაქსური კონსტრუქციის შინაარსის შენარჩუნება, როცა ავტორის სტილის გამოხატულება არ ითვლება არსებითად, ანუ როცა მხედველობაში გვაქვს მხოლოდ შეტყობინების გადმოცემა, მაშინ ამ მოთხოვნის შესრულება შესაძლებელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ სხვაგან არ არის საჭირო დიფერენცირებული სპეციალური ფრაზეოლოგიზმებისა და ტერმინების ფლობა და ცოდნა, რომლის გარეშეც ნებისმიერი სამიზნე ტექსტი ჩაითვლება უხარისხოდ შესრულებულად, არაბუნებრივად და არაპროფესიონალურად.

II ჯგუფის დამახასიათებელ ნიშნად ა.ფიოდოროვი მიიჩნევს სამეცნიერო და მხატვრული ენის ელემენტების ნარევს. ამასთან, ის არ ითვალისწინებს, რომ იგივე ნარევი შეიძლება შეგვხვდეს რომანებში და პიესებში. ა.ფიოდოროვი მოითხოვს სინტაქსური თავისებურებების გათვალისწინებას, რიტმის შენარჩუნების მიზნით, განსაკუთრებით სიტყვის თარგმნის დროს. ასეთი ჯგუფის გამოყოფა არამართებულია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტექსტები უნდა ეკუთვნოდეს ან პრაგმატულს, თუკი პირველ პლანზე დგას ინფორმაციის გადაცემა, ან კიდევ ლიტერატურულ მხატვრულ ტექსტებს, როცა მხატვრული ხერხებით მიიღწევა შესაბამისი ესთეტიკური ზემოქმედება, რომელიც თავისთავად შენარჩუნებული უნდა იქნეს თარგმანში. ა.ვ.ფიოდოროვი დაბეჯითებით ვერ ასაბუთებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების არსებობას, I და III ჯგუფებისაგან განსხვავებით. ამიტომაც უნდა ჩაითვალოს ეს ჯგუფი გარდამავალ, შუალედურ ფორმად და არა დამოუკიდებელი ტიპის ტექსტად.

და ბოლოს, III ჯგუფი - მხატვრული ლიტერატურა ფიოდოროვის თანახმად, სტილისტური თვალსაზრისით ხასიათდება ლექსიკური და სინტაქსური ენობრივი საშუალებების მრავალფეროვნებით, რომელიც შენარჩუნებული უნდა იქნას თარგმანში (Федоров, 2002:227-228).

ტექსტთა კლასიფიკაციის შედგენისას, ტექსტის კომუნიკაციური ფუნქციის მიხედვით ოფიციალურ-საქმიანი ტექსტები მიაკუთვნეს ინფორმაციული ტექსტების ტიპს, რომელიც თავის მხრივ პრაგმატული ტექსტების ჯგუფში ერთიანდება.

სხვადასხვა ტექსტების თარგმანის შეფასებისას ლოგიკურია ვიფიქროთ თარგმნის სხვადასხვა ხერხების შესახებ. განსხვავებული ტექსტების თარგმნის შედარებისას ვერ ვიხელმძღვანელებთ ერთი და იმავე კრიტერიუმით. მაგალითად, განსხვავებული იქნება მხატვრული და ოფიციალურ-საქმიანი ტექსტების თარგმნის შეფასების მიდგომები. ოფიციალურ-საქმიანი საბუთების თარგმნისას საკმარისია მათი ადეკვატური გადმოტანა მიმღებ ენაში. ადეკვატური თარგმანი უზრუნველყოფს თარგმანში პრაგმატული ამოცანების შენარჩუნებას მაქსიმალურად შესაძლებელი ეკვივალენტობის დონეზე და ამ მიზნის მიღწევისას ყველა ნორმისა და უზუსის დაცვას. ეს მოითხოვს:

1. შინაარსის მაქსიმალური გადმოცემას;
2. ფორმის შენარჩუნებას;
3. ემოცია-ექსპრესიის გადმოტანას.

საქმიანი ტექსტების თარგმანი გულისხმობს მათ აზრობრივ და ინფორმაციის გადმოცემის სიზუსტეს, დენოტაციური პლანის ინვარიანტულობას მიმღებ ენაში. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციულ ტექსტთა ყოველ სახესხვაობას უდავოდ გააჩნია თავისი სპეციფიკა, მათთვის საერთო თარგმნითი ნორმებია: შინაარსის უდანაკარგო შენარჩუნება, ინფორმაციის უტყუარობა და ენობრივი გამოხატვის ისეთ ფორმათა აქტივიზაცია, რომლებიც მხოლოდ ცალსახად შეიძლება იქნენ დეკოდირებული და არ უნდა შეიცავდნენ განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს“ (საყვარელიძე, 2001:57).

დედნის სამართლებრივი ძალის მქონე სახელმწიფო ან საერთაშორისო მნიშვნელობის იურიდიული ტექსტების თარგმანი ითვალისწინებს არა მარტო ტერმინების სემანტიკის და მთლიანად ტექსტში არსებული შინაარსის გადმოცემის სიზუსტეს, არამედ ტექსტის სინტაქსს ან სტრუქტურასაც.

თარგმნის პრობლემების შესწავლისას დიდი ხანია მიაწინებენ პრინციპულ განსხვავებაზე პრაგმატულ და მხატვრულ თარგმანს შორის. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს პრაგმატული თარგმანი უფრო ნაკლებ პრობლემასთანაა დაკავშირებული და ამიტომაც არ საჭიროებს სპეციალურ კვლევებს, მაშინ როცა

მხატვრული ლიტერატურის თარგმნის თეორია მუშავდებოდა, უმჯობესდებოდა და მუდმივად განიხილებოდა.

საქმიანი ურთიერთობების ტექსტებში შეფარდებითი ეკვივალენტობის ხარისხი დაკავშირებულია იმ პარამეტრებთან, რომელზეც იყო ზემოთ საუბარი. სტილისტურ შეცდომებს ძირითადად განაპირობებს გამოყენებულ სიტყვათა სტილისტური შეფერილობის უგულვებლყოფა.

ადეკვატური თარგმანისას შენარჩუნებული უნდა იქნეს დედნის სტილი, მისი ჟანრულ-სტილისტური თავისებურებები და ზუსტად უნდა მიუთითებდეს, თუ რომელ ფუნქციონალურ სტილს ეკუთვნის ორიგინალი. მთარგმნელი თარგმნისას უნდა ქმნიდეს იმავე ტიპის ტექსტს. ამის მიღწევა შეიძლება მიმდებ ენაში დედნის შესაბამისი თანაბარი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ლექსიკური, გრამატიკული). ოფიციალურ საქმიანი ტექსტები მთლიანად ორიენტირებულია ტექსტის შინაარსის გადაცემაზე. მთარგმნელმა უნდა შეარჩიოს ისეთი სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც უზრუნველყოფს შინაარსის შენარჩუნებას. მათი ფორმა ხშირ შემთხვევაში სტერეოტიპულია. მიმართვა, გადმოცემის თანმიმდევრობა, დოკუმენტის დაბოლოება ყველა ენაში ემყარება რიტორიკის მკაცრ წესებს. აქ ჭარბობს ენობრივი შტამპები. თარგმნის ენაში შენარჩუნებული უნდა იქნეს ორიგინალის კომპოზიცია, მაგრამ თვით ენობრივი შტამპები შეიძლება განსხვავდებოდეს შინაგანი ფორმით. შინაარსის თანხვედრით. ამასთანავე, უნდა ფლობდეს დიფერენცირებულ სპეციალურ ფრაზეოლოგიას, რომლის გარეშეც ნებისმიერი თარგმანი მიიჩნევა უხარისხოდ, იმდენად, რამდენადაც მკითხველი მას, სულ ცოტა, არაპროფესიონალურ თარგმანად მიიღებს. ეს პირველ რიგში ტერმინებს და კანცელარიზმებს ეხება. უმთავრესი პირობა საქმიანი საბუთების თარგმნისას არის ის, რომ მთარგმნელს მოეთხოვება საქმიანი დოკუმენტაციის თავისებურებების და საქმიანი ეტიკეტის უნარ-ჩვევების ცოდნა.

ენათმეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არამართო ლინგვისტიკას შეუძლია თარგმნის თეორიაში უდიდესი წვლილის შეტანა, არამედ თარგმანსაც შეუძლია ლინგვისტიკისათვის ბევრი რამის შემატება. თარგმანი შეიცავს ფასეულ ინფორმაციას თარგმანში მონაწილე ენების შესახებ. მთარგმნელობით პროცესში,

რომელმაც ასე ფართომასშტაბიანი სახე მიიღო დღევანდელ მსოფლიოში, მიმდინარეობს ერთგვარი ლინგვისტური ექსპერიმენტი ენებში გამონათქვამებისა და ტექსტების კომუნიკაციურ გათანაბრებასთან დაკავშირებით. ამავდროულად ერთნაირი ფუნქციის გამოხატვისა და სიტუაციის აღწერისას შეიმჩნევა ენობრივი ერთეულებისა და სტრუქტურის მსგავსება და სხვაობა. ამის წყალობით შეიმჩნევა ენის სტრუქტურისა და ფუნქციონირების თავისებურებები.

თავი III

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი კანცელარიზმების თარგმნის პრობლემები

3.1 კლიშეს, შტამპის, შაბლონის თარგმნის პრობლემები

ოფიციალურ-საქმიანი საბუთების ენაში დიდი ადგილი უჭირავთ მზა ფორმულებს, სტერეოტიპულ ფრაზებს, რომლებიც რაციონალური და მშრალი საკომუნიკაციო ამოცანების შესასრულებლად გამოიყენებიან. ეს მოთხოვნები განაპირობებს, ფუნქციონალური სტილების სტანდარტიზაციას, სპეციალური ენების ჩამოყალიბებას.

ოფიციალურ-საქმიანი დისკურსისათვის დამახასიათებელია კანცელარიზმების არსებობა, რომელთა კლასიფიკაცია სხვადასხვა სამეცნიერო კონცეფციებში განსხვავებულადაა წარმოდგენილი. შესაბამისი ლიტერატურის დამუშავებისას გამოვყავით კანცელარიზმების სამი სახეობა: კლიშე, შტამპი და შაბლონი. მათი დეფინიციების სიახლოვიდან გამომდინარე, მომავალში ჩვენს ნაშრომში გამოვიყენებთ განმარტებას „კანცელარიზმები“, ტერმინს ფართო მნიშვნელობით.

კანცელარიზმები ისეთი შაბლონები, კლიშეები და შტამპები, ემოციასა და ექსპრესიას მოკლებული სიტყვები და ტერმინები, აბრევიატურა და სიტყვათაშეთანხმებები, გრამატიკული ფორმები, გამოთქმები და კონსტრუქციებია, რომლებიც ძირითადად ოფიციალურ-საქმიან სტილს ემსახურებიან და რომლებიც არ/ან შეზღუდულად გამოიყენებიან სხვა სტილის ლექსიკაში. ირინა გოლუბი კანცელარიზმებს შემდეგნაირად განმარტავს: „ოფიციალურ-საქმიანი სტილის ელემენტების, მისთვის უცხო კონტექსტში გამოყენებას - კანცელარიზმები ეწოდება. ისინი კანცელარიზმებად იწოდებიან, მხოლოდ მაშინ, როცა გვხვდებიან არა ოფიციალურ-საქმიანი სტილის მეტყველებაში“ (Голуб, 1997:117).

კანცელარიზმების ერთ-ერთი შემადგენელი ერთეული, ტერმინი „კლიშე“ (ფრანგული - cliché) ოჟეგოვის განმარტებითი და ლინგვისტური ლექსიკონებით განმარტებულია, როგორც ლითონის ან ხის ფირფიტა, ზედ ამოკვეთილი რელიეფური გამოსახულებით (გადატანითი მნიშვნელობით შაბლონური ფრაზა,

გამონათქვამი). ტერმინ „შტამპ“-ს ამავე ოჟეგოვის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით აქვს სამი განმარტება. ერთ-ერთი მათგანია, მისი გადატანითი მნიშვნელობა: მზა ფორმა, ტრაფარეტი, ბრმად გამოყენება; ენობრივი შტამპი: დამტამპული აზროვნება. ლინგვისტური ლექსიკონით კი განმარტებულია: ბეჭედი დაწესებულების, ორგანიზაციის სახელწოდებით (შტამპი დაარტყა); ლითონის ყალიბი, რომელიც გამოიყენება რაიმეს დეტალების ან საგნების მოსაჭრელად.

„Cliché” -ს თარგმნიან, ხან როგორც „კლიშე“, ხანაც კიდევ როგორც „შტამპი“. მათი, ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება, ხშირი გამეორებადობაა, რის გამოც ერთგვარ სავალდებულო, მზა სამეტყველო ფორმულების სახეს იღებენ. მათი გამოყენება ოფიციალურ-საქმიან სტილში სრულიად გამართლებულია: „უფრო ზუსტად, რაციონალურად და ობიექტურად ხერხდება დამოკიდებულებათა გამოხატვა, მოვლენის განსჯა და ახსნა, ამგვარი ენა უფრო მოქნილი და მოსახერხებელი ხდება კონკრეტული შემეცნებითი ამოცანის გადაწყვეტისათვის, უფრო ოპერატიულად ხერხდება რეაგირება მოვლენასა თუ ინფორმაციაზე, მით უფრო თანამედროვე ინტენსიური ინფორმაციული ურთიერთობის პირობებში“ (არაბული, 2004:251).

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვამ ცხადყო: მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით არ არსებობს კანცელარიზმების - კლიშეს, შტამპისა და შაბლონის ერთიანი, ყველას მიერ მიღებული განმარტება, მაინც ყველა მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, ამ მყარი ენობრივი ერთეულების აუცილებლობას, გავრცელებასა და სიჭარბეს საქმიან დისკურსში.

მეცნიერ ალ. კაზანცევს თავის ნაშრომში მოჰყავს აკადემიკოს ვინოგრადოვის განმარტება იმის შესახებ, რომ „ძალიან ბევრი ადამიანი წერასა და საუბარში იყენებს მზა ფორმულებს, კლიშეებს“ (Казанцев, 2002:5).

კლიშეების ბუნების გააზრებისას და მათი გავრცელების არეალის დაზუსტებისას, ჩვენ განსაკუთრებულად გვინტერესებდა ქართველი ლინგვისტების აზრი. ბასილაია შტამპის საინტერესო დეფინიციას გვთავაზობს: „შტამპი არის ისეთი სიტყვა ან სიტყვათა შენაერთი, რომელიც უცვლელად, ერთი და იმავე სახით იხმარება როგორც წერით, ისე ზეპირი მეტყველების დროს. ენობრივი შტამპები

ტრადიციულად განმტკიცებული თქმებია“ და აქვე მოჰყავს მ. მიხაილოვისეული განმარტება: „შტამპები მეტყველებაში ეს არის გამზადებული ფრაზებით ლაპარაკის ჩვევის შედეგი. ეს არის აზრის სიზარმაცე. ყოველი მოუბარი, რომ „ქმნიდეს“ თავის მეტყველებას, შტამპები, როგორც ასეთები, მეტყველებიდან გაქრებოდა“ (ბასილაია, 1991: 99-100).

ოფიციალურ-საქმიანი საბუთებისათვის დამახასიათებელი კანცელარიზმების თარგმნის თავისებურებების პრობლემის წარმოსაჩენად ჩვენ ავირჩიეთ ემპირიული მასალა, კერძოდ, ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში, კანცელარიასა და არქივში არსებული და დაცული სამართლებრივი აქტები და პირადი შემადგენლობის დოკუმენტები, რომლებიც თარგმნის განსაკუთრებულ დისკურსს, სფეროს, მასალას, თეზაურუსს ეკუთვნის, ვინაიდან ზოგადი მთარგმნელობითი პრობლემების გარდა, აქ თავს იჩენს ამ სტილისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებები. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების თარგმნისას, მნიშვნელოვანი და აუცილებელია ფორმისა და შინაარსის შენარჩუნება, წესების დაცვა და მზა, სტანდარტული ენობრივი შაბლონის გამოყენება. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთარგმნელი უნდა იცნობდეს საქმიანი დოკუმენტაციის თავისებურებებს და ფლობდეს საქმიანი ეტიკეტის უნარ-ჩვევებს. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის თარგმნის თავისებურების ძირითად ლექსიკურ მახასიათებლად კლიშეს, შტამპის, შაბლონის, აბრევიატურის, პირობითი ნიშნების, შემოკლებების, ტერმინოლოგიის თარგმანი წარმოადგენს.

ოფიციალური დოკუმენტების თარგმნისას ხშირად ვიყენებთ სესხების თავისებურ სახეს - კალკს (ფრანგული calque - გადასადები, გამჭვირვალე ქაღალდი). „კალკი არის სხვა ენის სიტყვის ან გამოთქმის სიტყვასიტყვითი თარგმანი ანუ ერთი ენის სიტყვის ან შესიტყვების მნიშვნელობის ზუსტად გამოხატვა მეორე ენის ამავე მნიშვნელობის სიტყვით ან შესიტყვებით“ (ბასილაია, 1991:106). არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავდა: „ახალი სიტყვის წარმოებისას (ანდა გამოთქმის შექმნისას) მასალას საკუთარს იყენებენ, ოღონდ სესხულობენ სიტყვის წარმოქმნის პრინციპს“ (ანდა მთელი გამოთქმის შედგენის წესს) (ჩიქობავა, 1952:195). ის ძირითადად პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება და მისი გამოყენება დადებითად აღიქმება, როცა ენაში არა

გვაქვს ამ სიტყვის შესატყვისი გამოთქმა, იგი ზუსტად გადმოგვცემს აზრს და ავსებს მშობლიურ ენას. ქართულ ენაში კალკი ძირითადად რუსული ენის გავლით და საშუალებით შემოვიდა და დამკვიდრდა. ის იმდენადაა გამართლებული, რამდენადაც სესხება.

ქართული საბუთებისათვის დამახასიათებელი კანცელარიზმების დიდი ნაწილი რუსული კანცელარიზმების კალკს წარმოადგენს. მათი სიჭარბე მეტყველებაში, უეჭველად მიუთითებს საქმიან დისკურსზე. კანცელარიზმები სავალდებულოა საქმიანი საბუთებისათვის, რადგან მოცემული სამეტყველო სიტუაციის დაკვეთას ამომწურავად და სრულად ასრულებენ. კერძოდ, მარტივი თარგმნითი ოპერაციის შესრულებით, წყარო ენის ენობრივი ნიშნების, მიმღები ენის ენობრივი ნიშნებით ჩანაცვლებით, ჩვენ ვღებულობთ აზრობრივადაც და ფორმითაც ეკვივალენტურ ერთეულებს. სწორედ ამით არის გამართლებული მათი სიუხვე წყარო და სამიზნე ტექსტებში. მაგალითად:

რუსულ საბუთებში არსებული კლიშირებული ფორმები	ქართულ საბუთებში არსებული კლიშირებული ფორმები
Удостоверение выдано в том, что ...	მოწმობა მიეცა მასზედ, რომ ...
Настоящее удостоверение выдано в том, что...	მოწმობა ეძლევა დასტურად იმისა, რომ...
Настоящий диплом выдан в том, что...	დიპლომი მიეცა მასზედ, რომ...
Справка выдана в том, что...	ცნობა ეძლევა მასზედ, რომ...
Настоящая справка выдана в том, что...	მიეცა წინამდებარე ცნობა მასზედ, რომ...
Характеристика выдана для предъявления по месту требования...	დახასიათება ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად...
С уважением...	პატივისცემით...
Вынуждены провести необходимые меры...	იძულებულები ვართ გავატაროთ აუცილებელი ზომები ...
Утвердить нумерацию факультетов по следующему образцу...	დაწესდეს ფაკულტეტების ნუმერაცია შემდეგი რიგის მიხედვით...

Выводы вряд ли смогут выдержать критику...	საექვო დასკვნებმა გაუძლოს კრიტიკას...
Приглашен согласно указанию директивных органов...	მოწვეულ იქნა თანახმად სადირექციო ორგანოების მითითებისა...
Предложение принято единогласно...	წინადადება მიღებულია ერთხმად...
Давайте проголосуем это предложение...	კენჭი ვუყაროთ წინადადებას...
Прошу обсудить мое заявление и принять в отдел вашего поверенного интитута...	გთხოვთ განიხილოთ ჩემი განცხადება და მიმიღოთ თქვენდამი რწმუნებული ინსტიტუტის განყოფილებაში...
Прошу принять меня на работу в вашу поверенную организацию...	გთხოვთ, მიმიღოთ თქვენდამი რწმუნებულ ორგანიზაციაში სამუშაოდ...
Довожу до Вашего сведения, что...	გაცნობებთ, რომ...

ქართული და რუსული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტები გამოირჩევა მეტყველების ნაწილების - სახელების გამოყენების მაღალი ხვედრითი წილით. ამ ტექსტებში ჭარბობს არსებითი, რიცხვითი, ზედსართავი, ნაცვალსახელები და სახელზმნები. დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი ამ თავისებურებებიდან გამომდინარე, თარგმნისას ვაწყდებით საწყისი და მიმღები ენის გრამატიკული ნორმებით გამოწვეულ განსხვავებებს: სქესის, რიცხვის, ბრუნვის კატეგორიებში. ამავე დროს, გვხვდება მთავრული ასოების არსებობასთან, სინტაქსურ წყობასთან და აგებასთან დაკავშირებული განსხვავებები. სინტაქსი ეფუძნება საერთო ენობრივ პრინციპებს და ნორმებს, მაგრამ ოფიციალურ-საქმიანი სტილი, ხშირად თავად აწესებს ტექსტის აგების სტრუქტურასა და წესს.

კლიშირებული ერთეულების რუსული ენიდან ქართულ ენაზე და პირიქით, გადმოტანისას ადგილი აქვს სინტაქსურ გადანაცვლებას. ცნობილია, რომ ქართული წინადადების წყობა მკვეთრად განსხვავდება რუსული წინადადების წყობისაგან. ეს განაპირობებს საბუთებში მოცემულ სინტაქსურ განსხვავებებს. ასეთი განსხვავებები გვხვდება ჩვენს ხელთ არსებულ თითქმის ყველა საბუთში.

1. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი...

Батумский госпединститут им. Ш.Руставели...

2. ასპირანტურის კურსის დამთავრების გამო ამოირიცხოს მიზნობრივი დასწრებული სწავლების ასპირანტურიდან.

В связи с окончанием курса отчислить из очной целевой аспирантуры.

3. საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ქ.ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Постановлением совета министров Грузии на базе института создан Батумский государственный университет им. Шота Руставели.

4. Трудовые книжки изготавливаются по единому для всего Союза ССР образцу. Текст Трудовых книжек печатается на русском языке и на языке данной союзной или автономной республики

შრომის წიგნაკები მზადდება მთელი სსრ კავშირისათვის ერთიანი ნიმუშის მიხედვით. შრომის წიგნაკების ტექსტი იბეჭდება რუსულ ენაზე და სათანადო მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის ენზე.

5. В целях упорядочения учета рабочих и служащих в предприятиях и учреждениях, Совет Народных Комиссаров Союза ССР постановляет:

საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშებისა და მომსახურების აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისარიატთა საბჭო ადგენს:

6. Заполнение Трудовых книжек производится на том языке, на котором ведется делопроизводство в данном предприятии (учреждении). В том случае, если делопроизводство ведется на языке союзной или автономной республики, то Трудовая книжка заполняется одновременно и на русском языке.

შრომის წიგნაკები შეივსება იმ ენაზე, რომელზედაც ხდება საქმისწარმოება მოცემულ საწარმოში (დაწესებულებაში). იმ შემთხვევაში, თუ საქმისწარმოება მოკავშირე ან

ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე ხდება, შრომის წიგნაკი იმავე დროს რუსულ ენაზედაც შეივსება.

უნდა ითქვას, რომ ოფიციალურ-საქმიანი ტექსტი კონცენტრირებულია აზრის სტრუქტურაზე და მასში გამოიყენება სტანდარტიზებული ენობრივი ერთეულები. საკმაოდ ბევრი საშუალება არსებობს აზრის გამოსახატად. მეტყველებას კანცელარიულ შეფერილობას აძლევენ, სახელად ქცეული ზმნები: სახელმზნა, მიმღეობა. ემპირიული მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ქართულ საქმიან დოკუმენტებში, კერძოდ, ბრძანებებში, როგორც წესი, იმპერატიულობა და სავალდებულო ხასიათი გამოიხატება უფრო მეტად ზმნის ფორმებით, ასევე სახელზმნებითაც. საქმიანი საბუთების ენა მტკიცებითი და მბრძანებლურია, რაც მისი უპირობოდ შესრულების ვალდებულებაზე მიუთითებს. ამ საბუთებისათვის დამახასიათებელი იმპერატიულობის რეგლამენტირებისათვის რუსულ ენაში გამოიყენება: ინფინიტივი, რთული გრამატიკული ფორმები ინფინიტივის მონაწილეობით, პირიანი ზმნები, მიმღეობები. ორივე ენაში გრამატიკული ფორმების სიმრავლით აიხსნება მოცემული მთარგმნელობითი გრამატიკული ტრანსფორმაციები, რომელსაც მიმართავენ რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული საბუთების თარგმნისას.

ჩვენ, არსებული მაგალითებიდან გამოვყავით ორი ჯგუფი: I ჯგუფის მაგალითებში დედანს წარმოადგენს ქართული დოკუმენტები, ხოლო II ჯგუფის მაგალითებში კი რუსული დოკუმენტები.

I ჯგუფის მაგალითები:

1. დაინიშნა ინსტიტუტის რექტორად...

Назначен ректором института ...

2. ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი...

На базе института создан Батумский государственный университет им. Шота Руставели ...

3. მიენიჭა რუსული ენის, ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებლის

კვალიფიკაცია ...

Присвоена квалификация учителя русского языка, литературы и истории...

II ჯგუფის მაგალითები:

4 .Настоящий диплом выдан...

წინამდებარე დიპლომი მიეცა...

5.Присвоена квалификация экономист...

მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია...

6. Справка дана для предъявления по месту требования...

ცნობა მიეცა საჭიროებისამებრ წარსადგენად...

*რუსულ დოკუმენტებში ინფინიტივის სიჭარბე კარგად ჩანს შემდეგ მაგალითებში:
обязать, указывать, практиковать, предложить, проверять, применять, обсудить,
поручить, доложить...*

1. Поэтому обязать все кафедры вместе с грузинскими источниками, указывать и на русские источники.

(1954-1955 წლის ბრძანებების წიგნი პედაგოგიკის ინსტიტუტი. ანაწერი - 2; ფონდი - 432; საქმე - 295; ფურცელი - 82-84)

5. В студенческих научных кружках грузинских факультетов практиковать проведение докладов на русском языке.

(1954-1955 წლის ბრძანებების წიგნი პედაგოგიკის ინსტიტუტი. ანაწერი - 2; ფონდი - 432; საქმე - 295; ფურცელი - 82-84)

7. Предложить деканам факультетов систематически проверять посещение занятий по русскому языку и применять строгие меры по отношению к студентам, пропускающим занятия, как к нарушителям дисциплины...

(1954-1955 წლის ბრძანებების წიგნი პედაგოგიკის ინსტიტუტი. ანაწერი - 2; ფონდი - 432; საქმე - 295; ფურცელი - 82-84)

14. Обратить внимание зав. кафедрой русского языка доцента

на

серьезные недостатки и упущения в деятельности кафедры и поручить ему же путем усиления руководства добиться решительного улучшения преподавания русского языка по институту...

(1954-1955 წლის ბრძანებების წიგნი პედაგოგიკის ინსტიტუტი. ანაწერი - 2; ფონდი - 432; საქმე - 295; ფურცელი - 82-84)

15. Обсудить настоящее постановление на всех кафедрах...

(1954-1955 წლის ბრძანებების წიგნი პედაგოგიკის ინსტიტუტი. ანაწერი - 2; ფონდი - 432; საქმე - 295; ფურცელი - 82-84)

16. Поручить учебной части института доложить ученому совету в конце учебного года итоги о ходе выполнения настоящего приказа.

(1954-1955 წლის ბრძანებების წიგნი პედაგოგიკის ინსტიტუტი. ანაწერი - 2; ფონდი - 432; საქმე - 295; ფურცელი - 82-84)

ქართული ემპირიული მასალის ანალიზმა გამოავლინა შემდეგი სურათი - ჩვენს მიერ შესწავლილ საბუთებში მაღალია იმპერატიულობის გადმოცემის დონე და ჭარბობს შემდეგი ფორმები:

ა) მოდალური ზმნა + II კავშირებითი ზმნის ფორმა:

ვალდებულია შეასრულოს, ვალდებულია წარმოადგინოს...

ბ) II კავშირებითი კილოს ზმნის ფორმა:

დაევალოს, დაინიშნოს, ჩაირიცხოს, წარმომიდგინოს, უზრუნველყოს...

გ) თხრობითი კილოს ზმნის ფორმა:

ანაზღაურებს, გათავისუფლდეს, ჩატარდეს, იწვევს...

დ) ზმნის აღწერილობითი ვნებითი გვარის ფორმა:

მივლინებულ იქნას, მივლინებულ იქნა, დანიშნულ იქნა, დანიშნულ იქნას, დაჯილდოებულ იქნა, დაჯილდოებულ იქნას, გადაყვანილ იქნა, გადაყვანილ იქნას, დაბრუნებულ იქნა, გამოძახებულ იქნა, გათავისუფლებულ იქნა, ამოღებულ იქნა, ამოღებულ იქნას, აღმოფხვრილ იქნა, მოკვლეულ იქნა, გამოვლენილ იქნა, წარდგენილ იქნა, მოწონებულ იქნა, წარგზავნილ იქნას, წარგზავნილ იქნა, შეტანილ იქნას, აღდგენილი იქნას...

რაც შეეხება რუსულ ენაზე გაფორმებულ დოკუმენტებს, აქ იმპერატიულობა გამოიხატება შემდეგი გრამატიკული ფორმებით:

ა) როული გრამატიკული ფორმებით, ინფინიტივის მონაწილეობით:

обязан выполнить, обязан предоставить, должны требовать, предложить проверять, предложить применять, поручить доложить, предложить ввести, предложить придерживаться, будут проходить, будут обсуждаться, будут уволены, обязаны практиковать, должны подчиняться... ..

ბ) პირიანი ზმნით: приказываю, возмещает, приводит, несет...

გ) მიმღობის შემოკლებული ფორმებით: назначен, награжден, переведен, вызван, отозван, предъявлен, освобожден, исчерпан, изъят, найден, выявлен, направлен, собран, одобрен...

დ) ინფინიტივით: перевести, наградить, освободить, изъять, направить, занести, восстановить, провести, поручить, назначить, зачислить, выполнять, предложить, ввести, вырабатывать, повисить, ходатайствовать, исходить, практиковать, не зачитывать, выявить, ликвидировать, предупредить, отметить...

ქართულ და რუსულ ენობრივ სისტემებს შორის არსებულ ზემოთ ჩამოთვლილ განსხვავებებს, ემატება მეტყველების ნაწილების, კერძოდ, სახელებისა და ზმნის სქესის გრამატიკული ხერხებით გამოხატვასთან დაკავშირებული პრობლემები. ქართულ ენაში არ გაგვაჩნია სქესის გამოხატვის გრამატიკული ხერხები და, შესაბამისად, მათი დაფიქსირებაც არ ხდება საბუთებში. რუსულენოვანი დოკუმენტების მზა ფორმულარებში კი, სადაც მხოლოდ ინდივიდუალური მონაცემებია შესაყვანი, როგორც წესი, მოცემულია სქესის გამომხატველი, გრამატიკული ფორმები, ან კიდევ გამოყოფილია ადგილი მათი დაფიქსირებისათვის. შევსების დროს ხაზი გაესმება ან ჩაემატება შესაბამისი სქესის გამომხატველი გრამატიკული ფორმის ნიშანი. განსხვავებები აქაც ვლინდება. მასალის შესწავლისას ვიხელმძღვანელებთ ბსუ-ს კანცელარიაში შემოსული სხვადასხვა მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანებით.

<p>1. Он (а) получил (а) теоретическую (36 час) и практическую (18 час) подготовку в области владения вычислительной и микропроцессорной техникой ... მიიღო თეორიული (36 საათი) და პრაქტიკული (18 საათი) მომზადება გამოთვლით და მიკროპროცესორულ ტექნიკაში ...</p>

2. ... [redacted] Виктория Раминовна в 2019 году окончил(а) муниципальное бюджетное общеобразовательное учреждение городского округа Королев Московской области...

[redacted] ვიქტორია რამინის ასულმა 2019 წელს დაამთავრა მოსკოვის ოლქის საქალაქო ოლქი კოროლიოვის მუნიციპალური საბიუჯეტო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება...

3. Настоящий аттестат свидетельствует о том, что [redacted] Автандил Ростомович в 2015 году окончил(а) Государственное бюджетное общеобразовательное учреждение города Москвы

წინამდებარე ატესტატი ადასტურებს, რომ ავთანდილ როსტომის ძე [redacted] 2015 წელს დაასრულა ქალაქ მოსკოვის სახელმწიფო საბიუჯეტო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

4. Настоящее удостоверение выдано

მოწმობა ეძლევა დასტურად

5. Он в 1988 году поступил ...

მან 1986 წელს ჩააბარა ...

6. Утвержден в должности профессора кафедры общей математики ...

დამტკიცებულ იქნას ზოგადი მათემატიკის კათედრის პროფესორად ...

განსახილველად გთავაზობთ მაგალითებს, სადაც გაანალიზებული იქნება თარგმანში დაფიქსირებული მსგავსებები და განსხვავებები. არც თუ ისე იშვიათად, ვხვდებით სხვადასხვა გრამატიკულ დარღვევებს, სიტყვათა გამოტოვებას და ერთი და იმავე კლიშირებული ფორმების განსხვავებულ თარგმნით ვარიანტებს. ამ მაგალითებში, დედანს წარმოადგენენ ქართული ტექსტები.

1. დაინიშნოს მუხაესტატეს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად. Назначить учителем математики.

ბსუ-ს არქივში დაცული ერთ-ერთი პერსონალის შრომის წიგნაკში შეტანილი ჩანაწერიდან ნათლად ჩანს, რომ რუსული თარგმანი არ არის ქართული დედნის ადეკვატური, რადგან მიმღებ ენაში არ არის შენარჩუნებული დედანში არსებული შინაარსის მნიშვნელოვანი სეგმენტი - მუხაესტატეს საშუალო სკოლის.

დედნის ტექსტში, იმპერატიულობას გამოხატავს მესამე პირის ზმნა (II კავშირებითი) - დაინიშნოს, ხოლო მიმღებში ის გამოიხატება ინფინიტივით - назначить. მთარგმნელს იმპერატიულობის მისაღწევად გამოყენებული აქვს სხვა გრამატიკული ფორმა. იქიდან გამომდინარე, რომ ადეკვატური თარგმანისათვის აუცილებელია დოკუმენტში იმპერატიულობის შენარჩუნება, სწორედ ამის მისაღწევად მთარგმნელი - მიმართავს ჩანაცვლებას, ეგრეთწოდებულ, მთარგმნელობით გრამატიკულ ტრანსფორმაციას.

ქვემოთ მოცემული მაგალითებშიც დედნის იმპერატიულობა რუსულ თარგმანში გადმოცემულია მიმღებობის მოკლე ფორმებით, განსხვავებული გრამატიკული ფორმებით. ადეკვატური თარგმანი მოითხოვს დოკუმენტში ფორმისა და შინაარსის შენარჩუნებას. აქაც მათ შესანარჩუნებლად მთარგმნელი იყენებს სხვა გრამატიკულ ფორმებს - მიმართავს ჩანაცვლებას, ეგრეთწოდებულ, მთარგმნელობით გრამატიკულ ტრანსფორმაციებს. იმპერატიულობის გამომხატველი ზმნა (II კავშირებითი) - დაინიშნოს, თარგმანში შეუსაბამეს წარსული დროის მამრობითი სქესის მიმღებობის მოკლე ფორმა - назначен.

2. დაინიშნოს ინსტიტუტთან არსებული მოსამზადებელი კურსების დირექტორად.

Назначен директором подготовительных курсов при институте.

ქვემოთ მოცემულ წინადადებებში შენარჩუნებულია საწყის ენაში არსებული ზმნით გადმოცემული იმპერატიულობა - გათავისუფლდეს, რომლის მისაღწევად, მთარგმნელს, გამოყენებული აქვს იგივე გრამატიკული ტრანსფორმაციის ხერხი. პირველ შემთხვევაში ჩანაცვლა წარსული დროის მამრობითი სქესის მიმღებობის მოკლე ფორმით - освобожден, ხოლო მეორე შემთხვევაში ზმნის ახლანდელი დროის ფორმით - освобождается.

მიმღებ ენაში გვხვდება - с переводом на должности ректора მართებული ფორმაა - с переводом на должность ректора.

3. გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან ბათუმის შ. რუსთაველის სახ. პედ. ინსტიტუტში რექტორის თანამდებობაზე გადასვლასთან დაკავშირებით...
Освобожден от занимаемой должности в связи с переводом на должности ректора Батумского пед. института им. Ш. Руставели...

4. გათავისუფლდეს სამუშაოდან თავისი განცხადების საფუძველზე...
Освобождается с работы по собственному заявлению...

მომდევნო წინადადებაშიც ანალოგიური სიტუაციაა. ორიგინალში არსებული ზმნა - დამტკიცდეს, სამიზნე ენაში გადათარგმნილია წარსული დროის მამრობითი სქესის მიმღეობის მოკლე ფორმით - утвержден.

5. დამტკიცდეს მათემატიკის კათედრის გამგედ საზოგადებრივ საწყისებზე, როგორც კონკუსით არჩეული.
Утвержден зав. кафедрой математики на общественных началах, как по конкурсу избранный.

ქვემოთმოყვანილ წინადადებაში რამოდენიმე უზუსტობაა დაშვებული.

6. Настоящий аттестат свидетельствует о том, что [REDACTED] Виктория Раминовна в 2019 году окончил(а) муниципальное бюджетное общеобразовательное учреждение городского округа Королев Московской области „Гимназия № 5“ и получил (а) среднее общее образование...
მოცემული ატესტატი მოწმობს, რომ [REDACTED] ვიქტორია რამინის ასულმა 2019 წელს დაამთავრა მოსკოვის ოლქის საქალაქო ოლქი კოროლიოვის მუნიციპალური საბიუჯეტო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება გიმნაზია № 5 და მიიღო ძირითადი ზოგადი განათლება...

1) დედანში მოცემულია კლიშირებული ფორმა - Настоящий аттестат свидетельствует о том, что რომელიც ქართულ ვარიანტში გადმოტანილია - მოცემული ატესტატი მოწმობს, რომ.... უმეტეს შემთხვევაში, ქართულ-რუსულ და რუსულ-ქართულ თარგმანებში კლიშირებულ ფორმებს აქვთ დამკვიდრებული მყარი შესატყვისები, ვფიქრობთ, ქართულ ვარიანტში უნდა ყოფილიყო - ეს ატესტატი მოწმობს მასზედ, რომ....

2) საწყის ტექსტში მოცემულია - окончил(а) муниципальное бюджетное общеобразовательное учреждение городского округа Королев Московской области.

ქართულ თარგმანში გვაქვს - დაამთავრა მოსკოვის ოლქის საქალაქო ოლქი კოროლიოვის მუნიციპალური საბიუჯეტო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. ჩვენი აზრით, ეს არის, ალბათ, სიტყვასიტყვითი თარგმანის კლასიკური ვარიანტი, როცა შენარჩუნებულია ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა და სიტყვათა რაოდენობა, მაგრამ დაკარგულია აზრი. ვფიქრობთ, ადეკვატურად ჩაითვლებოდა: დაამთავრა მოსკოვის რაიონის კოროლიოვის საქალაქო ოლქის მუნიციპალური საბიუჯეტო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება.

3) რუსულ ვარიანტში დაწესებულების დასახელება ტექსტში გამოყოფილია წესისამებრ ბრჭყალებით - „Гимназия № 5“. სამიზნე ენაში, ეს წესი დარღვეულია და გადმოტანილია ბრჭყალების გარეშე - გიმნაზია № 5.

4) დედანში მოცემულია - среднее общее образование, ხოლო ქართულ თარგმანში გადმოტანილია - ძირითადი ზოგადი განათლება. ვფიქრობთ, აქ საქმე თარგმნით შეცდომასთან გვაქვს. რუსულ სიტყვას - средний, ქართულ ენაში შეესაბამება - საშუალო და ადეკვატური თარგმანი იქნებოდა - ზოგადი საშუალო განათლება.

ზემოთ ჩამოთვლილი სერიოზული მთარგმნელობითი უზუსტესობების გარდა, საბუთებში შეინიშნება პუნქტუაციური და ტექნიკური ხარვეზები. ქვემოთ მოცემულ მაგალითში პუნქტუაციის წესების დარღვევასთან გვაქვს საქმე. ქართულ ვარიანტში კავშირი მასზედ ორივე მხრიდან მძიმით არის გამოყოფილი. ამავე, საბუთის დედანში მოცემულია - настоящий диплом, ქართულ ვარიანტში კი - წინამდებარე დიპლომი. ალბათ მართებული იქნებოდა ქართულ ენაზე გადმოეტანათ ტრადიციისამებრ დამკვიდრებული ფორმით - ეს დიპლომი.

1. <u>Настоящий диплом</u> выдан ----- в том, что он... <u>წინამდებარე დიპლომი</u> მიეცა -----, მასზედ, რომ...

ქვემოთმოყვანილ მაგალითებში ზმნა свидетельствует, ერთ შემთხვევაში ქართულად გადათარგმნილია, როგორც - დასტურდება, მეორე შემთხვევაში, როგორც ადასტურებს. ვფიქრობთ, გამოვლენილია გრამატიკული შეუთავსებლობა და უნდა იყოს - მოწმობს.

2. Настоящий аттестат свидетельствует о том, что
წინამდებარე ატესტატი დასტურდება, რომ

3. Настоящий аттестат свидетельствует о том, что
წინამდებარე ატესტატი ადასტურებს, რომ

4. Настоящий аттестат свидетельствует о том, что
მოცემული ატესტატი მოწმობს, რომ

კლიშირებული ფორმები უცვლელად, ერთი და იმავე სახით იხმარება ოფიციალურ-საქმიანი სტილის როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებაში, და ტრადიციულად განმტკიცებულ თქმებს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, შენარჩუნებული უნდა იქნას უნიფიცირება დოკუმენტების შედგენისა და თარგმნის დროს. საბჭოთა პერიოდში ოფიციალურ საქმიანი დოკუმენტაციის თარგმნისას, ისინი სამიზნე ენაში გადადიოდნენ უკვე არსებული, დამკვიდრებული შესატყვისებით. ვფიქრობთ, ახლაც გამოყენებული უნდა იქნას ტრადიციული, დამკვიდრებული შესატყვისი და ამის გათვალისწინებით, სამიზნე ენაში მივიღებთ: ეს ატესტატი მოწმობს მასზედ, რომ...

აქ მოცემული მაგალითი, სწორედ ის სანიმუშო ვარიანტია, რაზეც ზემოთ მივანიშნებდით. საბჭოთა პერიოდის უკლებლივ ყველა ქართული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომში დაფიქსირებულია აქ მოყვანილი მყარი ენობრივი შესატყვისები.

5. ეს დიპლომი მიეცა ----- მასზედ, რომ...
Настоящий диплом выдан ----- в том, что...

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ქართულ ტექსტში დაშვებულია მექანიკური შეცდომა. ორი ზმნა ვდებთ და თანხმდებიან არ ეწყობიან ერთმანეთს პირში. არც ზმნები თანხმდებიან და договариваемся არიან ერთმანეთის ადეკვატური შესატყვისები.

6. ...ვდებთ წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) და თანხმდებიან შემდეგზე

...закключаем настоящий Договор на оказание услуг (в дальнейшем «Договор») и договариваемся о нижеследующем:

7. ...შემდგომში წოდებულნი „მხარეებად“, ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების მიზნით და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის სფეროში, თანხმდებიან შემდეგზე:

...В дальнейшем – „стороны“ заключили настоящее соглашение с целью развития и расширения сотрудничества с учетом взаимных интересов в сфере науки и образования о нижеследующем:

ზემოთმოყვანილი მაგალითის დედანში გვხვდება საქმიანი დოკუმენტის გაფორმების სტილისტური დარღვევა და გრამატიკული შეუთავსებლობა. ჩვენი აზრით, გრამატიკულად და ლიტერატურული ენით გამართული დოკუმენტი, თავისი თარგმანით ასე უნდა ჩამოყალიბებულიყო:

... (შემდგომში „მხარეები“), საერთო ინტერესების გათვალისწინებით, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის განვითარების და გაფართოების მიზნით, თანხმდებიან შემდეგზე:

... (в дальнейшем – „стороны“), с целью развития и расширения сотрудничества с учетом взаимных интересов в сфере науки и образования, заключили настоящее соглашение о нижеследующем:

8. ერთი მხრივ, შპს ----- ს/კ ----- (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით და, მეორე მხრივ, შპს ----- ს/კ ----- (შემდგომში „შემსრულებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) და თანხმდებიან შემდეგზე

С одной стороны, ООО ---- и/к ----- (в дальнейшем «Заказчик»), представленное в лице его директора ----- и, с другой стороны, ООО ---- и/к ---- (в дальнейшем «Исполнитель»), в лице Директора -----, действующие на основании действующего законодательства Грузии, заключаем настоящий Договор на оказание услуг (в дальнейшем «Договор») и договариваемся о нижеследующем:

ვფიქრობთ, ზემოთმოყვანილი მაგალითის თარგმანშიც მექანიკურ დარღვევასთან და გრამატიკულ შეუთავსებლობასთან გვაქვს საქმე. კერძოდ:

ა) ტერმინი - директор, ხან დიდი ასოთი გვხვდება, ხან კიდევ პატარა ასოთი.

ბ) საწყის ტექსტში არსებული ზმნა - ვმოქმედებთ და განსაზღვრება - მოქმედი, მიმღებ ენაში გადმოტანილია მიმღებობებით - действующие და действующего, რაც ერთგვარ ტავტოლოგიას ქმნის.

გ) დედანში მოცემული მესამე პირის ზმნა - თანხმდებიან, რუსულ თარგმანში გადმოტანილია პირველი პირის ფორმით - договариваемся. აქაც ან მექანიკურ შეცდომასთან, ან კიდევ, გრამატიკულ შეუთავსებლობასთან გვაქვს საქმე.

დ) დედანში დარღვეულია სინონიმთა რიგის გრამატიკული ფორმების ერთობლიობა: ვმოქმედებთ, ვდებთ, თანხმდებიან.

მსგავსი შემთხვევები, მეტყველებენ საქმიანი საბუთების უნიფიცირების დაბალ დონეზე, როცა არ არის დაცული დოკუმენტის ერთიანი ნიმუში. დოკუმენტის შემდგენელი და მთარგმნელი არ უნდა კარგავდნენ დროს, არ უნდა იდგნენ არჩევანის წინაშე და არ უნდა არკვევდნენ, როგორ დაიწეროს ესა თუ ის სიტყვა: დიდი ასოთი, თუ პატარათი. ეს ყველაფერი ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული შესაბამის დამხმარე მასალაში. ჩვენი აზრით, აღნიშნულ განსხვავებებს განაპირობებს ქართული ანბანის სპეციფიკა, სადაც არ არსებობს დიდი და პატარა ასოები და შესაბამისად, ქართულ ენაში არც დგას ეს საკითხი. მაგრამ ქართული ენიდან რუსულ ენაზე თარგმნისას, ხშირ შემთხვევაში თავს იჩენს არსებული პრობლემა. დოკუმენტების უნიფიცირება, ხომ სწორედ ინვარიანტების არსებობას და ორჭოფობას გამორიცხავს. მზა, ტრაფარეტული ფორმების გამოყენება, დროის ეკონომიის, ფორმისა და შინაარსის შენარჩუნების საწინდარია.

ესეც, კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ დღეს ჩვენ საკმაოდ რთული მდგომარეობა გვაქვს რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული საქმიანი საბუთების თარგმანში. ადრე, ბილინგვიზმის დროს, როცა საქართველოს მოსახლეობა მეტ-ნაკლებად კარგად ფლობდა რუსულ ენას და არსებულ ორენოვან კლიშირებულ ფორმებსა და ტრაფარეტებსაც წესისამებრ იყენებდნენ, ასე მწვავედ არ იგრძნობოდა დოკუმენტების თარგმანთან დაკავშირებული პრობლემები. იმის ფონზე, როცა

ქვეყანას ორიენტაცია აღებული აქვს ქართულ-ინგლისურ და ინგლისურ-ქართულ თარგმანზე, მიუხედავად პოლიტიკური სიტუაციისა, ცხოვრებისეული მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაინც დგას დღის წესრიგში რუსული ენიდან თარგმნის საკითხი. დღესაც მნიშვნელოვანია სხვადასხვა რუსულენოვანი დოკუმენტის ქართულ ენაზე და პირიქით, ქართულენოვანის - რუსულ ენაზე თარგმნა, და იქიდან გამომდინარე, რომ ნაკლები ყურადღება ენიჭება რუსული ენის სწავლებასა და თარგმანს, შედეგად არ დააყოვნა და ვლემულობთ უხარისხოდ ნათარგმნ საბუთებს.

ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები მოწმობენ, რომ დღეს მთარგმნელები ნაკლებად ითვალისწინებენ აქამდე არსებულ გამოცდილებას. არ არის მტკიცე ერთიანი, უნიფიცირებული მიდგომა ამ საკითხის მიმართ. ქაოსია ოფიციალურ-საქმიანი საბუთების შედგენასა და თარგმანთან დაკავშირებით. ერთი ტიპის საბუთების თარგმნისას არ არის დაცული ერთგვაროვნება. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დღესდღეობით მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ამ მიმართულებით, ერთიანი უნიფიცირებული წესის შესამუშავებლად. ამ საკითხის მოწესრიგება მართლაც, ძალზე საიმედოდ და მნიშვნელოვნად გვესახება.

საქმისწარმოებისა და საბუთების შედგენის უნიფიცირება საერთო, საზოგადო პრობლემაა, რომელსაც სკოლიდან დაწყებული, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საფეხურზე უნდა ექცეოდეს სათანადო ყურადღება. დოკუმენტის გამართული შედგენა, მისი სწორად გაგებისა და ადეკვატური თარგმანის წინაპირობას წარმოადგენს.

მოკლედ ჩამოვყალიბოთ კანცელარიზმების - კლიშეს, შტამპისა და შაბლონის თარგმნის პრობლემები:

მათი თარგმნისას ეკვივალენტობის მიღწევა დამოკიდებულია მთარგმნელის პროფესიულ კომპეტენციაზე, საქმისწარმოების სფეროს თავისებურებებისა და უნარ-ჩვევების ფლობაზე, ფონურ ცოდნაზე. საქმიანი დისკურსის ანალიზმა ცხადყო, რომ ამ სფეროში ადეკვატური თარგმანი მოითხოვს საქმიანი დისკურსისათვის დამახასიათებელი კანცელარიზმების: შტამპების, კლიშეების, შაბლონის, მარაგის სრულყოფილად ფლობას დედანსა და მიმღებ ენაში.

თუკი ორი ენის იდენტური კლიშეს სემანტიკური ინფორმაცია არ ემთხვევა ერთმანეთს, ეკვივალენტობა მიიღწევა არა ენობრივი მნიშვნელობის (გრამატიკული, ლექსიკური), არამედ აზრის დონეზე. ამ ენობრივი საშუალებების სრულყოფა და სიმყარე გამოყოფს მათ ტექსტიდან, როგორც ერთეულებს, რომლებიც ეკვივალენტობის მიღწევისას საჭიროებენ განსაკუთრებულ მიდგომას:

- 1) უნდა განისაზღვროს სიტუაცია, რომელთანაც დაკავშირებულია ფიქსირებული კლიშე, რათა დავრწმუნდეთ ნამდვილად კლიშესთან გვაქვს საქმე თუ ჩვეულებრივ სიტყვათშეთანხმებასთან.
- 2) ეს შესატყვისი უცხოენოვანი ეკვივალენტის მოძიების საწინდარია, რომელიც დაკავშირებულია თარგმნის ენაში ანალოგიურ სიტუაციასთან. მისი თარგმნის სირთულეს განაპირობებს ისიც, რომ მიმღების კულტურულ-ეროვნული თავისებურებების ცოდნასთან ერთად, აუცილებელია მისი, არსებულ რეალობასთან შესაბამისობის ცოდნა.

კანცელარიზმების თარგმნისას უნდა შენარჩუნდეს ინფორმაციის გადმოცემისა და გაგებისათვის აუცილებელი ელემენტები. თარგმნისას, ერთი ენის მეტყველების ერთეულები იცვლება მეორე ენის მეტყველების ერთეულებით. სინტაქსური კონსტრუქცია ინარჩუნებს საქმიანი დოკუმენტის მოთხოვნებს: კონკრეტულობას, ლაკონურობას, სიცხადეს.

იქიდან გამომდინარე, რომ კლიშირებული ფორმები უცვლელად, ერთი და იმავე სახით გვხვდება როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებაში, და ტრადიციულად განმტკიცებულ თქმებს წარმოადგენენ, შესაბამისად ოფიციალურ საქმიანი დოკუმენტაციის თარგმნისას, ისინი სამიზნე ენაში უნდა ითარგმნონ არსებული მყარი შესატყვისებით.

რეკომენდაციის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქმიანი საბუთების ადეკვატური თარგმანის მისაღწევად, შემუშავებული უნდა იქნეს სპეციალური დამხმარე ლიტერატურა, ეგრეთწოდებული საქმისმწარმოებლების და მთარგმნელების სამაგიდო წიგნი, სადაც მოცემული იქნება წყარო და სამიზნე ენებში არსებული საქმიანი საბუთებისათვის დამახასიათებელი მზა ფორმები: ფონეტიკურ, ლექსიკურ,

სინტაქსურ დონეებზე და რომელიც, ნამდვილად წაადგებათ დოკუმენტებთან მომუშავე მოხელეებსა და მთარგმნელებს.

3.2 აბრევიატურების თარგმნის პრობლემები

თანამედროვე ოფიციალურ-საქმიანი და სპეციალური ენების განვითარების ყველაზე შესამჩნევი ტენდენცია სიტყვათშემოკლებებთანაა დაკავშირებული და მათი გამოყენება ცივილიზებული მსოფლიოს ცხოვრების ტემპის მიმართ ენის ბუნებრივი რეაქცია და დროით გამოწვეული ენობრივი პროცესია. რთულ მრავალსიტყვიან სახელწოდებათა გამარტივების მიზნით ფართო გასაქანი მიეცა გამოთქმათა შემოკლებას.

კლიშესა და შტამპის გარდა ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში საკმაოდ ხშირად გვხვდება აბრევიატურები, ორგანიზაცია-დაწესებულებათა, პარტიულ-საზოგადოებრივ ორგანოთა, სამსახურების და სხვათა დასახელებების შემოკლებული ვარიანტები, რაც უჩვეულოდ ითვლება ქართული ენისათვის.

ცნობილია, რომ აბრევიატურები პირველად ლათინური ანბანის მქონე ქვეყნებში იქნა შემოღებული. მათ გავრცელებას ხელს უწყობდა დიდი ასოების არსებობა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იყო ინიციალური წესით გაფორმებული აბრევიატურის ვიზუალურად გამოკვეთა და ასევე, ევროპულ ენათა ასოების, ძირითადად ხმოვნებზე დამთავრებული სახელწოდებები, რომლებიც წარმოთქმისას, მათ კეთილხმოვნებას უზრუნველყოფდა.

აბრევიატურები XX საუკუნის დასაწყისში შემოვიდა რუსულ ენაში. მათ დამკვიდრებას ენაში დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ. იმდროინდელი აბრევიატურები უმეტესწილად გამოირჩეოდა კეთილჟღერადობით. რუსულ ენაში აბრევიატურათა გავრცელებას, შესაბამისად, მათი ქართულ ენასა და საქმისწარმოებაში დამკვიდრებაც მოჰყვა.

ლინგვისტების ნაწილი მართებულად მიიჩნევს ტერმინების: „აბრევიაცი“-ის, „აბრევიატურ“-ის და „შემოკლებ“-ის დეფინიციების გათანაბრების ტენდენციას, იქიდან გამომდინარე, რომ „აბრევიაცია“ სიტყვის შემოკლების ან/და შეკვეცის

პროცესია, ხოლო „აბრევიატურა“ ამ პროცესის შედეგი. ამას ამყარებს ჩვენ მიერ განხილულ ლიტერატურაში მოცემული ამ ტერმინთა განსაზღვრებები.

ლათინური წარმოშობის ტერმინები - „აბრევიაცია“, „აბრევიატურა“ მ. ჭაბაშვილის „უცხო ენათა ლექსიკონ“-ის მიხედვით განმარტებულია, როგორც: „ 1) პირობითი შემოკლება სიტყვებისა წერაში, 2) სიტყვა, რომელიც წარმოადგენს ორი ან რამდენიმე სიტყვის შემოკლებას, 3) სანოტო წერაში მიღებული შემოკლება“ (ჭაბაშვილი, 1989:8).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონ“-ის მიხედვით კი: „1) პირობითი შემოკლება სიტყვებისა წერაში, 2) სიტყვა, რომელიც წარმოადგენს ორი ან რამდენიმე სიტყვის შემოკლებას“ (ახვლედიანი..., 1950:134).

„დიდ რუსულ ენციკლოპედია“-ში მითითებული განმარტებებიდან, ერთ-ერთი განმარტებით, იტალიური *abbreviatura* - შემცირებული, შეკვეცილი, ლათ. *abbrevio* - შემცირება არის: „ლინგვისტიკაში - არსებითი სახელი, რომელიც შედგება სიტყვათშეთანხმების ან რთული სიტყვის შეკვეცილი, შემცირებული სიტყვისა და ნაწილისაგან“ (Лопатин, 2004). <https://bigenc.ru/linguistics/text/4045832>

ვ. დალი, „ცოცხალი ველიკორუსული ენის განმარტებით ლექსიკონ“-ში, აღნიშნავს, რომ აბრევიატურა არის: „წერისას შემოკლება, შეკვეცა, გამოტოვება/ სიტყვების აღნიშვნა საწყისი ასოებით, / გვერდიგვერდ მდგომი ასოების შეერთება, პირობითი ნიშნები“ (Даль, 2001:56).

ავთანდილ არაბული, ხაზს უსვამს სიტყვათშემოკლებისა და აბრევიატურის ერთმნიშვნელობიანობას და დასძენს, რომ ისინი გამოიყენებიან შემოკლების ისეთი ფორმების აღსანიშნად, როცა რაიმე მყარი დასახელების (სახელწოდების) კომპონენტი სიტყვები მოკლდებიან, ერთ კომპონენტად ყალიბდებიან და შემოკლებულ „სიტყვად“ გადაიქცევიან“. აქვე მიუთითებს სიტყვათშემოკლებისა და აბრევიატურის განასხვავებული ჩაწერის წესზეც, რომ სიტყვათშემოკლების დროს წერტილები გამოიყენება, ხოლო აბრევიატურა კი, წერტილის გარეშე იწერება (არაბული, 2004:132). ვფიქრობთ, დღეს, არ არის დაცული არსებული წესები. იმდენად, რამდენადაც არც თუ ისე იშვიათად გვხვდება აბრევიატურების ჩაწერის სხვადასხვა ვარიანტები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დიდი სიფრთხილე

გვმართებს აბრევიატურების შედგენის და გამოყენების დროსაც, რადგან სიტყვათა არასწორი შეკვეცა და მათი დარღვეული ჟღერადობა ანაგვიანებენ ენას.

აკ. შანიძე თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ორი ან/და მეტი სახელის შემოკლება და შეერთება ქართულ ენაში გავრცელდა რუსული ენის გავლენით. სიტყვების შემოკლებით ჩაწერა და მათი წარმოთქმა ადგილის და დროის დიდ ეკონომიას იძლევა. სწორედ ეს დაედო საფუძვლად, მათ ფართოდ გამოყენებას. შანიძე ყურადღებას ამახვილებს შემოკლების ხერხებს შორის არსებულ განსხვავებებზე, რაც განაპირობებს შემოკლებულ სიტყვათა სხვადასხვა ხერხით შეერთებას და გამოყოფს შემდეგ სამ ჯგუფს: „1) შეიძლება მარტო დასაწყისი ბგერები იყოს წარმოდგენილი: ზაჰეს-ი - ზ(ემო) ა(ვჭალის) ჰ(იდრო-) ე(ლექტრო-) ს(ადგური); 2) შეიძლება სიტყვის დასაწყისი ნაწილები იყოს შეერთებული: სახელგამ-ი = სახელ(მწიფო) გამ(ომცემლობა); 3) შეიძლება პირველი სახელი შემოკლებით იყოს წამოდგენილი, მეორე კი – სრულად: კოლმეურნეობა = კოლ(ექტიური) მეურნეობა“ (შანიძე, 1980:158-159)...

არნ. ჩიქობავა თვლის, რომ სიტყვათა შემოკლებები ეს ისეთი თავისებური ერთგვარი კომპოზიტიბია, რომლებშიც ორი ან მეტი ერთეული მონაწილეობს და აკ. შანიძისეულ დაჯგუფებას კიდევ ორ სხვა ჯგუფს ამატებს და ხუთამდე ზრდის: 1) კომპოზიტი, რომელშიც ყველა ნაწილი შემოკლებულია და მხოლოდ უკანასკნელი წევრია სრული სიტყვა: პროფკავშირი = პროფ(ესიული) კავშირი; 2) კომპოზიტი, რომელშიც პირველი წევრი ფუძეა, სხვა კი ფუძის ნაწილი: გლეხკორი = გლეხ კორ(ესპონდენტ)ი; 3) კომპოზიტი, რომელშიც ყველა შემადგენელი ნაწილი შემოკლებულია: ადგილკომი = ადგილ(ობრივი) კომ(იტექტი); 4) კომპოზიტი, რომელშიაც შემადგენელ ნაწილთა თავკიდური ბგერებია წარმოდგენილი: *მმაჩ-ი - მ(ოქალაქეობრივი) მ(დგომარეობის) ა(ქტების) ჩ(აწერა);* 5) კომპოზიტი, რომელშიც ფუძის ნაწილი და თავკიდური ბგერებია შეერთებული: თბილსრესი - თბილ(ისის) ს(ახელმწიფო) რ(აიონული) ე(ლექტროსადგურ)ი (ჩიქობავა, 2008:163-164).

არსებული ლიტერატურის შესწავლისას გავეცანით რუსი ლინგვისტების მიერ (ვინოგრადოვი, ბარხუდაროვი, ისტრინა, იგნატოვა, ლივშიცი, როზენტალი, გოლუბი და სხვა) ჩამოყალიბებულ და შემოთავაზებულ აბრევიატურათა და სიტყვათ-

შემოკლებათა შედგენის წესს. ისინი ზემოთმოყვანილი ჯგუფებისაგან დამატებით გამოყოფენ ინიციალურ აბრევიატურებს და მათ ქვეტიპებს:

ა) ბგერითი წარმოშობის: *вуз- в(ысшее) у(чебное) з(аведение);*

ბ) ასოთა დასახელებების: *КПСС – К(комунистическая) П(артия) С(оветского) С(оюза);*

გ) შერეული ტიპს, რომელიც ერთდროულად მოიცავს მარცვლოვანსა და ინიციალურს: *гороно - гор(одской) о(тдел) н(ародного) о(бразования)...*

ჩვენ მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია ეყრდნობა სხვადასხვა მეცნიერთა კლასიფიკაციების გაანალიზების საფუძველს. ემპირიული მასალის შესწავლისას მივიღეთ შემდეგი დაჯგუფება:

1) სიტყვის დასაწყისი ნაწილების შეერთება: აღმასკომი - აღმას(რულებელი) კომ(იტეტ)-ი; რაიკომი - რაი(ონული) კომ(იტეტ)ი; райком-(районный комитет); партгруппорг - парт(ийный) групп(овой) орг(анизатор); პარტჯგუფორგი - პარტ(იული) ჯგუფ(ის) ორგ(ანიზატორ)ი; профком - проф(ессиональный) ком(итет); პარტკომი - პარტ(იული) კომ(იტეტ)ი; партком - пар(тийный) ком(итет)...

2) პირველი სიტყვის შემოკლებული ნაწილის და მეორე სიტყვის სრულად შეერთება: პედინსტიტუტი - პედ(აგოგიური) ინსტიტუტი; пединститут – пед(агогический) институт; პარტბიურო - პარტ(იული) ბიურო; სტუდკავშირი - სტუდ(ენტთა) კავშირი; партбюро - парт(ийное) бюро; პროფკავშირი - პროფ(ესიული) კავშირი; студсоюз – студ(енческий) союз...

3) შემოკლება, რომლის პირველი წევრი ფუძეა, დანარჩენი კი ფუძის

შემადგენელი ნაწილი: *წევრკორი = წევრ კორ(ესპოდენტ)ი...*

4) შერეული შემოკლებების (კომპოზიტები), რომელშიც ფუძის ნაწილი და თავკიდური ბგერებია შეერთებულია: *Минвуз – Мин(истерство) в(ысших) у(чебных) з(аведений)...*

5) ბგერითი წარმოშობის: *вуз - в(ысшее) т(ехническое) у(чебное) з(аведение);*

ф.и.о. - ф(амилия) и(мя) о(тчество); მ/შ - მ(ოვალეობის) შ(ემსრულებელი); ი.ო - и(сполнитель) о(бязанности); ЮЛПП – Ю(ридическое) Л(ицо) П(убличного)

П(рава); ბაზბი - ბ(ათუმის) ა(გრარული) ბ(იოტექნოლოგიების) და ბ(იზნესის) ი(ნსტიტუტი); უსდ - უ(მაღლესი) ს(ასწავლო) დ(აწესებულება)...

6) ასოთა დასახელებების: სტუ - ს(საქართველოს) ტ(ტექნიკური) უ(უნივერსიტეტი); ГТУ – Г (рузинский) т(технический) и(институт); ბსუ - ბ(ათუმის შოთა რუსთაველის) ს(ახელმწიფო) უ(ნივერსიტეტი), ГПИ - Г(рузинский) п(олитехнический) и(нститут); თსუ - თ(ბილისის) ს(ახელმწიფო) უ(ნივერსიტეტი); ТГУ - Т(билисский) г(осударственный) у(ниверситет); МВО – М(инистерство) в(ысшего) о(бразования) ...

7) შერეული ტიპს, რომელიც ერთდროულად მოიცავს წინა ორს: РККА – Р(абоче)-к(рестьянская) К(расная) А(рмия)...

სიტყვათშემოკლებათა საერთაშორისოდ აღიარებული მყარი თეორია არ არსებობს. დამკვიდრებული ტრადიციით ენაში მოკლდება ხშირად მოხმარებადი და განმეორებადი სიტყვები და ტერმინები. მათი გაშიფრვისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რას წარმოადგენენ ისინი.

სიტყვათშემოკლებები და აბრევიატურები ზოგჯერ მარტივ სახელებად აღიქმებიან და დროთა განმავლობაში შეიძლება დამოუკიდებელ სიტყვადაც ჩამოყალიბდნენ, როგორც ჩამოყალიბდა, მაგალითად, აბრევიატურები: „ექთანა“, „თემქა“. ისინი დღეს უკვე დამოუკიდებელ სიტყვას წარმოადგენენ (არაბული, 2004:132).

ქართულ ენაში ისეთ სიტყვათშემოკლებებთან გვაქვს საქმე, როგორიცაა:


1) წიგნთან დაკავშირებული: გვ.-გვერდი, ფურც.- ფურცელი, წიგ.- წიგნი, ტ. - ტომი, სარჩ. - სარჩევი, შდრ. - შედარება, იხ. - იხილეთ, ა.შ. - ასე შემდეგ, ე.ი. - ესე იგი...

2) საზომ ერთეულებთან დაკავშირებული: წთ.- წუთი, წმ.- წამი, წწ.- წლები, სს. - საუკუნეები, გრ., გ. - გრამი, კგ. - კილოგრამი, ტ. - ტონა, მ. - მეტრი, დც.- დეციმეტრი...

3) გეოგრაფიულ და წარმომავლობის აღმნიშვნელ დასახელებებთან დაკავშირებული: საქართ. - საქართველო, რუს. - რუსული, ლათ. - ლათინური, ქართ. - ქართული, იტალ. - იტალია...

ეს სიტყვათშემოკლებები აბრევიატურებისაგან განსხვავებით, ზეპირ მეტყველებაში სრული ფორმით წარმოითქმებიან, რაც განასხვავებს მათ ერთმანეთისაგან.

ჩვენი ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არც თუ ისე მცირეა მათში აბრევიატურათა და სიტყვათშემოკლებათა გამოყენების ხვედრითი წილი. ქართული აბრევიატურები და სიტყვათშემოკლებები ძირითადად რუსულის კალკას წარმოადგენენ. საბუთებში კონკრეტული აბრევიატურისა და სიტყვათშემოკლების სხვადასხვა ვარიანტული ჩანაწერი დავაფიქსირეთ, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საქმისწარმოებისას უნიფიცირების სისტემის უგულვებელყოფაზე.



საინტერესო და საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხშირად აბრევიატურასა და სიტყვათშემოკლებებს ურევენ ერთმანეთში. ამისი ნათელი მაგალითია გრაფიკული შემოკლებების ი.ო. და ფ.ი.ო. დაწერის ვარიანტები. ეს არის მათი მართებული ჩაწერის წესი. მაგრამ ემპირიული მასალის გაცნობისას აღმოჩნდა, რომ საქმიან საბუთებში არც თუ იშვიათია ამ წესის დარღვევის შემთხვევები. წერისას, პარალელურად გამოიყენება მართებული და მცდარი ფორმები, მაგალითად - ИО და ФИО. აქვე აღვნიშნავთ, რომ მათი სწორად ჩაწერისათვის უნდა დავიცვათ მართლწერის წესები: აბრევიატურა იწერება წერტილების, ტირეების და ბრჭყალების გარეშე. ხოლო გრაფიკული შემოკლება წერტილებით. ასევე ხაზგასასმელია ის, რომ ეს ორი

ИО зав. лаб. хранения сырья ВНИЭКИСП – исполнитель обязанности заведующего лабораторией хранения сырья Всесоюзного научно-исследовательского и экспериментально-конструкторского института по хранению и переработке субтропических плодов.

ვეფრობთ, დედანში იო უნდა ჩაწერილიყო პატარა ასოებით, ხოლო სიტყვათშემოკლების - зав. лаб. - ნაცვლად უნდა ყოფილიყო ფორმა - зав. лабораторией.

რუსულ დოკუმენტში სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დასახელება აბრევიატურითაა მოცემული ВНИЭКИСП, რომელიც შემდეგნაირად იზიფრება Всесоюзный научно-исследовательский и экспериментально-конструкторский институт по хранению и переработке субтропических плодов. შესაძლებელია მრავალკომპონენტური აბრევიატურები სრულად არ შეიცავდნენ მათში შემავალ ყველა კომპონენტს. თვალსაჩინოებისთვის ეს მოცემული მაგალითიც გამოდგება, რომელიც არ შეიცავს მასში შემავალ ყველა წევრს. საკმაოდ რთულია თანამედროვე პერიოდში ხმარებიდან გამოსული და არქაიზმად ქცეული აბრევიატურის გაგება და თარგმანი, რომელიც უკვე არარსებული დაწესებულების დასახელებას წარმოადგენს. ესეც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ აბრევიატურები უნდა იყოს გაშიფრული და დაფიქსირებული დამხმარე საცნობარო ლიტერატურაში. უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ საბუთებში მოყვანილი აბრევიატურების უმრავლესი ნაწილი გაშლილადაა წარმოდგენილი ქართულ საბუთებში. ეს აბრევიატურაც ВНИЭКИСП გაშიფრულია და მოცემულია სრულად - სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტალურ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი.


кандидат с/х наук – кандидат сельско-хозяйственных наук – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი;

б/п – беспартийный - უპარტიო;

ქვემოთ მოყვანილ რუსულენოვან საბუთში ერთი წინადადება, თითქმის მთლიანად სიტყვათშემოკლებისა და აბრევიატურებისაგან შედგება - зав. лабораторией ПВТСО Минвуза ГССР ;

აბრევიატურა ПВТСО - მოხმარებიდან გასვლის გამო მივიწყებას მიეცა, გადაინაცვლა არქაიზმების ჯგუფში, არ არის დაფიქსირებული ლექსიკონებში. შესაბამისად გაძნელდა გაშიფრვაც და ვერ მოვიძიეთ მისი განმარტება. საბუთზე დასმულია შტამპი და ბეჭედი, ქართული და რუსული ტექსტებით. ანაბეჭდები ნახევრად გადაშლილია, მაგრამ ქართული ნაწილში იკითხება „საქ. სსრ უმაღლესი და საშუალო სპეც.განათლ. სამინ. (და)საპროგრამ. სწავლე. და ტექნიკ. საშუალებათა ლაბორატორია“. რუსული ნაწილი გადაშლილია და ჭირს ამოკითხვა: 1) Лаборатория технич. средств и програм. обуче-- Мин. высш. и сред. спец. образ. ГССР.

ვეფიქრობთ ПВТСО გაშიფრვის შესაძლო ვარიანტებია: 1) Лаборатория программирования и внедрения технических средств обучения. 2) Лаборатория программирования и владения техническими средствами обучения. ასეთ სირთულეს წავაწყდით ამ საბუთის აბრევიატურის გაშიფრვისა და თარგმნისას.





(Фамилия, имя, отчество)


переизбрание
на ~~XXXXXXXXXXXXXXXXXXXX~~ в должности зав. каф. № 83 общетехнической /Ватуми
Приказом Минвуза СССР указывается министерство, ведомство
№ 95 от 19 02 19 85 г. состав совета утвержден в количестве 156 человек.

Присутствовали на заседании членов совета 109
Раздано бюллетеней членам совета 109
Осталось неровданных бюллетеней 47
Оказалось в урне бюллетеней 109

переизбрание

Результаты голосования: за ~~XXXXXXXXXX~~ XXXXXXXXXX ф. и. о.
на должность XXXXXXXXXX зав. каф. № 83 общетехнической
подано голосов: за 109, против Нет действительных бюллетеней

Председатель счетной комиссии _____ ф. и. о.
Члены комиссии _____ ф. и. о.



Минвуз ГССР – Министерство высших учебных заведений Грузинской Советской Социалистической Республики.

зав.каф. - მართებული ფორმაა зав.кафедрой, მაგრამ სიტყვათშემოკლების ეს ფორმა ძალიან ხშირად გვხვდება ჩვენს საკვლევ მასალაში და ერთდროულად გამოიყენება სხვა დასახელებულ ფორმებთან ერთად.

фамилия, имя, отчество; ф.и.о. - ერთ დოკუმენტში მოცემულია ერთი ტერმინის ორი ფორმა: სრული და შემოკლებული.

მასალაზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ რუსულენოვან დოკუმენტებში საგრძნობლად ჭარბობს აბრევიატურებისა და სიტყვათშემოკლებების გამოყენება. ქვემოთმოყვანილი მაგალითებიც ერთგვარი თვალსაჩინოებაა იმისა, თუ რამდენად გამოყენებადია ისინი ადგილისა და დროის ეკონომიის მიზნით.

რამდენიმეხაზიან დოკუმენტებში აბრევიატურებისა და სიტყვათშემოკლებების ერთგვარი კასკადია, რომლებითაც ძირითადად აღინიშნება დაწესებულებების და ორგანიზაციების, თანამდებობათა და წოდებათა დასახელებები, სამეცნიერო ხარისხები.

С П Р А В К А
Дана военнообязанному [redacted]
[redacted] р. в том, что он
действительно призван в ряды СА Батумским ГВР
и прослужил с 30.10.59 по 20.10.62
Уволен из рядов СА на основании [redacted]
[redacted] МО СССР
Дана на основании учётно-воинских доку-
ментов и выдана для представления в [redacted]

БАТУМСКИЙ ГОРОДСКОЙ
ОБЛАСТНОЙ ВОЕННЫЙ КОМИТЕТ
Адрес: [redacted]
Отдел: [redacted]
№ 4/491
г. Батуми

М. Григорян

БАТУМСКИЙ ГОРОДСКОЙ
ОБЛАСТНОЙ ВОЕННЫЙ КОМИТЕТ
М. А. С. Р.

ГВК – Городской военный комиссариат;

СА – Советская Армия;

г.р. – год рождения;

МО СССР – Министерство обороны Союза Советских Социалистических Республик;

ВУЗ – высшее учебное заведение. აბრევიატურის ჩაწერის წესის შესაბამისად - ВУЗ ტექსტში უნდა დაწერილიყო პატარა ასოებით და როგორც ვხედავთ, დარღვეულია ეს წესი.

ДИССЕРТАЦИОННЫЙ СОВЕТ Высшей межакадемической аттестационной комиссии Международного Межакадемического Союза			
№ п/п	Наименование дисциплины	Учёная степень	Фамилия, инициалы, ученые степени, звания и должности председателя и членов экзаменационной комиссии
1.	Юриспруденция	кандидат юридических наук	Зетеев И.П. - ректор ВМАК ММС, председатель, д.и.н., профессор, Сашков В.К. - уч. секретарь ВМАК ММС, д.э.н., Фейгин И.З. - д.ю.н., проф., Зории А.П. - к.ю.н.

Наименование дисциплины	Оценка и дата сдачи экзамена	Фамилия, инициалы, ученые степени, звания и должности членов экзаменационной комиссии
Диалектический и исторический материализм	ОТЛИЧНО 15/ 29.III 1969 г.	1. Габилая Ш.В., канд. филос. н. доц., зав. кафедрой диалект. матери- ализма 2. Ларцулиани С.А., канд. филос. н. проф., зав. кафедрой исторического материализма 3. Бакурадзе О.М., док. филос. н., прф. 4. Асатиани Г.П., докт. филос. н. доцент

ВМАК ММС - Высшая межакадемическая аттестационная комиссия Международного Межакадемического Союза - საერთაშორისო აკადემიათშორისი კავშირის უმაღლესი საატესტაციო კომისია.

д.и.н – доктор исторических наук;

д.э.н – доктор экономических наук;

д.ю.н – доктор юридических наук;

к.ю.н – кандидат юридических наук;


канд. филос. н. - кандидат философских наук;

доц. – доцент;

докт. филос. н. - доктор философских наук;

прф, проф, - профессор;

зав. кафедрой диалект. материализма - заведующий кафедрой диалектического материализма.




ВКВШ - Всесоюзный Комитет по делам Высшей Школы - ეს აბრევიატურაც სრულად არ შეიცავს მასში არსებულ ყველა კომპონენტს.

СНК СССР - Совет Народных Комиссаров Союза Советских Социалистических Республик.

მასალაზე მუშაობისას სირთულეს წარმოადგენდა ძველ დოკუმენტებში არსებული აბრევიატურების გაშიფრვა. ის აბრევიატურები, რომლებიც ხშირად გამოყენებადი და დამახასიათებელი იყო საბჭოთა ეპოქისათვის, დღეს უკვე არქაიზმებს წარმოადგენენ და აბრევიატურების და სიტყვატომემოკლებების ლექსიკონის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მათი გაგება.

Нач. Планово-Эконом. отдела - გაურკვეველია არსებული შემოკლებების ამ ფორმით ჩაწერის ფაქტი. ვფიქრობთ, გამართლებული ფორმაა: Нач. планово-экономического отдела.




ზოგჯერ ქართული და რუსულენოვანი დოკუმენტების ტექსტებში ქართულ ვერსიაში გამოყენებული აბრევიატურა რუსულ ტექსტში სრულადაა გადმოცემული, ხოლო რუსულ ტექსტში მოცემული შემოკლება, ქართულ ვარიანტში გაშლილადაა გადმოცემული. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ საბუთს, რომელიც გაცემულია თსუ-ს მიერ. ის საკმაოდ საინტერესო დოკუმენტია ფორმითაც და შინაარსითაც. ერთ ფურცელზე შესრულებული ორენოვანი დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ ფორმულიარს, სადაც ტექსტი გამზადებულია და მხოლოდ ინდივიდუალური მონაცემია შეტანილი. ხელმომწერი პირები ქართულ ვარიანტზე ქართულად აწერენ ხელს (დამოწმება), რუსულ ვარიანტზე - რუსულად, რაც დამახასიათებელია ამ პერიოდის დოკუმენტებისათვის.

და ბოლოს, წმინდა საკანცელარიო შემოკლება - ბ.ა., რომელიც ასევე რუსულის კალკას წარმოადგენს - *M. II.* აღნიშნავს ბეჭდის ადგილს. მისი ცოდნა უშუალოდ საბუთების წარმოებასთან არის დაკავშირებული. აქედანაც შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, თუ რამდენად დამახასიათებელია რუსული ენისათვის აბრევიატურები და სიტყვათშემოკლებები.

ქვემოთ მოგვყავს ქართულ დოკუმენტში არსებული აბრევიატურები და სიტყვათშემოკლებები, რომლებიც თითქმის ყველა, უკლებლივ რუსული აბრევიატურებისა და სიტყვათშემოკლებების კალკს წარმოადგენს.

საინტერესო შემოკლება გვხვდება ქვემოთ მოყვანილ მაგალითში: *გ.ბ.* - *გერბიანი ბეჭედი*, *ბ.ა.* როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, ბეჭდის ადგილს ნიშნავს.



ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში მოცემული აბრევიატურები: *სკკპ*, *პედინსტიტუტი*, *პოლიტეკონომია*, *რაიკომი*, *კპ* - როგორც თითქმის ყველა მათგანი, რუსულის კალკს წარმოადგენენ: *КПСС*, *пединститут*, *политэкономия*, *райком*, *КП*.

დ ა ბ ა ს ი ა ტ ე ბ ა

..., დაბადებული 1937 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, სკკპ წევრი. 1970 წლიდან მუშაობს ბათუმის შ.რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სკკპ ისტორიის და პოლიტეკონომიის კათედრაზე დოცენტად. არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

1960 წლის დეკემბრიდან [redacted] გაბაყვანილი იქნა საქართველოს კვ შუახვევის რაიკომში დეფორ-კონსულტანტად, 1963 წლის იანვრიდან დამტკიცებულია საქართველოს კვ ხულოს სასოფლო-სამეურნეო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების ინსტრუქტორად, ხოლო 1965 წლის იანვრიდან გაბაყვანილი იქნა საქართველოს კვ ხულოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

ჩვენ უმეტესად წარმოვადგინეთ რუსულენოვანი საბუთები, რადგან როგორც უკვე ვთქვით ზემოთ, მათში უფრო მეტია აბრევიატურათა და სიტყვათშემოკლებების გამოყენების ხვედრითი წილი.

დროისა და ადგილის ეკონომიის მიზნით, აბრევიატურების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქმიან საბუთებში. ჩვენთვის, იქიდან გამომდინარე, რომ საუბარია დოკუმენტების თარგმნის ადეკვატურობაზე, საკმაოდ ყურადსაღებია ა. არაბულის, თ. ვაშაკიძისა და თ. ბურჭულაძის მიერ შემუშავებული უცხოენოვანი აბრევიატურების ქართულად გადმოცემის წესები და რეკომენდაციები:

- „1. უცხოური აბრევიატურა იწერება ქართული ასოებით (ტრანსლიტერაციით);
2. უცხოური აბრევიატურის ქართული დაწერილობა უნდა შეესაბამებოდეს მის საერთაშორისო (უცხოურ) გამოთქმას;
3. აბრევიატურა უნდა დაიწეროს ერთ სიტყვად – დეფისების, წერტილებისა და ბრჭყალების გარეშე (თიბისი...);

4. თანხმოვანფუძიან უცხოურ აბრევიატურას დაერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი - ი (სიენენდ...).

მშობლიური ენის სიწმინდის დასაცავად კი ჩვენ ერთი მიზნისკენ მიმავალი საქმიანობით, ქართული ენის ნორმების დაცვით უნდა შევიმუშაოთ შემოკლებული სიტყვებისა და აბრევიატურების მართლწერის წესები და თავიდან უნდა ავიცილოთ სიტყვათშემოკლებათა ქართული ასო-ნიშნების ლათინურ-რუსული ანბანური სახელწოდებებით „წაკითხვისა“ და ამის ბაზაზე უცხოენოვანი მოდელის შემოტანის მცდელობა“ - მოგვიწოდებენ ავტორები (არაბული, ... 2014:13-14).

ამ ნაშრომის გამოცემის შემდეგ გახშირდა შემთხვევები, როცა უცხოენოვანი აბრევიატურები ქართულ ენაში მექანიკურად, პირდაპირ გადმოდის ტრანსლიტერაციით, გადმოიცემა ქართული ასოებით, სადაც არ ექცევა ყურადღება მათ ჟღერადობას.

ვისარგებლებთ შემთხვევით და მოვიყვანთ დ. როზენტალის რეკომენდაციებს, რომელსაც სრულად ვიზიარებთ და ვფიქრობთ, გასათვალისწინებელი იქნება აბრევიატურების რუსულ ენაზე თარგმნისას:

1) ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შემოკლებული დასახელებები იწერება დიდი ასოთი, თუკი მათი გაშლილად წარმოდგენილი სახელდებაც დიდი ასოთი იწერება: *Госиздат; Минводхоз; Профиздат...*

2) მიუხედავად იმისა, საკუთარ სახელს წარმოადგენს თუ საზოგადოს, *აბრევიატურები, რომლებიც წარმოითქმება ასოთა სახელწოდებების მიხედვით, იწერება დიდი ასოთი: СНГ – С(оюз); Н(езависимых) Г(осударств); ЦСУ – Ц(ентральное) с(татистическое) у(правление); ЧП – ч(резвычайное) п(роисшествие)...*

3) ბგერების მიხედვით წარმოთქმული აბრევიატურები:

ა) დიდი ასოთი იწერება, თუკი წარმომდგარია საკუთარი სახელიდან: ООН;

ბ) საზოგადო სახელიდან შედგენილი აბრევიატურები იწერება პატარა ასოებით: вуз; гороно;

გვხვდება გამონაკლისიც: ტრადიციულად დამკვიდრდა ГЭС; ЖЕК;

4) თუკი საკუთარი სახელის აღმნიშვნელი რთულშემოკლებული სიტყვის ერთ ნაწილს საწყისი ბგერები შეადგენს, ხოლო მეორეს - შეკვეცილი სიტყვები, მაშინ პირველი ნაწილი დიდი ასოებით დაიწერება, ხოლო მეორე ნაწილი პატარათი: *ВНИИстройдормаш (Всероссийский научно-исследовательский институт дорожного машиностроения), НИИхиммаш (Научно-исследовательский институт химического машиностроения)*. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუკი აბრევიატურა სიტყვის შუაში ან ბოლოშია მოქცეული, მაშინ შემოკლებული სიტყვა იწერება პატარა ასოებით: Промтрансниипроект,

5) უცხოურ ენათა ასოების სახელწოდებებიდან წარმომდგარი აბრევიატურები იწერება დიდი ასოებით და ამავდროულად, მათი დასახელებები ერთდება დეფისით: Би-Би-Си, Си-Эн-Эн (Розенталь, 2008: 67-68).

ვფიქრობთ, ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები, ძალიან დიდ სამსახურს გაუწევს დოკუმენტებთან მომუშავე პერსონალს, მთარგმნელებს და და არა მარტო მათ, რუსული ენიდან ქართულ ენაზე და ქართული ენიდან რუსულ ენაზე აბრევიატურების და სიტყვათშემოკლებების თარგმნის საქმეში.

აბრევიატურების თარგმნისას მიმღებ ენაში აღიარებული შესატყვისების არ არსებობისას, საჭიროა მიმღებ ენაში მათი სრული გამლა და აბრევიატურის მნიშვნელობის განმარტება, რაც საკმაოდ შრომატევადია და დამაბულ მუშაობასთანაა დაკავშირებული. მითუმეტეს მაშინ, როცა არც ერთ ლექსიკონში არ ფიქსირდება მათი მნიშვნელობა.

როგორც ვნახეთ, ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში მოძიებული სიტყვათ-შემოკლებები და აბრევიატურები ძირითადად რუსული სიტყვათშემოკლებების და აბრევიატურების კალკს წარმოადგენენ. მასალის შესწავლისას დავაფიქსირეთ აბრევიატურების მართლწერასთან დაკავშირებული ხარვეზები. ამას ემატება ის, რომ ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, მუდმივად განახლების პროცესშია და ძალიან სწრაფად იცვლება ენის ლექსიკური მარაგი. დღევანდელი ტემპებიდან გამომდინარე, დღევანდელი ნეოლოგიზმი ხვალ შეიძლება არქაიზმად იქცეს. ის, რაც ხშირად მოხმარებადი იყო წლების წინ, დღეს საერთოდ დავიწყებული და ამოღებულია

ხმარებიდან. ეს ჩვენი მაგალითებითაც დასტურდება. მასალაზე მუშაობისას სირთულეს წარმოადგენდა ძველ დოკუმენტებში არსებული აბრევიატურების გაშიფრვა. ეს ფაქტიც ამტკიცებს ჩვენი კვლევის აქტუალურობას იმასთან დაკავშირებით, რომ შესწავლილი უნდა იქნას ქართულ-რუსული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი კანცელარიზმები, მათი თარგმანის თავისებურებები და მართლწერის წესები. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი კვლევა გამოადგებათ საქმისწარმოებაში დასაქმებულ პერსონალს და მთარგმნელებს, ტექსტების შინაარსის სწორად გაგებასა და მათ ადეკვატურ თარგმანში. აქ მოცემული მაგალითების ანალიზი და რეკომენდაციები დაეხმარებათ, რათა გათვალისწინებულ და აღმოფხვრილ იქნას არსებული მექანიკური თუ სერიოზული ხარვეზები. ამიტომ სასურველია საინფორმაციო-სამაგიდო წიგნის შექმნაც, რომელიც პერიოდულად დაეჭვემდებარება განახლებას.

3.3 ტერმინოლოგიის თარგმნის პრობლემები

„ყოველი ერი, რომელიც სრულ კულტურულ ცხოვრებას ეტანება, აუცილებლად საჭიროებს მეცნიერულად დამუშავებულ ტერმინოლოგიას“

ვუკოლ ბერიძე

„ტერმინი (ლათ. terminus) ჰქვია სიტყვას (და სიტყვათა შეკავშირებას), რომელიც აღნიშნავს რაიმე ცნებას ცოდნის სხვადასხვა დარგში. ტერმინოლოგია გულისხმობს ამა თუ იმ დარგში ხმარებულ ტერმინთა ერთობლიობას... ტერმინი ერთმნიშვნელობიანია, ცნების ზუსტი და ადეკვატური შესატყვისი და თუ ეს პირობა დარღვეულია, ტერმინი წარმატებით ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას და შეიძლება ახალი ტერმინის შემუშავების საჭიროებაც გაჩნდეს“ (კვაჭაძე, 1993:35). მართლაც, ტერმინებს არ გააჩნიათ კონოტაცია, სინონიმები, არსებობენ კონტექსტიდან დამოუკიდებლად და გამოირჩევიან ერთმნიშვნელობიანობით.

„ტერმინის“ საყურადღებო განმარტებას ვგაძლევს ქართველი ენათმეცნიერი გივი ნებიერიძე, რომელიც ტერმინების წარმოშობას საქმიანი ურთიერთობების, მეცნიერების, ტექნიკის, დიპლომატიის განვითარებას და გარკვეული ცნებების და მათი აღმნიშვნელი სიტყვების წარმოქმნას უკავშირებს. ტერმინი სიტყვის მნიშვნელობიდან ვითარდება. „სიტყვის მნიშვნელობის განვითარება გარკვეულ საზღვარს აღწევს ტერმინში, რომლის იქითაც მოცემული სიტყვის მნიშვნელობის ვარირება აღარ შეიძლება, ამიტომ ეწოდება მას ტერმინი (საზღვარი)“ (ნებიერიძე, 1991:227).

ქართულ ენაში უძველესი დროიდან ჭარბად შემოდის ადრე გაბატონებული ლათინური და ბერძნული ტერმინები, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე უნივერსალური ტერმინების სტატუსი გააჩნდათ. თავის ტერმინოლოგიას ამკვიდრებდნენ დამპყრობელი სახელმწიფოებიც. სხვადასხვა სფეროში დამკვიდრებული უცხო სიტყვების ზუსტი, ქართული, ეროვნული შესატყვისების შენარჩუნებაში და გადარჩენაში დიდი წვლილი სულხან-საბა ორბელიანს მიუძღვის, რომელმაც გამიჯნა ქართული და უცხოური სიტყვები და გამოსცა დიდი ქართული ენციკლოპედია. საქართველოში, ლათინურ და ბერძნულ ტერმინებს უნივერსალური ტერმინოლოგიის სტატუსი მეფის რუსეთის გაბატონებამ და საბჭოთა პერიოდმა ჩამოართვა. სრულ რუსიფიკაციას, მეფის რუსეთის დროს, და გასაბჭოებას ქართულ ენაში რუსული ტერმინების და სიტყვების გაბატონება მოჰყვა. რუსიფიკაცია ებრძოდა და კრძალავდა ყოველივე ეროვნულს, იმ საბაზით, რომ ერთიანი, ანუ რუსული ტერმინოლოგიის დანერგვა გაამარტივებდა ურთიერთობებს და აზრის გაგებას. რუსული ენა იყო ქართველებისა და საბჭოეთში შემავალი ერებისათვის ერთმანეთთან და დანარჩენ სამყაროსთან ურთიერთობის ენა. ის, ასევე, გამოიყენებოდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და საქმიანი ურთიერთობების სფეროშიც.

ტერმინოლოგია ის სფეროა, რომელშიც ნათლად აისახება სახელმწიფო პოლიტიკა. საბჭოთა ხელისუფლებისთვისაც მიუღებელი იყო შესაბამისად ყოველივე ქართული და ნაციონალური. სწორედ ამიტომ ტერმინოლოგიური კომიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა (ფ. მახარაძე), გადაწყვიტა ქართულ ენაში და

საქმისწარმოებაში დაემკვიდრებინა უცხოური ტერმინები. მას მიაჩნდა, რომ ისინი უფრო მეტად ამდიდრებდნენ ქართულ ენას, ვიდრე მათი თარგმანი. აქედან გამომდინარე, აღარ იყო საჭირო ინტერნაციონალური ტერმინების თარგმნის აუცილებლობა (ქაროსანიძე, ხურცილავა, 2018:16).

მიუხედავად ანტიქართული პოლიტიკის გატარებისა, არნ. ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი წარმატებით წარმართავდა ტერმინოლოგიურ პოლიტიკას, მაინც ახერხებდა ტერმინებისა და ცნებების თარგმნას და მათთვის ქართული შესატყვისების დამუშავებას. ინსტიტუტის თანამშრომლები იხსენებდნენ: „როცა ახალი ტერმინი მიუჩვევლობის გამო გვეხამუშებოდა, ბატონი ვუკოლი ბერიძე გვეტყოდა: ნახევარი საათი იარეთ ოთახში დიაგნოზურად, კუთხიდან კუთხეში და იმეორეთ ეს ტერმინი ნახევარი საათის შემდეგ მოგეწონებათ და მოგეჩვენებათ, რომ მას უკვე დიდი ხანია იცნობთო. ვუკოლის შემოღებულია რამდენიმე ახალი უკვე სავსებით შეთვისებული ტერმინი: საშვები, მივლინება, შვებულება“. ამასთან დაკავშირებით ერთ სახუმარო ფაქტსაც იხსენებენ: როცა ვუკოლი ბერიძემ ქუჩაში ჩაიარა და მისმა ნაცნობმა, თანმხლებ პიროვნებას უთხრა– ამისი მოგონილია სიტყვა „შვებულებაო“, იმას უპასუხნია: მაგას რომ „შვებულება“ არ გამოეგონა, ოტპუსკში ვერ წავიდოდი თუო?“ (ქაროსანიძე, ხურცილავა, 2018:19).

ნებისმიერ სტილს თავისებური ტერმინოლოგია ახასიათებს. ოფიციალურ-საქმიან ტექსტებს სხვა ტექსტებისაგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი შემადგენელი ლექსიკა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კანცელარიზმების, სპეციალური ტერმინოლოგიის, მყარი შესატყვისების გამოყენების მაღალი ხვედრითი წილი გამოარჩევს.

ტერმინოლოგია სხვადასხვა ხერხებით წარმოიქმნება: ენა, ან საკუთარ მარაგში ეძებს შესატყვისს და ისე აწარმოებს მას ან/და ის, რაც ასე დამახასიათებელია ჩვენი დღევანდელი საზოგადოებისათვის, უცხო სიტყვები განუკითხავად შემოედინებიან და მკვიდრებიან, მაშინ როცა თავისუფლად შეიძლება საკუთარ ლექსიკურ ფონდში დაიძებნოს შესატყვისი ტერმინები.

ტერმინოლოგიას თავისი ენა გააჩნია. იგი სემიოტიკურ სისტემას წარმოადგენს, სადაც ცნებასა და ბგერით აღმნიშვნელს შორის ცალსახა შესიტყვება გვაქვს. ფ. დე

სოსიურის განმარტებით, ის ნომენკლატურას წარმოადგენს, რომლის საფუძვლადაც ბერძნული და ლათინური გვევლინება. ლათინური და ბერძნული სიტყვებიდან ნაწარმოები ტერმინები ინტერნაციონალურია და ამდენად, საყოველთაოდ გასაგები, რაც ათავისუფლებს ბუნებრივ ენებს საკუთარი ლექსიკის ბაზაზე ტერმინოლოგიის შექმნისაგან. ბერძნულ-ლათინური ტერმინოლოგიის სიჭარბე არ არის შემთხვევითი მოვლენა. ამ გზით ბუნებრივ ენებში შესაძლებელია სიტყვებსა და ტერმინებს შორის ზღვარის გავლება, და იცავს მათ აღრევისაგან. ბუნებრივი ენები საკუთარ ლექსიკურ ფონდზე დაყრდნობით, რომ აწარმოებდნენ ტერმინებს, ისინი დაკარგავდნენ ინტერნაციონალურ ხასიათს და დაიკარგებოდა მათ და სიტყვებს შორის ზღვარი (ნებიერიძე, 1991:226).

ქართული ოფიციალურ-საქმიანი სტილის ლექსიკა, რომლისთვისაც სიმყარე და ცხოველობა იყო დამახასიათებელი, დღემდე განიცდის ცვლილებებს და უნდა აღინიშნოს, არა ქართული ენის სასარგებლოდ. ამ სტილის საბუთების ტერმინოლოგია, რომელიც გამოარჩევს მას სხვა სტილებისაგან, ქართულ ენაში რუსიფიკაციის და გასაბჭოების პერიოდში ძირითადად რუსული ენის გავლით შემოდის. დამოუკიდებლობის მოპოვებას და შემდგომ საერთო ევროპულ ოჯახში გაწევრიანებისაკენ მისწრაფებას ინგლისურენოვანი ტერმინების შემოჭრა და გაბატონება მოჰყვა.

ავთანდილ არაბული ეხმიანება ქართულ ენაში არსებულ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა გლობალურ პოლიტიკურ ცვლილებებს და მიმდინარე პროცესების განსაკუთრებული სისწრაფით განვითარებას მოუმზადებელი შეხვდა, რასაც შედეგად ცალკეული სამეცნიერო ჯგუფების მიერ ტრადიციულ ქართული სამეცნიერო ენის, ან საერთოდ უგულვებელყოფა, ან/და ერთიანი პოლიტიკის არ არსებობის გამო, თავის სფეროში წარმოქმნილი სპეციალური ენობრივი პრობლემების ავტონომიურად და „პარტიზანულად“ გადაწყვეტა მოჰყვა. „შეიძლება ითქვას, საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასე მოკლე პერიოდში ასეთი სწრაფი ტემპით დაცემულიყო ენობრივი კულტურის საყოველთაო განცდა და ოფიციალური ენობრივი პოლიტიკის საინსტიტუციო შეგნება“ (არაბული, 2016:5-7).

სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიამ დიდი სამუშაო ჩაატარა 2019 წელს. უცხოენოვანი ტერმინების ქართულ ენაზე ტრანსკრიბციით და ტრანსლიტერაციით გადმოტანის ერთიანი წესები და მათი გამოყენების რეკომენდაციები დაგზავნა დაწესებულებებში, რაც ნამდვილად ხელს შეუწყობს საქმისწარმოებასა და დოკუმენტაციაში ტერმინოლოგიის ერთიანი ფორმების დამკვიდრებას. ვფიქრობთ ეს რეკომენდაციები ძალიან დაგვეხმარება ახალბედა მთარგმნელებსაც.

ემპირიული მასალის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებში დიდი რაოდენობით გვხვდება ლათინური და ბერძნული წარმოშობის ტერმინოლოგია, რომელიც რუსული ენის გავლენით დამკვიდრდა ქართულ ენაში. სწორედ, რუსული ენის გავლენის შედეგია, ქართულში დაფიქსირებული -„ია“ დაბოლოებები, დედანში არსებული დაბოლოება - „io“ - ს ნაცვლად.


ქართულ ენაში არსებული ტერმინები	ტერმინების წარმომავლობა
ევოლუცია	ლათინური evolutio
კომისია	ლათინური commissio
ნავიგაცია	ლათინური navigatio
ლექცია	ლათინური lectio
ნუმერაცია	ლათინური numeratio
რექტორი	ლათინური rector
დეკანი	ლათინური decanus
პროფესორი	ლათინური professor
დოცენტი	ლათინური docens
ლექტორი	ლათინური lector
სტუდენტი	ლათინური studens
ასისტენტი	ლათინური assistens
უნივერსიტეტი	ლათინური universitas
ფაკულტეტი	ლათინური facultas
სემინარი	ლათინური seminarium

პრაქტიკუმი	ბერძნული praktikos
ლაბორანტი	ლათინური laborans
ინსტიტუტი	ლათინური institutum
დირექტორი	ლათინური director
აკადემია	ბერძნული akademia
ლიტერატურა	ლათინური litteratura
ისტორია	ბერძნული historia
ზოოლოგია	ბერძნული zōonlogos

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

ამავე პერიოდში ხშირად გვხვდება საქმიანი დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი ტერმინების ქართულ ენაში სხვადასხვა ხერხით გადმოტანა. ასე მაგალითად, საინტერესოა ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში ხსენებული სიტყვა „ბუხჰალტერი“-ს ისტორია. გერმანული ტერმინი „Buchhalter“ - Buch „წიგნი“ და halter „მფლობელი“, რუსულ ენაში დამკვიდრდა პეტრე პირველის დროიდან „бухгалтер“, რომელიც რუსული ენის გავლით შემოვიდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკების ენებში. იმ პერიოდის ქართულ დოკუმენტებში დაფიქსირებულია შესაბამისად ტერმინი „ბუხჰალტერი“. მოცემული ტერმინი წარმოადგენს რუსული ენის გრამატიკული ფორმის ზუსტ კოპირებას. იქედან გამომდინარე, რომ რუსულ ზეპირმეტყველებაში ეს სიტყვა წარმოითქმება, როგორც [ბუ[ლ]ალтер], ქართულ წერილობით მეტყველებაშიც დროთა განმავლობაში დამკვიდრდა მისი შესატყვისი ტერმინი „ბულალტერი“.




ოფიციალურ საქმიანი სტილის ტერმინოლოგია მკაცრად განსაზღვრულია და ერთგვარ ნომენტკლასტურას წარმოადგენს:

1. მონაწილე მხარეების აღმნიშვნელი: დასაქმებული, დამსაქმებელი, პირი, ხელმომწერნი, მონაწილე, დამკვეთი, მეწარმე, სუბიექტი, შემსრულებელი, მფლობელი, მოქალაქე, მხარე, მინდობილი პირი, მიმდობი პირი, დაზარალებული, მივლინებული, კათედრის დოცენტი, შეთავსებით მომუშავე, пострадавший, командированное лицо, доцент кафедры, совмещающий работник, ძირითადი მომუშავე, штатный работник, владелец, поверенный, доверитель, работодатель, работник, лицо, подписавшиеся, участник, заказчик, исполнитель, гражданин, сторона, ხელშეკრულებით მოწვეული პირი, контрактник, სტაჟიორი, სპეციალისტი, მდივანი, დეკანი, პროფესორი, თანამშრომელი, მძღოლი...
2. საგნებისა და ობიექტების აღმნიშვნელი: დებულება, მუხლი, გარიგება, უფლებამოსილება, полномочие, договор, соглашение, право, статья, პუნქტი, ქვეპუნქტი, ჯარიმა, სამსახურებრივი ბარათი, განცხადება, ბრძანება, მთელი განაკვეთი, აუდიტორია, უნივერსიტეტი, დეპარტამენტი, კათედრა, пункт, подпункт, полная ставка, штраф, служебная записка, განრიგი, სტრუქტურული

ერთეული, ხელშეკრულება, შტამპი, ბეჭედი, კომპიუტერი, სკანერი, თათბირი, კრება, კონფერენცია, ვაკანსია, ლექცია, უწყისი, ჟურნალი, შეფასება...

3. მოქმედების აღმნიშვნელი: მივლინება, შვებულება, გათავისუფლება, დანიშნა, გადაყვანა, წახალისება, მადლობა, საყვედური, დაკისრება, ჩარიცხვა, ამორიცხვა, დაწყება, დასრულება, გაგრძელება, შეწყვეტა, განთავსება, შესრულება, აღსრულება, შეტყობინება, გაცნობის უზრუნველყოფა, რეგისტრაცია, გაცემა, ჩატარება, პრემირება, გამგზავრება, მიცემა, დაანგარიშება, დაბრუნება, გადახდა, მინიჭება, გარიცხვა, უფლებამოსილია, აღნიშვნა...


ჩვენმა დაკვირვებამ და მოცემული მასალის გაცნობამ გვიჩვენა, რომ საბჭოთა პერიოდის დოკუმენტების ტერმინოლოგია და მათი თარგმანი უფრო მდგრადი იყო. თარგმნისას ის ითარგმნებოდა შესაბამისი ერთი და იმავე ტერმინით და შესიტყვებით. მათი თარგმნისას განსხვავებული ვარიაციები არ შეგვინიშნავს. წარმოვადგენთ სტანდარტულ საბჭოთა შაბლონებს: სტანდარტული ტერმინოლოგიით, სტანდარტული სტრუქტურული წყობით და თარგმანით.





ეს დოკუმენტები ითვლება სანიმუშო ფორმულარებად. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი და მიღებული წესი იყო ორენოვანი ხელწერების არსებობა, ანუ ქართულ დოკუმენტებზე ქართულად აწერდნენ ხელს, უცხოენოვან დოკუმენტებზე - შესაბამის ენაზე. ესეც განასხვავებს მათ თანამედროვე დოკუმენტებისაგან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერმინოლოგია ის სფეროა, რომელშიც ნათლად აისახება სახელმწიფო პოლიტიკა. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ რამოდენიმე საბუთს, რომლის ერთი თვალის გადავლებითაც შეიძლება ეპოქაზე, ღირებულებებზე, მიზნებსა და იდეოლოგიაზე მსჯელობა.



§4.
 თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
 დიპლომის მფლობელის საყვარელი ვინაობა - მათემატიკის ფაკულტეტის
 მათემატიკის განყოფილების სტუდენტის ვაჟი შარვაშიძის თეოდორე.

ბრძანება №119.
 ბელარუსის სსრკ-ის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.
 13 ივლისი 1950 წ.
 §1.
 საქართველოს კ.პ. /ბ/ ქვეყნის იურიდიულ ფაკულტეტში მათემატიკის
 დიპლომის მფლობელის საყვარელი ვინაობის საყვარელი ქალიშვილი
 ნასთარა დაქვრივებით მიკობიძის ივანე ა. თბილისის უნივერსიტეტის
 13 ივლისიდან 16 ივლისამდე უფროსი მასწავლებელი მამია
 შარვაშიძის ძე თეოდორე.

რაც შეეხება საქმიანი საბუთების თარგმანს, დღეს მთარგმნელთა მხრიდან შეინიშნება მიკერძოებული და განსხვავებული მიდგომები, რაც გამოიხატება ტერმინოლოგიის თარგმნით ინვარიანტებში. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები საინტერესოა იმითაც, რომ ერთი წინადადების ორი განსხვავებული თარგმანი ეკუთვნის ერთსა და იმავე მთარგმნელს. აქ ნათლად ჩანს, რომ მთარგმნელი თარგმნისას არ იცავს ერთიან წესს და შესაბამისად, თარგმანში ვლტულობთ ერთი ტერმინის, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ვარიანტებს. პირველ წინადადებაში საერთოდ შეუსაბამო თარგმანი გვაქვს. დანარჩენში კი ვფიქრობთ ეს კლიშირებული, დოკუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი, უნდა ითარგმნოს ტრადიციისამებრ - АТТЕСТАТ О среднем общем образовании - ზოგადი საშუალო განათლების ატესტატი.

<i>Аттестат о среднем общем образовании</i>	ატესტატი ძირითადი ზოგადი განათლების შესახებ,
<i>Аттестат о среднем общем образовании</i>	საშუალო (სრული) ზოგადი განათლების ატესტატი
<i>Аттестат о среднем общем образовании</i>	საშუალო ზოგადი განათლების ატესტატი
<i>Аттестат о среднем общем образовании</i>	ატესტატი საშუალო ზოგადი განათლების შესახებ
<i>Аттестат о среднем общем образовании</i>	ზოგადი საშუალო განათლების ატესტატი

მსგავსი შემთხვევა გვაქვს ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშიც, რომლებითაც დასტურდება მთარგმნელთა არასტანდარტული მიდგომები ტერმინების თარგმნის საკითხებში.

Настоящий аттестат свидетельствует

მოცემული ატესტატი მოწმობს

Настоящий аттестат свидетельствует

წინამდებარე ატესტატი ადასტურებს

Настоящий аттестат свидетельствует

წინამდებარე ატესტატით დასტურდება.

Настоящий диплом выдан... в том, что...

წინამდებარე დიპლომი მიეცა... მასზედ, რომ...

ქვემოთ მოგვყავს საბჭოთა პერიოდის დიპლომის ტერმინების ტრაფარეტული მყარი შესატყვისი.

Настоящий диплом выдан ... в том, что...

ეს დიპლომი მიეცა ... მასზედ, რომ...

მიუხედავად იმისა, რომ რუსული გვარები (მამაკაცის) ქართულ თარგმანში ტრადიციულად გადმოცემული იყო ქართული ენის გრამატიკული ნორმების შესაბამისად და ბოლოში დაირთავდა -ი დაბოლოებას. დღეს კი საბუთებში ვაწყდებით განსხვავებულ მიდგომას. მთარგმნელების გადაწყვეტილებით ეს გვარები ქართულ ენაში გადმოტანილია ტრანსლიტერაციის გზით ან/და ტოვებენ იმ ფორმით, როგორც მოცემულია დედანში.

Руководитель организации, осуществляющей образовательную деятельность Кучер Н.П.
საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი კუჩერ ნ.პ.

Руководитель организации, осуществляющий образовательную деятельность Журавель В. И.
საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჟურაველ ვ. ი.

რუსულ დედანში მოცემული გვარები Кучер Н.П. და Журавель В. И. ქართულ თარგმანში მთარგმნელს გადმოტანილი აქვს კუჩერ ნ.პ. და ჟურაველ ვ. ი. სწორედ ეს გვქონდა მხედველობაში ტრადიციების და ენის ნორმების გვერდის ავლაზე საუბრისას. როგორც ვიცით ქართული გრამატიკა თავისი ნორმის შესაბამისად აფორმებს სიტყვებს, სახელობით ბრუნვაში ირთავს დაბოლოებას „-ი“. ვთვლით სწორი ფორმა იქნებოდა კუჩერი ნ.პ. და ჟურაველი ვ. ი.

განვიხილოთ რამოდენიმე მაგალითი, სადაც მთარგმნელი თავისი შეხედულებისამებრ წყვეტს ამათუ იმ მთარგმნელობით პრობლემას, მაგრამ არც თუ ისე წარმატებით.

1. ზემოთ მოყვანილ მაგალითში, დედანში მოცემული АТТЕСТАТ О среднем (полном) общем образовании, გადათარგმნილია - საშუალო (სრული) ზოგადი განათლების ატესტატი. ვფიქრობთ, აქ სიტყვათსიტყვით თარგმანთან გვაქვს საქმე.
2. გაუგებარია, მთარგმნელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, იმასთან დაკავშირებით, რომ 2019 წლის დოკუმენტის თარგმნისას, რატომ იყენებს რუსული ტერმინის округ გადასათარგმნად, საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელ ბარბარიზმს - ოკრუგ, როცა თანამედროვე ქართულ საქმიან დისკურსში გვაქვს შესანიშნავი შესატყვისი ოლქი და თავისუფლად შეიძლება მისი ამ ტერმინით ჩანაცვლება.
3. ვფიქრობთ, დედანში დაწესებულების სახელწოდება „Школа здоровья“ N2000 არასწორად არის ჩაწერილი და ჩვენი ვარაუდით უნდა ყოფილიყო - „Школа здоровья N 2000“, რაც შესაბამისად შეცდომით აისახა თარგმანშიც და მივიღეთ - „ჯანმრთელობის სკოლა“ N 2000.

ჩვენს მიერ გაანალიზებულ მასალაში ხშირია პუნქტუაციის ნორმების დარღვევის შემთხვევებიც. თარგმანში - წინამდებარე ატესტატი ეძლევა ... , მასზედ რომ.... , ქართული ენის პუნქტუაციის ნორმების გათვალისწინებით მძიმე უნდა დაისვას კავშირის რომ წინ.

<p style="text-align: center;">Меморандум О взаимном предложении</p> <p>Стороны договора с одной стороны ООО «---» (И/К) представленный в лице директора г-на ----- (Л/Н) в дальнейшем Продавец и с другой стороны ООО «---» (И/К), в дальнейшем Продавец, оформляем настоящий меморандум о взаимном предложении о следующем:</p>	<p style="text-align: center;">მემორანდუმი ურთიერთგანზრახულობის შესახებ</p> <p>ხელშეკრულების მხარეები ერთის მხრივ, შპს “---”, (ს/კ), რომელსაც წარმოადგენს მისი დირექტორი ბ-ნი --- -- (პ/ნ) (შემდგომში გამყიდველი) და მეორეს მხრივ, შპს „--“ (ს/კ), (შემდგომში მყიდველი), ვაფორმებთ მემორანდუმს ურთიერთ განზრახულობის შესახებ.</p>
---	--

- 1) მემორანდუმის რუსულსა და ქართულ ტექსტებში გამოყენებულია სიტყვა ხელშეკრულება, რომელიც საერთოდ უადგილოა ამ შემთხვევაში.
- 2) მემორანდუმის ტექსტში, მხარეების გამოყოფის დროს ქართულ ვარიანტში არსებული ფრჩხილებში მოთავსებული განმარტება (შემდგომში გამყიდველი), (შემდგომში მყიდველი), რუსულ ვარიანტში გვხვდება ფრჩხილების გარეშე - в дальнейшем Продавец. შეცდომები გამოწვეულია საქმიანი საბუთის შედგენის უნარ-ჩვევების და წესის გაუთვალისწინებლობით.
- 3) ვფიქრობთ მექანიკური შეცდომაა დაშვებული, როცა ტერმინ „მყიდველ“-ს რუსულ ტექსტში შეუსაბამეს „Продавец“, ნაცვლად რუსულ ენაში არსებული შესატყვისისა „Покупатель“.
- 4) მემორანდუმებში, ხელშეკრულებებში, არ არის მიღებული მიმართვის ფორმის დაფიქსირება - ბატონი, ქალბატონი. ვფიქრობთ აქაც შეცდომაა დაშვებული.
- 5) ტერმინი - მემორანდუმი ურთიერთ განზრახულობის შესახებ (ეს ტერმინი ქართულ ენაში არ იძებნება), შეიძლება ალბათ შეცვლილიყო ტერმინით - ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი. სიტყვა - ურთიერთ წარმოადგენს რთული სიტყვის ნაწილს, ამდენად აქ ამ სიტყვის მართლწერაც დარღვეულია.

ეს კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ქართულ ვარიანტში დაშვებულმა შეცდომებმა, შესაბამისად გამოიწვია შეცდომები თარგმანში. სწორი და ადეკვატური თარგმანის მიღწევის უმთავრესი წინაპირობა გამართული დედნის არსებობაა. საქმიანი საბუთების თარგმნისას, მიმღები ენის ფლობასთან ერთად, ასევე აუცილებელია საქმიანი დოკუმენტაციის თავისებურებების და მათი შედგენის უნარ-ჩვევების ცოდნა.

გლობალიზაციის შედეგად ჩვენს საბუთებში შემოდის და ადგილს იმკვიდრებს უცხოური ტერმინები, რომელთა ჩანაცვლება ქართული შესატყვისით თავისუფლად შეიძლება. ესენია: კვოტა - დასაშვები რაოდენობა; პრეისკურანტი - ფასების ნუსხა; ტრენინგი - წვრთნა; ივენთი - ღონისძიება; ვორქშოპი - სამუშაო შეხვედრა; ინვოისი - აღრიცხვა-ანგარიშგება; HR, ეიჩარი - ადამიანური რესურსი; რელევანტური - შესაბამისი; დედლაინი - ბოლო ვადა; გაიდლაინი - მითითება, რეკომენდაცია; აპლიკანტი - განმცხადებელი; აპლიკაცია - განაცხადი; დაკოპირება - ასლის

გადაღება; ასპირანტი - მაძიებელი; აფილირებული - დაკავშირებული; კრეატიული - შემოქმედებითი; ვერბალური - სიტყვიერი, ზეპირი; ბორდი - საბჭო; ლეგიტიმური - კანონიერი; ვალიდური - სარწმუნო, კანონიერი ძალის მქონე; კოგნიტური - შემეცნებითი; ბენდი - მუსიკალური ჯგუფი; კოფებრეიკი - შესვენება და სხვა... (ბარბარიზმების ლექსიკონი) <https://barbarisms.ge/browse/?pn=31> .

ემპირიული მასალის შესწავლის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ გვხვდება შემთხვევები, როცა ტერმინმა, სიტყვათშემოკლებამ ან/და აბრევიატურამ სამიზნე ენაში წესების გაუთვალისწინებლად და გვერდის ავლით დაიმკვიდრა ადგილი და ზოგიც კიდევ ისე შეერწყა ქართულ ენას, რომ ქართული წარმომავლობის ტერმინები გვგონია და ამ სიტყვების წარმომავლობას, შეთვისების პერიოდს, მხოლოდ სპეციალისტები თუ განსაზღვრავენ. უცხო სიტყვები ერწყმიან მსესხებელი ენის ლექსიკას და ამდიდრებენ მას.

დღეს ქაოსურად ხდება ინგლისურენოვანი ტერმინების შემოჭრა, თითქმის ყველა დარგში. ხშირ შემთხვევაში მასმედიის საშუალებით ვეცნობით ახალ ტერმინებს. ძალიან ბევრი სიტყვა და ტერმინია (ნეოლოგიზმები) შემოსული სტიქიურად და ყოველგვარი წესის დარღვევით და უგულვებელყოფით, რომლებმაც უკვე დაიმკვიდრეს თავისი ადგილი საქმისწარმოებაში და არამარტო აქ. საქმისწარმოების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი და პირობა, ხომ სწორედ ტერმინებისა და მათი შესაბამისი თარგმანის ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოყენებაში მდგომარეობს. ერთი ტიპის საქმიანი საბუთების თარგმნისათვის უცხო უნდა იყოს განსხვავებები და სხვადასხვა ვარიაციები, რომლებიც დღეს უკვე ასე უხვად გვხვდება ჩვენს პრაქტიკაში.

ოფიციალურ-საქმიან დისკურსში დედანი-საბუთების ტერმინების თარგმნა დახვეწას მოითხოვს. თარგმნისას გამოყენებული უნდა იყოს ტერმინების საყოველთაოდ აღიარებული, დამკვიდრებული, შესაბამისი შესატყვისები. სირთულეს წარმოადგენს ტერმინების გადმოტანა, თუ რა თქმა უნდა საერთაშორისოდ აღიარებულ ან/და შეთანხმებულ ტერმინებთან ან კიდევ ასევე საყოველთაოდ აღიარებულ ლათინური წარმოშობის სიტყვებთან არ გვაქვს საქმე. მიღებული ფორმაა მიმღებ ენაში ლათინური წარმოშობის სიტყვების, ლათინურივე

დასახელებებით ჩანაცვლება. ასეთის არ არსებობის შემთხვევებში (ნეოლოგიზმები), დასაშვებია ტერმინების თარგმნისას განმარტებების გამოყენება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინების, სიტყვათშემოკლებებისა და აბრევიატურის თარგმნისას ხშირად მივმართავთ კალკირებას, ტრანსკრიფციას ან/და ტრანსლიტერაციას. ზოგჯერ წაშლილია ზღვარი ტრანსკრიფციასა და ტრანსლიტერაციას შორის და აქედან გამომდინარე, გვიჭირს იმისი თქმა, თუ რომელ ხერხთან გვაქვს საქმე მათი თარგმნისას. შეიძლება გამოყენებულ იქნას შერეული მეთოდიც: ტრანსკრიფცია + თარგმანი. არის შემთხვევები, როცა სიტყვის თარგმანი არ ექვემდებარება დადგენლ წესს და ის დროთა განმავლობაში უკვე ტრადიციულად დაფიქსირებული ფორმით გამოიყენება დღესაც.

ლექსიკა მდიდრდება ენაში უკვე არსებული სიტყვებისაგან ახალი სიტყვების წარმოქმნის, ანდა სხვა ენიდან სიტყვების და ტერმინების სესხების გზით. სესხებას ზეპირსიტყვიერებაში სტიქიური ხასიათი მიეცა და ხშირ შემთხვევაში ანაგვიანებენ ენას. სალიტერატურო ენაში, სესხების მიმართ სხვა დამოკიდებულება არსებობს და ეს პროცესი კონტროლირებადი უნდა იყოს.

3.4 დოკუმენტბრუნვის უნიფიცირება და ნათარგმნი დოკუმენტების ფუნქციონირების პრობლემები პოლიკულტურულ სამყაროში

სახელმწიფოების ჩამოყალიბების, ადამიანებს შორის და ადამიანებსა და სახელმწიფოს შორის სხვადასხვა ურთიერთობათა რეგლამენტირებამ, ნორმების დადგენამ და ფიქსაციის აუცილებლობამ დამწერლობის გამოგონებას შეუწყო ხელი.

სავარაუდოდ, ოფიციალური დოკუმენტებიც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების საფუძველზე უნდა გაჩენილიყო. დამწერლობის და დოკუმენტების შექმნას საფუძვლად ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა დადებოდა: პირველი, ადამიანის მისწრაფება უკვდავეყო თავისი არსებობა და მეორე, სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად კერძო საკუთრების გაჩენა, რამაც მოითხოვა სამართლებრივი აქტების შექმნის აუცილებლობა (ნერგაძე, 2016:6).

ოფიციალურ დოკუმენტებს განეკუთვნებიან სამართლებრივი აქტები. ოფიციალური დოკუმენტების საკმაოდ საინტერესო განმარტებას გვაძლევენ კუზნეცოვი, ლიხაჩოვი და სხვ. „ეს არის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიერ შექმნილი დოკუმენტი, რომელიც გაფორმებული და დამოწმებულია წესისამებრ. ის ადამიანის მიერ დროში და სივრცეში გადასაცემად შექმნილი ინფორმაციის შემცველი მატერიალური ობიექტია, რომელიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი: წერილობითი, გრაფიკული, ხმოვანი, ფოტოსურათის და ნახატის სახით. ინფორმაციის დაფიქსირება უზრუნველყოფს მის შენახვასა და შეგროვებას, სხვა პირზე გადაცემას, მრავალჯერად გამოყენებას, დროთა განმავლობაში ინფორმაციასთან დაბრუნებას. დოკუმენტის საშუალებით მოვლენის დარეგისტრირება ასრულებს აღწერის ფუნქციას, წარმოადგენს რისამე დამტკიცების საშუალებას. ის მრავალფუნქციურია. დოკუმენტში დაფიქსირებული ინფორმაცია წარმოადგენს არა მარტო გადაწყვეტილების მიღების, არამედ მისი აღსრულების საფუძველსაც, ანალიზის და განზოგადების წყაროს, საცნობარო-საძიებო მასალას. აქედან გამომდინარე დოკუმენტი მმართველობით საქმიანობაში წარმოადგენს შრომის - საგანსაც და შედეგსაც“ (Т.В.Кузнецова, М.Т.Лихачов, А.А.Райхцаум, А.В.Соколов, 1991:5).

საქმიანი დოკუმენტები ძალიან დიდ როლს თამაშობენ ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში. ადამიანებს ცხოვრების მანძილზე პერიოდულად, სხვადასხვა სიხშირით უხდებათ საქმიან ურთიერთობებში შესვლა და ამავე სიხშირით პრაქტიკულად ყოველთვის ესაჭიროებათ რაიმე სახის დოკუმენტი. ადამიანის ამ ქვეყნად მოვლინებაც (დაბადების მოწმობა) და გასვლაც (გარდაცვალების მოწმობა) საქმიან დოკუმენტთანაა დაკავშირებული.

დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ვცდილობთ ევროკავშირში გაწევრიანებას, ხოლო ევროპის მასშტაბით მიმდინარეობს დოკუმენტების ერთიანი უნიფიცირებული დოკუმენტების შექმნა და ერთიან სისტემაში ჩართვა, საქართველოც მიისწრაფის არ ჩამორჩეს დროის მოთხოვნებს და ფეხი აუწყოს ცვლილებებს.

60-იანი წლების ბოლოსათვის დრომ მოითხოვა დოკუმენტების სტანდარტიზაციისა და უნიფიცირების გამკაცრება. ერთიანი წესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, შემუშავდა დოკუმენტების უნიფიცირებული სისტემები, რომლებიც შეიცავდნენ განსაზღვრულ სფეროში საქმიანობასთან დაკავშირებით აუცილებელ ინფორმაციას. ერთნაირი ფუნქციონალური მნიშვნელობისა (დატვირთვის), გავრცელების სფეროსა და არეალის (სახელმწიფო, სამრეწველო, საუწყებო,) მრავალი დოკუმენტისათვის შეიქმნა ერთიანი ფორმულარ-ნიმუში.

საქმიანი ენის სტანდარტიზაცია და უნიფიცირება გამოიხატება უკვე არსებული და დამკვიდრებული ტრაფარეტების, მყარი სამეტყველო ფორმულების, კანცელარიზმების (შტამპების, შაბლონების, სტანდარტული სინტაქსური მოდელების და ა.შ.) ფართო და ხშირ გამოყენებაში, რაც კიდევ უფრო ამარტივებს და აიოლებს ტიპური საქმიანი ქაღალდების შედგენისა და აზრის გადმოცემის პროცესს. ეს არის სისტემა, რომელსაც გააჩნია თავისი ფორმულარ-ნიმუშები, რომლის შევსება დროის მცირე მონაკვეთშია შესაძლებელი და მხოლოდ ინდივიდუალური მონაცემების შეტანას მოითხოვს.

დღეისათვის სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნები არეგულირებენ უნიფიცირებული დოკუმენტების გაფორმების წესებს და ამ დოკუმენტებისათვის სავალდებულო რეკვიზიტების დადგენის პროცესს. (საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 76:2009, დამტკიცებული საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 22 სექტემბრის N39 „ს“ განკარგულება).

„საქმისწარმოების ერთიანი წესების“ დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულებაში, განმარტებულია, თუ რას შეიცავს დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემები:

„ა) სახელმწიფო სტანდარტებს, რომლებიც ადგენს სამუშაოების შემადგენლობასა და შინაარსს სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების დოკუმენტების ფორმების უნიფიკაციის მიხედვით და რომლებიც გამოიყენება მართვის ყველა დონეზე, უზრუნველყოფენ ქვეყანაში ამ სამუშაოების შესრულების ერთიან წესს;

ბ) ნორმატიულ დოკუმენტებს, რომლებიც გამოიცემა კონკრეტული ფუნქციური დანიშნულების დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემების შემმუშავებლების მიერ და რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა დაწესებულებისათვის;

გ) დოკუმენტების უნიფიცირებულ ფორმებს“(1999:4).

დოკუმენტირება იწყება სიტუაციის და დაწესებულების კომპეტენციის შესაბამისად დოკუმენტის სახეობის არჩევით. საბუთის სახეობა განსაზღვრავს დოკუმენტის შინაარსისა და ფორმის მოთხოვნებს. ეს პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად დოკუმენტალურ ოპერაციას: ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, გადაწყვეტილების მომზადებას, გადაწყვეტილების მიღება-დოკუმენტირებას, გადაწყვეტილების შემსრულებლისათვის მიწოდებას, გადაწყვეტილების შესრულებას, შესრულების კონტროლს, ინფორმაციის შეგროვებას შესრულებასთან დაკავშირებით, ინფორმაციის შენახვა-მოძიებას. ყველა ამ პროცესთაგანი დოკუმენტალურად რეალიზდება, როგორც ჩვეულებრივ ტრადიციული შესრულებით, ასევე მანქანური დოკუმენტის სახით. დოკუმენტების რეგულირების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენენ დოკუმენტების სახელმწიფო სტანდარტები, კლასიფიკატორები და დოკუმენტების უნიფიცირებული სისტემები.

დაწესებულებები საქმიანობას ახორციელებენ ერთმანეთთან დაკავშირებული მმართველობითი დოკუმენტების უნიფიცირებული სისტემით. მათი შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების კომპეტენციითა და ფუნქციებით. თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით იყოფიან შემდეგ ჯგუფებად:

- 1) მითითებითი (კანონი, ბრძანებულება, დადგენილება, კანონქვემდებარე აქტები და სხვ.);
- 2) საინფორმაციო-ინსტრუქციული (მეთოდური მითითებები, ზემდგომი ორგანოების ინსტრუქციები და სხვ.);
- 3) საორგანიზაციო (წესდება, დებულება, ინსტრუქცია, წესი. რეგლამენტი. საშტატო განრიგი და სხვ.);
- 4) განკარგულებითი (ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, მითითება და სხვ.);

- 5) საინფორმაციო-საცნობარო (მოხსენებითი და ახსნა-განმარტებითი ბარათები, ცნობები, წერილები და სხვ.);
- 6) პირადი შემადგენლობის ან საკადრო (ბრძანებები დანიშვნა, გადაყვანა, გათავისუფლების თაობაზე, განცხადებები, დახასიათება, შრომის წიგნაკები, პირადი საქმეები და სხვ.);
- 7) საფინანსო-ბუღალტრული (ბალანსი, სხვადასხვა აქტები, ბიზნესგეგმები, უწყისები, გადახდის ქვითრები და სხვ.) (Сологун, 2012:49).

მითითებითი დოკუმენტები იქმნება სპეციალურად მომზადებულ ადამიანთა ჯგუფების მიერ. ორგანიზაციებში და დაწესებულებებში ძირითადად გავრცელებულია საორგანიზაციო, განკარგულებითი, საინფორმაციო-საცნობარო, საფინანსო-ბუღალტრული და საკადრო დოკუმენტები, რომელთა შედგენა-გაფორმება-დამუშავებას, მითითებითი დოკუმენტებისაგან განსხვავებით, ხშირად მმართველობითი აპარატის მრავალი რიგითი თანამშრომელი-მუშაკი აწარმოებს. მიუხედავად უნიფიცირებული დოკუმენტების შედგენის ერთიანი წესების და სისტემის არსებობისა, მაინც გვხვდება ამ წესების უგულებელყოფა და თვითშემოქმედება, რაც აისახება კიდევ დოკუმენტის შედგენაზე. კერძოდ ის, რომ სხვადასხვა პერიოდში გაფორმებულ დოკუმენტებს განასხვავებს უწყებების დოკუმენტებთან მომუშავე პერსონალის მიერ გარკვეულწილად სუბიექტური შეხედულებისამებრ არჩეული ხერხების გამოყენება.

ჩვენს საქმისწარმოებაში დიდი ხვედრითი წილი მოდის საორგანიზაციო, განკარგულებით და საკადრო დოკუმენტებზე.

საორგანიზაციო დოკუმენტები ისეთი დოკუმენტებია, რომლებიც აწესრიგებენ ორგანიზაციის შექმნისა და მუშაობის, კოლექტივის საქმიანობის საკითხებს. ისინი გამოირჩევიან მოქმედების ხანგრძლივი ვადით. მათი ხელახალი გადახედვა და შეცვლა ხდება მხოლოდ რეორგანიზაციის შემთხვევაში.

განკარგულებითი დოკუმენტები უზრუნველყოფენ ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობისას წარმოქმნილი და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზებას.

საკადრო (პირადი შემადგენლობის) დოკუმენტები ეს არის დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ პირად ინფორმაციას დასაქმებულის შესახებ დანიშნიდან (გადაყვანა, დაწინაურება, ხელშეკრულების საფუძველზე დამატებითი სამუშაოს შესრულება, მადლობისა და სასჯელის გამოცხადება, მივლინება, შვებულება და სხვ.) გათავისუფლებამდე პერიოდში.

ყოველი დოკუმენტი შედგება თავისი შემადგენელი ელემენტებისაგან, რომლებსაც რეკვიზიტები ეწოდება. ისინი ნებისმიერი დოკუმენტის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენენ და საბუთის კანონიერებაზე მიუთითებენ. გარკვეული დოკუმენტისათვის დამახასიათებელ ფორმულარს ტიპური ფორმულარი ეწოდება. დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემის შედგენისას მუშავდება და იქმნება ნიმუში-ფორმულარი ერთიანი უნიფიცირებული დოკუმენტების მოდელი, რომელიც უნდა შეიცავდეს კონკრეტული საბუთისათვის აუცილებელ ყველა რეკვიზიტს. დოკუმენტების უნიფიცირება ეს არის მათი, ანუ საბუთების, ერთგვაროვან შემადგენლობაში და ფორმაში მოქცევა. მისი მიზანია დოკუმენტების სახეობების, ფორმების და მათი შედგენისათვის განსაზღვრული დროის შემცირება, არეალის განსაზღვრა, რომლებიც კონკრეტული ფუნქციების განხორციელებას ემსახურებიან. დღევანდელი ტემპებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, იქმნება დოკუმენტების შაბლონი ფორმულიარები, რომლებშიც მხოლოდ ინდივიდუალური მონაცემები შეიტანება. როგორც კაზანცევი აღნიშნავს თავის ნაშრომში: „ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტი არ „იწერება“, ის იქმნება უკვე არსებული, მზა სიტყვებისა და სტერეოტიპული შესიტყვებებისაგან“ (Казанцев, 2002:19)

საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ, 2009 წლის 22 სექტემბერს, დაამტკიცა საქართველოს ეროვნული არქივის მიერ შედგენილი ქართული საბუთების რეკვიზიტები:

- 01- საქართველოს სახელმწიფო გერბი;
- 02 -ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი;
- 03 -ორგანიზაციის ემბლემა ან სასაქონლო ნიშანი (მომსახურების ნიშანი);
- 04- ორგანიზაციის კოდი;
- 05 -ორგანიზაციის დასახელება;

- 06- საცნობარო მონაცემები ორგანიზაციის შესახებ;
- 07- დოკუმენტის სახეობის დასახელება;
- 08- დოკუმენტის თარიღი;
- 09- დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი;
- 10- მითითება დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერსა და თარიღზე;
- 11-დოკუმენტის შედგენის ან გამოცემის ადგილი;
- 12- ადრესატი;
- 13- დოკუმენტის დამტკიცების გრიფი;
- 14- რეზოლუცია;
- 15-ტექსტის სათაური;
- 16- აღნიშვნა კონტროლის შესახებ;
- 17- დოკუმენტის ტექსტი;
- 18- აღნიშვნა დანართის არსებობის შესახებ;
- 19-ხელმოწერა;
- 20- დოკუმენტის შეთანხმების გრიფი;
- 21- დოკუმენტის შეთანხმების ვიზები;
- 22- ბეჭდის ანაბეჭდი;
- 23- აღნიშვნა ასლის დამოწმების შესახებ;
- 24- აღნიშვნა შემსრულებლის შესახებ;
- 25- აღნიშვნა დოკუმენტის შესრულებისა და მისი საქმეში მოთავსების შესახებ;
- 26- აღნიშვნა დოკუმენტის ორგანიზაციაში შემოსვლის შესახებ;
- 27- დოკუმენტის ელექტრონული ასლის იდენტიფიკატორი.

(საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 76:2009).

ზემოთ ჩამოთვლილ რეკვიზიტებს უკანასკნელ პერიოდში დაემატა კიდევ ერთი - დოკუმენტის ვალიდურობის (კანონიერი ძალის აღნიშვნის) და უტყუარობის დამადასტურებელი ელექტრონული კვალიფიციური შტამპი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას დოკუმენტის შექმნასთან და ხელმოწერ პირთან დაკავშირებით. ციფრული ხელმოწერის და კვალიფიციური შტამპის დასმის შემდეგ თითქმის შეუძლებელია დოკუმენტში დამატების ან ცვლილების შეტანა და მინიმუმამდეა

დაყვანილი საბუთის გაყალბების შესაძლებლობა. კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას მატერიალური ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ეს პროექტი ევროკავშირის დაფინანსებით, ხელშეწყობით და ეგიდით ხორციელდება.

 <p>საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY</p>	 <p>საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY</p>
 MES 8 18 01658622	 MES 8 19 00025183
26/12/2018 დადასტურება	14/01/2019 დადასტურება
<p>გაცნობებით, რომ გულამ გაოუხე მიაპამედს (პ/ნ J8956327) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, 2018 წლის 25 დეკემბრის 01-09/821 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა სტუდენტის სტატუსი.</p> <p>გულამ გაოუხე მიაპამედი რეგისტრირებულია დიალომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე.</p> <p>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი რექტორი ხალვაში მერაბი</p>	<p>გაცნობებით, რომ პრექტამ მირზა ზეენან ალი ზაიგ (პ/ნ R 1578920) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, 2018 წლის 18 დეკემბრის 01-09/814 ბრძანების საფუძველზე მიენიჭა სტუდენტის სტატუსი.</p> <p>მირზა ზეენან ალი ზაიგ რეგისტრირებულია დიალომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე.</p> <p>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები / სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი რექტორი ხალვაში მერაბი</p>
	
საქართველო, ბათუმი 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 ტელ/ფაქსი: (+995 422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge	საქართველო, ბათუმი 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 ტელ/ფაქსი: (+995 422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2007 წელს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა შექმნა, რომლის მთავარ ამოცანას ქალაქის დოკუმენტების, ელექტრონული ჩანაცვლება და ზოგადად, საქმისწარმოების პროცესის გაუმჯობესება წარმოადგენდა.


2018 წლის 1 სექტემბრიდან სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის აუცილებელ და სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა, დოკუმენტებზე კვალიფიციური შტამპისა და ელექტრონული ხელმოწერის არსებობა. პროგრამის ამოქმედების შემდეგ, უწყებებში ყველა სახის კორესპონდენცია, მათ შორის მოქალაქეთა განცხადებები, მიმოწერა, ბრძანებები, ელექტრონულად იგზავნება, რაც ადრესატამდე დოკუმენტების ოპერატიულად მიწოდებას, მათ დამუშავებას, რეაგირებასა და კონტროლს მნიშვნელოვნად ამარტივებს და რაც მთავარია, მთელი ეს პროცესი დროის მცირე მონაკვეთშია შესაძლებელი. გარდა ამისა, მოქალაქეებს

შესაძლებლობა ეძლევათ ელექტრონული საქმისწარმოების მეშვეობით, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად ჩაერთონ ამ სისტემაში, ელექტრონულად გადააგზავნონ ან/და მიიღონ ინფორმაცია მათთვის საჭირო საკითხებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით, კონკრეტულ ქალაქსა თუ რაიონში ჩაუსვლელად.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ და ევროპისაკენ სწრაფვამ, ენობრივი პოლიტიკის ცვლილება მოიტანა. გაიზარდა პოლიტიკური, კულტურული ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბები. ამან კიდევ თავისთავად საქმიანი კონტაქტების გაღრმავება და კომუნიკაციის დასამყარებლად ენების ცოდნა მოითხოვა. მოიმატა საქმიანი დოკუმენტების რიცხვმაც, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ან ითარგმნება, ან კიდევ პირდაპირ უცხო ენებზე იქმნება.

ჩვენ ვაანალიზებთ ნათარგმნი დოკუმენტების ტექსტების ფუნქციონირების პრობლემებს პოლიკულტურულ სამყაროში. უნიფიცირებას მოითხოვს თანამედროვე ინტენსიური კულტურათშორისი კომუნიკაცია, გლობალიზაციის პირობები. უნიფიცირება კი ნიშნავს ფორმის მოყვანას ერთ სისტემაში, სადაც თარგმნის პრინციპი, მიდგომა და წესიც უნდა იყოს მსგავსი და ერთნაირი.

დღეს უკვე საკმაოდ მრავალ ენაზე შესრულებული დოკუმენტები გვხვდება. ამ ფონზე აქტიურად დაიწყო უცხოური ენების შესწავლა. რუსული ენა ძირითადად ინგლისურმა ჩაანაცვლა, რომელმაც პრივილეგირებული პოზიცია დაიმკვიდრა ჩვენს რეალობაში. გვხვდება, როგორც ორენოვანი - ქართულ-ინგლისური დოკუმენტები, ასევე სამენოვანი დოკუმენტებიც - ქართულ-რუსულ-ინგლისური. ვფიქრობთ, რომ ტრადიციისამებრ, რუსული ენა იმ მცირე სეგმენტს ემსახურება, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდნენ თხუთმეტი მოძმე რესპუბლიკის სახით. მათთვის ტრადიციულად რუსული ენა ერთა შორის ენად იყო აღიარებული და ასე რჩება დღემდე.



უნიფიცირებული დოკუმენტების თარგმნისას ლინგვისტური განსხვავებების გარდა გასათვალისწინებელია კულტურული განსხვავებებიც, რაც გამოიხატება თარიღის, მისამართის, აზრის, მიმართვის, სახელის და გვარის გაფორმებაში კი. თარგმანი ხომ ტექსტის არამართო ერთი ენიდან მეორეზე გადაფორმებაა, არამედ კულტურათა შეხვედრაც არის. ინგლისურ ენაში დამკვიდრებულია სახელისა და გვარის მკაცრად ფიქსირებული რიგი: ჯერ სახელი, შემდეგ გვარი, ჩინურ ენაში - ჯერ გვარი, შემდეგ სახელი (ტერ-მინასოვა, 2017:91-97). რუსულ დოკუმენტებში ეს რიგი წლების მანძილზე მკაცრად იყო განსაზღვრული, სიტყვათშეთანხმება *ფ.ი.ო.* ამის დასტურია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენისათვის ნიშანდობლივია ჯერ სახელის, შემდეგ კი გვარის დაფიქსირება, რუსული კულტურის გავლენით ქართულშიც ჯერ გვარი იწერებოდა საბუთებში, შემდეგ სახელი. რუსულის გავლენა დღემდე შეინიშნება ქართულ საბუთებში. განსხვავება გვაქვს თარიღის აღნიშვნისას. ინგლისურ დოკუმენტებში მიღებული რიგია: თვე, რიცხვი, წელი; ქართულ და რუსულ საბუთებში კი - რიცხვი, თვე და წელი. საფოსტო კონვერტზეც ადრესატის გაფორმებისას განსხვავებებს ვაწყდებით. ამ განსხვავებების გათვალისწინებით უკვე ევროპული ტრადიციით ფორმდება აღნიშნული რეკვიზიტები.

დასკვნა

XXI საუკუნეში, თანამედროვე, მზარდი და ინტენსიური ინფორმაციული ურთიერთობის პირობებში, საერთო გლობალურმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სამეცნიერო და კულტურულმა ცვლილებებმა, საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობაში გაწევრიანებამ, უნიფიცირებული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების ფუნქციონირების პრობლემას და თარგმნას განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ოფიციალური საქმიანი სტილისათვის დამახასიათებელი ნიშნები ძველი დროიდანვე გვხვდება, რაც ზოგადად სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების და ქვეყნებს შორის ურთიერთობის დამყარების პროცესებს უკავშირდება. ამ პროცესების ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სხვადასხვა ენებზე მოსაუბრე ხალხებს შორის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლამ, საქმიანმა, სავაჭრო, კულტურულმა და საერთაშორისო კავშირებმა მოითხოვა სხვათა ენის ათვისება და მოიტანა სათარგმნი ტექსტების რაოდენობის გაზრდა.

დღეს უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენაზე და ინგლისური ენიდან თარგმანს, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალურია ჩვენ საქმისწარმოებაში ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების თარგმნის პრობლემები. როგორც ვიცით, საქართველოს რუსეთთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების პერიოდი აკავშირებდა. დოკუმენტებიც უმეტეს წილად რუსულ ენაზე იქმნებოდა. ჩვენი მოსახლეობის სოციალური აქტივობები: დანიშვნა, გათავისუფლება, გადაყვანა, სხვადასხვა ცნობები და მიღწევების დამადასტურებელი საბუთების უმრავლესობაც რუსულ ენაზეა შედგენილი. ამ დოკუმენტებში ასახულია ჩვენი ქვეყნის და ხალხის ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას ორიენტაცია აღებული აქვს ქართულ-ინგლისურ და ინგლისურ-ქართულ თარგმანზე, მიუხედავად პოლიტიკური სიტუაციისა, ცხოვრებისეული მოთხოვნებიდან გამომდინარე, მაინც დგას დღის წესრიგში რუსული ენიდან თარგმნის საკითხი. დღესაც ვსაჭიროებთ სხვადასხვა რუსულენოვანი დოკუმენტის

ქართულ ენაზე და პირიქით, ქართულენოვანის - რუსულ ენაზე თარგმანს. იქიდან გამომდინარე, რომ ნაკლები ყურადღება ენიჭება რუსული ენის სწავლებასა და თარგმანს, შედეგად არ დააყოვნა და ვღებულობთ უხარისხოდ ნათარგმნ საბუთებს. სწორედ, ქართულ ენაზე მათი ადეკვატური, ეკვივალენტური და ავთენტური თარგმანის საჭიროებამ განსაზღვრა მოცემული საკითხის შესწავლა.

ოფიციალურ-საქმიანი საბუთების თარგმნის ანალიზმა ცხადყო, რომ საქმიანი საბუთები მთარგმნელობით სფეროში თარგმნის თვალსაზრისით წარმოადგენენ განსაკუთრებულ დისკურსს, ვინაიდან მთარგმნელობითი ზოგადი პრობლემების გარდა, აქ თავს იჩენს ამ დისკურსისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებები, როგორც თავისებური ტერმინოლოგია, კლიშირებული კონსტრუქციები/კანცელარიზმები. ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების თარგმანის განსაკუთრებული მოთხოვნაა ფორმისა და შინაარსის შენარჩუნება, მკაცრი წესების დაცვა და მზა, სტანდარტული ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება. მთარგმნელი უნდა იცნობდეს საქმიანი დოკუმენტის თავისებურებებს და ფლობდეს საქმიანი საბუთების შედგენის უნარ-ჩვევებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტებისათვის დამახასიათებელია ენობრივი და ლექსიკური სიმშრალე, ერთფეროვნება, სტანდარტულობა, მყარი სიტყვათშეთანხმებების, კანცელარიზმების გამოყენება, ვთვლით რომ, მაინც საკმაოდ საინტერესოდ შეიძლება ჩაითვალოს ჩვენ მიერ შესწავლილი საბუთები, რომლებიც ბსუ-ს კანცელარიაში, არქივში და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურშია დაცული და 1947 წლიდან დღემდე პერიოდის დოკუმენტებს მოიცავენ. ისინი ეპოქის და ლიტერატურული ენის მემატიაწეობად გვევლინებიან. ამ დოკუმენტებში ასახულია: საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოს პერიოდები. დამოუკიდებელი საქართველოს საქმისწარმოებაში ენისა და ფორმის გამოყენების მიხედვით, შეგვიძლია დამატებით, გამოვყოთ ორი ეტაპი: პირველი, საკმაოდ მოკლევადიანი აღმოჩნდა, მოიცავს 1994-1998 წლებს და ხასიათდება მხოლოდ ქართულ ენაზე შედგენილი საბუთებით (დიპლომი, ატესტატი და სხვ.). მეორე კი 1999 წლიდან დღემდე გრძელდება, ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია ქართულ-ინგლისურ ენაზე შედგენილი საბუთები (დიპლომი, ატესტატი და სხვ.).

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტის წამყვანი ნიშანი, კანცელარიზმების - კლიშეს, შტამპის, ტერმინოლოგიის, აბრევიატურის არსებობაა. მათ კონსერვატულობა და რთული სინტაქსი ახასიათებთ, რომლებიც ორიენტირებულია ფორმულირების სიზუსტეზე და ერთმნიშვნელობიანობაზე. საქმიან მეტყველებაში მათთვის დამახასიათებელია სტანდარტიზაციის მაღალი დონე, რაც შემთხვევითი არ არის. საქმიანი ურთიერთობები ტიპურ სიტუაციაში ვითარდება, სადაც ტერმინისა და კანცელარიზმის არსებობა არამარტო გამართლებული, არამედ აუცილებელიცაა. ისინი გამოიყენებიან პირდაპირი და ზუსტი მნიშვნელობით, რათა გამორიცხულ იქნას აზრის ორმაგი გაგება. ადამიანები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება უწევთ, არ უნდა იხარჯებოდნენ და არ უნდა კარგავდნენ დროს ამა თუ იმ აზრის ფორმულირების, მყარი შესატყვისების, სპეციალური კანცელარიული ტერმინების და სქემების ძებნის გამო. სამწუხაროდ, ჯერაც არ არის სრულად შესწავლილი და დღესაც მიმდინარეობს კვლევები ქართული ოფიციალურ-საქმიანი სტილისა და საქმიანი მეტყველებისათვის დამახასიათებელი კანცელარიზმების, მათი გამოყენებისა და თარგმნის ხერხების სრულფასოვანი შესწავლის მიზნით. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევაც სწორედ ამ თემას ეხება, კერძოდ, ოფიციალურ-საქმიანი საბუთების ლექსიკის, კანცელარიზმების გამოკვლევასა და მათი გადმოცემის ხერხების შესწავლას (განსხვავებები, თავისებურებები).

კანცელარიზმების თარგმნისას ვხელმძღვანელობთ და ვიყენებთ მათ მზა, მყარ შესატყვისებს, ერთმნიშვნელობიან ეკვივალენტებს, კალკას და ტრანსფორმაციებს, რომლებიც დამკვიდრებული და ფიქსირებულია სამიზნე ენაში. კანცელარიზმების თარგმნისას მთარგმნელმა, თავისი სურვილისამებრ, არ უნდა შეცვალოს მათი სამიზნე ენაში უკვე დამკვიდრებული ეკვივალენტი. ეკვივალენტობის მიღწევა დამოკიდებულია მთარგმნელის ფონურ ცოდნაზეც, იმაზე თუ რამდენად ფლობს ის მოცემული სიტუაციისათვის მიღებულ ფიქსირებულ კანცელარიზმს მიმღებ ენაში. თუკი ორი ენის იდენტური ტრაფარეტის სემანტიკური ინფორმაცია არ ემთხვევა ერთმანეთს, ეკვივალენტობა მიიღწევა არა ენობრივი მნიშვნელობის (გრამატიკული, ლექსიკური) არამედ აზრის დონეზე. ამ ენობრივი საშუალებების სრულყოფა და

სიმყარე, გამოყოფს მათ ტექსტიდან, როგორც ერთეულებს, რომლებიც ეკვივალენტობის მიღწევისას ყოველ ჯერზე განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ:

- 1) უნდა განისაზღვროს სიტუაცია, რომელთანაც დაკავშირებულია ფიქსირებული კანცელარიზმი (კლიმე, შტამპი, შაბლონი), რათა დავრწმუნდეთ ნამდვილად კანცელარიზმთან გვაქვს საქმე, თუ ჩვეულებრივ სიტყვათშეთანხმებასთან.
- 2) მოძიებულ უნდა იქნეს უცხოენოვანი ეკვივალენტის შესატყვისები, რომლებიც დაკავშირებულია თარგმნის ენაში ანალოგიურ სიტუაციასთან.

საქმიანი საბუთების კანცელარიზმების თარგმნისას უნდა შენარჩუნდეს ინფორმაციის გადმოცემისა და გაგებისათვის აუცილებელი ელემენტები: სინტაქსური კონსტრუქცია, რომელიც ინარჩუნებს საქმიანი დოკუმენტის მოთხოვნებს. ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში მოძიებული აბრევიატურები და სიტყვათშემოკლებები, ძირითადად რუსული აბრევიატურებისა და სიტყვათშემოკლებების კალკას წარმოადგენს. გვხვდება მათი გაშიფრული, სრულად გადმოცემის ვარიანტები. აბრევიატურების თარგმნისას მიმღებ ენაში მათი აღიარებული შესატყვისების არ არსებობისას, საჭიროა მიმღებ ენაში მათი სრული გაშლა და შემოკლებული სიტყვის მნიშვნელობის განმარტება, რაც საკმაოდ შრომატევადია და სირთულეებთანაა დაკავშირებული. განსაკუთრებით მაშინ, როცა არც ერთ ლექსიკონში არ ფიქსირდება მათი მნიშვნელობა. სიტყვათშემოკლებებისა და აბრევიატურის თარგმნისას ხშირად მივმართავთ კალკირებას, ტრანსკრიფციას ან/და ტრანსლიტერაციას.

ოფიციალურ-საქმიანი საბუთების წყარო ენის ტერმინოლოგია უნდა შეიცვალოს და ითარგმნოს სამიზნე ენაში ოფიციალურად, საყოველთაოდ აღიარებული, დამტკიცებული ტერმინოლოგიის შესაბამისი შესატყვისით. ნეოლოგიზმების შემთხვევაში დასაშვებია, განმარტებები. რთულია ტერმინების გადმოტანა, თუ რა თქმა უნდა, საერთაშორისოდ აღიარებულ ან/და შეთანხმებულ ტერმინებთან ან კიდევ ასევე საყოველთაოდ აღიარებულ ლათინური წარმოშობის სიტყვებთან არ გვაქვს საქმე. მიღებულია ლათინური წარმოშობის სიტყვების მიმღებ ენაში, ლათინური დასახელებით ჩანაცვლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინების

თარგმნისას ხშირად მივმართავთ სხვადასხვა მთარგმნელობით გრამატიკულ ტრანსფორმაციებს.

საქმიანი ტექსტები და ტიპური ინფორმაცია უნდა ითარგმნოს ერთხელ და სამუდამად დადგენილი წესით. როგორც ვიცით, ამ ტექსტების წყაროც და მიმღებიც ადმინისტრაციული ორგანოებია, რომლებსაც სჭირდებათ ეს დოკუმენტები მათი უფლებამოსილების დასადასტურებლად და რეგლამენტირებისათვის. თარგმნისას დოკუმენტებისათვის იურიდიული და კანონიერი ძალის შესანარჩუნებლად აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს ავთენტური თარგმანი. ამ საბუთებიდან შეიძლება გამოვარჩიოთ ბრძანება, ხელშეკრულება, დადგენილება, გადაწყვეტილება, რომელთაც ახასიათებთ ლოგიკურობა, სიცხადე, სიზუსტე, იურიდიული და კანონიერი ძალა. განცხადების, ცნობის, წერილის, მოხსენებითი ბარათის, ავტობიოგრაფიის, დახასიათების და სხვა ზოგიერთი პირადი შემადგენლობის დოკუმენტის თარგმნისას საკმარისია ადეკვატურობის მაღალი დონის შენარჩუნება, რაც ფორმის და შინაარსის შენარჩუნებას გულისხმობს.

ქართული და რუსული საქმიანი საბუთების ისტორიული განვითარების ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ საქმიანმა დოკუმენტებმა განვლეს ფორმირების საკმაოდ ხანგრძლივი და მსგავსი გზა. რუსულ-ქართულ თარგმნილ დოკუმენტებში განსხვავება განპირობებულია ძირითადად ენობრივი სისტემების განსხვავებული შესაძლებლობებით (განსხვავებები სქესში, ბრუნვაში, რიცხვში, სიტყვათა გადანაცვლება და გამოტოვება), ნაწილობრივად კი - კულტურული რეალიების განსხვავებით.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში აქტიურად მიმდინარეობს საქმიანი საბუთების უნიფიცირების პროცესი. რუსულ-ქართული საკანცელარიო შტამპები, ფორმულარები ჩაანაცვლა მზა ქართულ-ინგლისურმა ბლანკებმა, ფორმულარებმა, შაბლონებმა. ჩვენ გადავედით საყოველთაოდ მიღებული ინგლისურენოვანი უნიფიცირებული საბუთების ვარიანტებზე, რომლებიც საერთოა ამა თუ იმ საქმიანი ურთიერთობების სფეროში და სადაც იცვლება მხოლოდ ინდივიდუალური მონაცემები.

საქართველო შედის საერთო ევროპულ სივრცეში, აქედან გამომდინარე, საქმისწარმოებაც უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს. ამის მისაღწევად კი დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი. უნდა შევიმუშაოთ სამაგიდო წიგნი, ცნობარი, რომელშიც ასახული იქნება საქმისწარმოებისათვის დამახასიათებელი ტერმინები და კანცელარიზმები, თავისი მყარი შესატყვისებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე თამარი, „სამეცნიერო შინაარსის ქართული ხელნაწერები და აღმოსავლური კულტურული ტრადიცია.“ კრ. „მრავალთავი“ ტ. N24 , თბილისი. 2015;
2. აბულაძე თამარი, გიუნაშვილი ელენე, „საქართველოს სპარსული და ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები: ლინგვისტურ-ფილოლოგიური კვლევის ასპექტები,“ ჟ. „ენათმეცნიერების საკითხები 2011“, თბილისი. 2012;
3. აბულაძე ცისანა, „სულთან აჰმედ III-ის ფირმანი ქეთხუდა ფარსადანის გორის ციხის მართლუსბაშად დანიშვნის თაობაზე“, კრ. „მრავალთავი“. N23, თბილისი. 2010;
4. არაბული ავთანდილი, ვაშაკიძე თამარ, ბურჭულაძე თეა, „აბრევიატურების შედგენილობისა და ფორმირების საკითხები“, კრ. „ტერმინოლოგიის საკითხები“, ტ. II, თბილისი. 2016;
5. არაბული ავთანდილი, „ტერმინოლოგიური პოლიტიკა და კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“, კრ. „ ტერმინოლოგიის საკითხები“, ტ. II, თბილისი. 2016;
6. არაბული ავთანდილი, „ქართული მეტყველების კულტურა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2004;
7. არაბული ავთანდილი, ვაშაკიძე თამარ, ბურჭულაძე თეა, „ქართული ენის სიტყვათშემოკლებათა ლექსიკონი (აგების პრინციპებისათვის)“, კრ. „ტერმინოლოგიის საკითხები“, თბილისი. 2014;
8. ბასილაია ნიკანდრო, „ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი. 1991;
9. ბსუ-ს არქივი, 1947-1948 წლის ბრძანებების წიგნი პენდინსტიტუტი, ანაწერი-2, ფონდი-1, საქმე-161;
10. ბსუ-ს არქივი, 1954-1955 წლის ბრძანებების წიგნი პენდინსტიტუტი, ანაწერი-2, ფონდი-432, საქმე-295;
11. ბსუ-ს არქივი, ბალაძე დურსუნ ოსმანის ძე (1978-2002), ანაწერი-3ა, საქმე-1;
12. ბსუ-ს არქივი, ვერძაძე ნური მუსტაფის ძე (1971-2005), აღწერა -3ა, საქმე -7;

13. ბსუ-ს არქივი, ფარტენაძე მოედინ ხასანის ძე (01.03.1954-19.03.2004), ანაწერი-3, საქმე-251;
14. ბსუ-ს არქივი, ჯორბენაძე ვერა ივანეს ასული (1943-1997), ანაწერი-3, საქმე-220;
15. გამყრელიძე თამაზ, კიკნაძე ზაზა, შადური ინგა, შენგელაია ნანა, „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი. 2008;
16. გაჩეჩილაძე გივი, „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“, გამომცემლობა „განათლება“ , თბილისი. 1966;
17. დიასამიძე მედეა, „ოფიციალური საქმიანი წერის სწავლება უმაღლეს სასწავლებელში (ინგლისური ენის მაგალითზე)“, სადოქტორო დისერტაცია, საქარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი. 2012;
18. დუნდუა ნუგზარ, ივანიშვილი მარინე, „ქართულ-სპარსული ბგერათმეცნიერების (ორენოვანი) ისტორიული საბუთების მიხედვით“, კრ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, თბილისი, 2014;
19. ვაშაკიძე იამზე, „ქართული ენის პრაქტიკული კურსი და აკადემიური წერის საფუძვლები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2016;
20. ვაჭრიძე გოდერძი, „ყალბი ისტორიული საბუთების გავრცელება“, ჟ. „ქართველური მემკვიდრეობა“ IX, თბილისი. 2005;
21. კვაჭაძე ლეო, „ქართული ენა“, გამომცემლობა „რუბიკონი“, თბილისი. 1993;
22. კიკვაძე მათა, ცეცხლაძე ნანა, ფარტენაძე ნათელა, ხახუტაიშვილი მზია, ახვლედიანი დიანა, „აკადემიური წერა“, გამომცემლობა „ივერიონი“ თბილისი. 2016;
23. კლდიაშვილი დარეჯანი. (2011). „მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან“, მოძიებულია 5 ოქტომბერი, 2019, <http://illuminateddocument.ge/ge/page/view/9/georgian>;
24. ლომია მერი, „თანამედროვე ქართული ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტაციის ენობრივი პრობლემები“, სადოქტორო დისერტაცია, საქართველოს საპატრიარქოს

- წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი. 2016;
25. მიქელაძე ნაზი, ფალავა მამია, „ქართული ენის პრაქტიკული კურსი და სტილისტიკის საკითხები“, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი. 2005;
 26. მსახურაძე ნანა, „ლექსიკურ-სემანტიკური და პრაგმატიკული ტრანსფორმაციები პოლიტიკურ დისკურსში (ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენოვან მასალაზე დაყრდნობით)“, სადოქტორო დისერტაცია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი. 2013;
 27. ნებიერიძე გივი, „ენათმეცნიერების შესავალი“, თბილისი. 1991;
 28. ომიაძე სალომე, „ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება“, სადოქტორო დისერტაცია, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი. 2006;
 29. პატარიძე რამაზ, „ქართული ასომთავრული“, გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი. 1980;
 30. „სამოქალაქო განათლების ლექსიკონი“, მოძიებულია 5 ოქტომბერი, 2019 <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=6&t=dict&w1=%E1%83%A0>
 31. „საქართველოს ორგანული კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“, მოძიებულია 5 ოქტომბერი, 2019, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=3>);
 32. „საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №414 1999 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“, მოძიებულია 5 ოქტომბერი, 2019 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112894?publication=0>;
 33. საყვარელიძე ნელი, „თარგმანის თეორიის საკითხები“, გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი. 2001;
 34. სელესკოვიჩი დანიცა, ლედერერი მარიან, „თარგმნის ხელოვნება და სწავლების მეთოდი“, გამომცემლობა „Chiron“, თბილისი. 2008;
 35. სურგულაძე მზია, „მწერლები ძველ საქართველოში“, ჟ. „მაცნე“ N 3. თბილისი. 1972;

36. სურგულაძე მზია, „ქართული საისტორიო აქტები XI - XV სს.“, გამოცემლობა „არტანუჯი“, თბილისი. 2006;
37. ტერ-მინასოვა სვეტლანა, „ენა და კულტურათაშორისი კომუნიკაცია“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი. 2017;
38. ფანჯიკიძე დალი, „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი. 1988;
39. ფეიქრიშვილი ჟუჟუნა, „ქართული ენის სინტაქსი“, გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება „სტამბა“, ქუთაისი. 1996;
40. ფუთურიძე ვლადიმერი, „სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში“, გამომცემლობა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“, თბილისი. 1961;
41. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, მოძიებულია 5 ოქტომბერი, 2019, <http://www.ena.ge/explanatory-online;>
42. ქართული ლექსიკონები, მოძიებულია 5 ოქტომბერი, 2019, <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php;>
43. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტომი III –N 19, მოძიებულია 5 ოქტომბერი, 2019, https://wikisource.org/wiki/1487_%E1%83%AC.;
44. ქაროსანიძე ლია, ხურცილავა ანა, „ქართული ტერმინთშემოქმედების პრობლემები / ისტორია და თანამედროვეობა /“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი. 2018;
45. შანიძე აკაკი, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, 12 ტომეული, მე-3 ტომი, გამომცემლობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი, 1980.
46. ჩიქობავა არნოლდ, „ენათმეცნიერების შესავალი“, გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი. 2008;
47. ცეცხლაძე ნანა, ხახუტაიშვილი მზია, „სტილისტიკა“, გამომცემლობა „ივერიონი, თბილისი. 2014;

48. ჯავახიშვილი ივანე, „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, გამომცემლობა „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბილისი. 1949;
49. ჯავახიშვილი ივანე, „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, გამომცემლობა „სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი. 1949;
50. ჯავახიშვილი ივანე, „ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“, გამომცემლობა „ტფილისის უნივერსიტეტი“, თბილისი. 1926;
51. ჯაში ქეთევანი, „თარგმნის პრაქტიკული კურსი“, თბილისი. 2006;
52. Алексеева И. С., „Введение в переводоведение“, издательство „Академия“, Москва. 2004;
53. Бархударов Л. С., „Язык и перевод (Вопросы общей и частной теории перевода)“, издательство „Международные отношения“, Москва. 1975;
54. Бейлинсон Л.С. (2009). „Функции институционального дискурса“. მოძიებულია 5 ოქტომბერს, 2019, <https://cyberleninka.ru/article/n/funktsii-institutsionalnogo-diskursa>
55. Бортников В. И., Михайлова Ю. Н., „Документальная лингвистика“, издательство „Уральский университет“, Екатеринбург. 2017;
56. Брандес М.П., „Стиль и перевод (на материале немецкого языка)“, издательство „Высшая школа“, Москва. 1988;
57. Брандес М.П., Провоторов В. И., „Предпереводческий анализ текста“, издательство „НВИ“, Москва. 2001;
58. Виноградов Венедикт Степанович, „Введение в переводоведение (общие и лексические вопросы)“, издательство „РАО“, Москва. 2001;
59. Гарбовский Николай Константинович, „Теория перевода“, издательство „Московский университет“, Москва. 2007;
60. Голуб Ирина Борисовна, „Стилистика русского языка“, издательство „Юрайт“, Москва. 2019;
61. Гоциридзе Д. З., „Принципы типологической интерпретации фразовых текстов“, издательство „ТГУ“, Тбилиси. 1988;

62. Даль В.И., „Толковый словарь живого великорусского языка (Золотая коллекция)“, Т. 3: издательство „РИПОЛ классик“, Москва. 2006;
63. Дейк Тен ван, (1998). „К определению дискурса“. მოძიებულია 5 ოქტომბერი, 2019, (<http://psyberlink.flogiston.ru/internet/bits/vandijk2.htm>;
64. Дейк Тен ван, „Дискурс и власть: Репрезентация доминирования в языке и коммуникации“, издательство „Либроком“, Москва. 2013;
65. Илюшкина М. Ю., „Теория перевода: основные понятия и проблемы“, издательство „Урал. ун-та“, Урал. 2015;
66. Казанцев А. И., „Особенности перевода клише и штампов официально-делового языка (на материале французского языка)“, издательство „Челябинский государственный университет“, Челябинск. 2002;
67. Карасик Владимир Ильич, „Языковой круг: личность, концепты, дискурс“, издательство „Перемена“, Волгоград. 2002;
68. Комахидзе Роланд Ахмедович, „Парадигма и синтагматика текста“, издательство „ТГУ“, Тбилиси. 1995;
69. Кожина М.Н., Дускаева Л.Р., Салимовский В.А., „Стилистика русского языка“, издательство „Флинта“, издательство „Наука“, Москва. 2008;
70. Кузнецова Т.В., Лихачов М.Т., Раихцзум А.А., Соколов А.В., „Документы и делопроизводство“, „Экономика“, Москва. 1991г;
71. Кузнецова Т.В., Санкина Л.В., Быкова Т.А. и др., „Делопроизводство (Организация и технологии документационного обеспечения управления)“, издательство „ЮНИТИ“, Москва. 2003;
72. Макаров Михаил Львович, „Основы теории дискурса“, издательство «Гнозис», Москва. 2003;
73. Нечаева Е.В., „Делопроизводство“, издательство „Политехнический университет“, Санкт-Петербург. 2015;
74. Писаная Т. О. „Аспекты анализа институционального дискурса“. მოძიებულია 5 ოქტომბერი, 2019, <https://cyberleninka.ru/article/n/aspekty-analiza-institutsionalnogo-diskursa>

75. Розенталь Дитмар Эльяшевич, „Справочник по русскому языку. Практическая стилистика“, издательство „ОНИКС 21 век“, Москва. 2001;
76. Розенталь Дитмар Эльяшевич. „Справочник по русскому языку. Орфография и пунктуация“, издательство „ОНИКС 21 век“, Москва. 2007;
77. Сологуб О. П., „Русский деловой текст в функционально-генетическом аспекте“ издательство „Новосибирского государственного технического университета“, Новосибирск. 2008;
78. Ульянцева С. Э. (2007) „Формирование терминологической системы документоведения в постсоветский период“. მოძიებულია 5 ოქტომბერი, 2019, <https://cyberleninka.ru/article/n/formirovanie-terminologicheskoy-sistemy-dokumentovedeniya-v-postsovetskiy-period/viewer>
79. Хавкин И. М., „Занимательный специальный перевод : Пособие для начинающих переводчиков с примерами типичных ошибок (на материале английского и некоторых романских языков)“, издательство „Ridero.ru“, 2015.
80. Шарикова Л. А. (2008). „Основы теории дискурса: словарный дискурс“, მოძიებულია 5 ოქტომბერი, 2019, www.gramota.net/materials/1/2008/2-1/90.html
81. Ширяева Т.А. (აპრილი 2007). „Общекультурные и институциональные особенности дискурса“. მოძიებულია 5 ოქტომბერი, 2019, <https://cyberleninka.ru/article/v/obschekulturnye-i-institutsionalnye-osobennosti-diskursa>
82. Шлепкина М.А. (აპრილი 2011). „Деловой дискурс как институциональное явление. Роль клише в деловом дискурсе“, მოძიებულია 2019 წლის 5 ოქტომბერი, <https://moluch.ru/conf/phil/archive/23/151/>

2

Утверждено коллегией Госкомитета
высшего и среднего специального
образования Совета Министров
